Следовательно, цитатное использование фольклора является таким же творческим актом, как и другие формы обращения к народному материалу. Поэтому мнение об «устарении» такого подхода к фольклору неправомерно, так как и здесь критерием оценки должен служить не сам способ обращения с народным источником, а тот контекст, в котором находится фольклорный образец, и тот художественный результат, которого добивается композитор вследствие такого подхода.

Таким образом, в грузинской музыке 60—70-х годов выделяются три основные тенденции претворения национальной специфики в композиторском творчестве, хотя они отнюдь не исчерпывают всего многообразия возможных индивидуальных композиторских решений.

Попытаемся более детально рассмотреть различные типы претворения национальной специфики в грузинской музыке 60—70-годов на примере творчества двух известных грузинских композиторов — О. Тактакишвили и Г. Канчели[9].

О. Тактакишвили работает во многих музыкальных жанрах, хотя в исследуемый период наиболее близким оказалось ему искусство, связанное со словом. Высшие творческие достижения композитора 60—70-годов связаны с оперой и вокально-симфоническими сочинениями крупной формы, в которых фольклорный материал зачастую выступает в качестве главного художественно-образного и лексического ориентира.

Эстетическим кредо автора является отображение в музыке жизненной правды. Сам композитор говорит о стремлении «создать глубоко национальный образ, опираясь на правду о жизни, которая обязательно присутствует в народной песне... Главное, что нужно искать в фольклоре — это правду!... Ведь нигде, ни в одном фольклорном образце мы не найдем ни малейшей лжи, фальши. Народ всегда говорил только правду, и именно эта сторона фольклора представляется мне наиболее ценной [14, с. 150, 163, 164].

Грузинский музыкальный фольклор стал для композитора одним из основных стимулов творчества. Композитор поставил перед собой одну из сложнейших задач: «Огромные богатства грузинского фольклора в современной трактовке и тончайшей по мастерству обработке сделать достоянием как можно большего числа людей» [11, с. 201].

Задача сама подсказала путь ее решения — О. Тактакишвили обращается к фольклору практически всех регионов Грузии, дабы во всей полноте представить слушателям разнообразие диалектов грузинской народной музыки. Так, пшавский диалект присутствует в опере «Миндия», карталино-кахетинский — в опере «Мусуси», гурийский — в оратории «Николоз Бараташвили», операх «Похищение луны» и «Первая любовь» и, конечно же, кантате «Гурийские песни», мегрельский — в «Мегрельских песнях», сванский — во Втором фортепианном и Скрипичном концертах и т. д.

---

[9] В связи с квартетным творчеством С. Насидзе и С. Цинцадзе эта проблема нами уже рассматривалась [12, 13].

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Однако каждый творческий замысел диктовал различный подход к народному материалу, поэтому так непохожи, например, оперы «Похищение луны» и «Первая любовь», Второй фортепианный и Скрипичный концерты, «Мегрельские песни» и «Светские песнопения», сюита для фортепиано «Родные напевы» и оратория «Николоз Бараташвили», сюита для фортепиано «Подражание грузинским народным инструментам» и вокально-инструментальная сюита «Лирические песни»[10].

О. Тактакишвили принадлежит к числу тех композиторов, в чьем творчестве фольклор зачастую «работает открыто», без каких-либо «вуалей». Свидетельством тому служат «Гурийские» и «Мегрельские» песни. Но если «Мегрельские песни» являются свободной обработкой (как указывает сам автор в подзаголовке к сочинению) народно-песенного материала, то «Гурийские песни» — плод собственного, авторского творчества в духе фольклорных образцов. Как отмечает А. Шаверзашвили, «в «Гурийских песнях», за редким исключением, не используются конкретные народные песни, но музыкальный язык сочинения столь насыщен интонационными оборотами, ритмами, гармоническими и ладовыми особенностями гурийского музыкального фольклора, что порой трудно определить, где авторская музыка, а где народная песня. И тем не менее везде индивидуальность автора окрашивает, казалось бы, давно знакомые фольклорные обороты в присущие данному художнику тона» [17, с. 35—36].

Этот же принцип — сочинение в духе народной музыки — автор избрал и в хоровом цикле «Светские песнопения», где он лишь раз прибегает к подлинному народному первоисточнику (песнопение «Ты—лоза»), сопоставляя его с собственной, аналогичного эмоционального настроя темой.

В ином качестве выступает фольклор в опере «Похищение луны». Эта эпопея народной жизни требовала большой предварительной работы. «Гурийские», «Мегрельские» и «Любовные» песни явились подготовительным этапом для создания этой оперы. В «Похищении луны» фольклор используется композитором с особой целью — для характеристики народных масс. В «описании» же отдельных героев и, в частности, представителей дворянского сословия, фольклорный материал полностью отсутствует. Лишь в момент наивысшего душевного откровения Тараша в его партии появляются фольклорные интонации. Такая «расстановка» фольклорного материала логична и драматургически оправдана, тем более, что корни ее кроются в русской классической опере, в частности, в «Иване Сусанине» Глинки.

Иной способ претворения фольклора демонстрирует автор в опере «Первая любовь». Привнесение в партитуру характерного для гурийского фольклора высокого мужского голоса «криманчули» позволило автору добиться желаемого эффекта комизма. Сочетается же эта специфическая манера интонирования с сугубо современными ладогармоническими и интонационными комплексами.

Таким образом, обращаясь к различным диалектам национального народного наследия, О. Тактакишвили претворяет главным обра-

---

[10] Эти сочинения названы попарно по принципу близкой «временной дистанции» их создания, что еще раз доказывает огромную роль конкретного творческого замысла в характере претворения народных источников.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

зом свойства грузинской многоголосной песенной культуры[11]. В зависимости от конкретной художественной задачи использование фольклорного материала в творчестве О. Тактакишвили носит различный характер. Это — и полностью основанные на народном материале сочинения, и сознательное включение народного первоисточника в драматургию целого, и «вкрапления» фольклорных интонаций в музыкальную канву. Но как бы композитор не использовал фольклор, везде его целью является проникновение в душу, мировоззрение и мышление народа.

В отличие от О. Тактакишвили, творчески «заявившего о себе» во второй половине 40-х годов, Г. Канчели является типичным представителем поколения композиторов 60-х. Формирование его художественного облика происходило на фундаменте достижений музыки XX века, что явилось решающим фактором в становлении творческого метода композитора и определило его особенности. В данном случае нашей целью является вскрытие связей лишь симфонического стиля Канчели с национальными истоками[12].

Оговорим сразу — композитор избегает каких бы то ни было заимствований из фольклора. В его симфоническом творчестве нельзя обнаружить никаких прямых аналогий с народной музыкой (только однажды — в начале Третьей симфонии — автор прибегает к сванской народной попевке). Сам композитор имеет на этот счет определенное мнение, подтвержденное его собственной творческой практикой. Он считает, что «обращение к фольклору отнюдь не обеспечивает сохранения его духа, столь совершенно выраженного в исходных образцах. Хотя пути и возможности использования фольклора неисчерпаемы, ясно и то, что творчески развить заложенный в нем потенциал по плечу только истинному таланту. Дарование же среднего масштаба может в отношении фольклора сыграть лишь роль «потребителя» [2, с. 4].

Однако явное «избегание» фольклорных образцов не привело к нивелировке национального облика Г. Канчели. Явный приверженец инструментального мышления, Канчели избирает основной интонационной ячейкой крупной формы ядро песенного типа, в котором обычно заключено принципиально важное, главное смысловое значение всей симфонической концепции. Хотя по своему интонационному рисунку это ядро не имеет прямого сходства с национальными музыкальными образцами, возникающие в восприятии образные ассоциации косвенно указывают на преломление в ней специфики психического склада нации. «Для Канчели мелодия не является моделью стиля или источником языковой системы. Она воспринимается скорее «со стороны», как элемент окружающего мира, национального быта в его неотрывном единстве с природой. Поэтому национальная мелодика входит в сочинение как часть общей звуковой картины мира, как образ объективного явления, но не символ и не источник тематических трансформаций... Национальная мелодика интересует Канчели прежде всего как образ пения» [1, с. 141].

---

11 Особенности инструментальной музыки проявляются в некоторых фортепианных сочинениях, имеющих конкретное «инструментальное» название. Таковы «Свирель» (из цикла Пять пьес для ф-но, 1949), «Дедушкина свирель» (из Шести пьес для ф-но, 1969) и сюита «Подражание грузинским народным инструментам» (1973).

12 Аналогичная задача в связи с киномузыкой и музыкой к драматическим спектаклям композитора требует отдельного разговора.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

В этом видится глубинная внутренняя связь творчества Канчели с грузинским народным музыкальным искусством, поскольку, как известно, песня занимает в нем главенствующее место.

Одним из типических свойств стиля Г. Канчели является опора на принцип контрастной полифонии, эффект которой возникает в случае усиления динамики развития, достигаемой за счет увеличения индивидуализации каждого голоса партитуры. Эта особенность фактуры симфоний Канчели указывает на претворение композитором фактурной специфики народных, в частности, гурийских песен. В некоторых случаях принцип фактурной организации выявляет сходство с грузинскими песнопениями, с которыми ассоциируется и возвышенный эпико-философский художественный строй многих медленных эпизодов симфоний.

Однако самым существенным для раскрытия феномена национального в творчестве Канчели представляется характер образного мышления композитора в целом. Смысл и образное содержание симфоний Г. Канчели отличаются философско-этической, гуманистической направленностью, величественным, возвышенным, самоуглубленным тонусом высказывания и стройностью общей конструкции. Черты эти во многом ассоциируются с произведениями грузинского народного творчества других видов искусства, в частности, с храмовым зодчеством и фресковой живописью. Многие же эпизоды симфоний своим образно-эмоциональным строем вызывают в слушательском восприятии аналогии с многоликой природой Грузии и сложным историческим путем ее народа. И в этом также одно из своеобразий симфонизма Г. Канчели. Как справедливо отмечает Н. Шахназарова, «в музыкальном искусстве национальное своеобразие проявляется не столько в том, какие эмоции выражает музыка (радость, горе, любовь и т. д.), сколько в том, каков характер этих эмоций (как переживается эта любовь, радость, горе). Для музыки это как означает отнюдь не просто форму выражения, а самый характер переживания, то есть элемент содержания» [19, с. 15]. А характер эмоций и переживаний, тип темперамента и общий образно-эмоциональный склад симфоний Г. Канчели бесспорно глубоко национальны.

Таким образом, в симфоническом творчестве Канчели претворение особенностей национальной специфики выражается в опоре на интонации песенного типа, в преломлении фактурных принципов народной полифонии и, что наиболее существенно, характере образнсти, корни которой — в народном мышлении.

## ЛИТЕРАТУРА


1. Арановский М. Г. Симфонические искания. Л., 1979.
2. Верность симфонии. Интервью с Г. Канчели. «Музыкальная жизнь», 1981, № 11.
3. Горковенко А. Музыкальный язык фольклора как основа профессиональной музыкальной культуры (к проблеме лада). В кн.: Актуальные проблемы современной фольклористики. Л., 1980.
4. Гусев В. Е. Комплексное изучение фольклора. В кн.: Проблемы музыкального фольклора народов СССР. М., 1973.
5. Гусев В. Е. Эстетика фольклора. М., 1967.
6. Долидзе Л. И. О специфике национального в музыкальном творчестве Стравинского в свете общей теории сознания и бессознательного психического. В кн.: Бессознательное — природа, функции, методы исследования. Тб., 1978.

ეროვნული ბიბლიოთეკა



7. Донадзе В. Г. Захарий Палиашвили, изд. 2-е. М., 1971.
8. Земцовский И. И. Фольклор и композитор. Л.—М., 1977.
9. Караев К. Статьи, письма, высказывания. М., 1978.
10. Мшвелидзе А. С. Грузинская народная музыка. М., 1969.
11. Полякова Л. В. Отар Тактакишвили. М., 1979.
12. Сехниашвили Е. Э. К исследованию современных тенденций использования фольклора в композиторском творчестве. В кн.: Труды ТГК, вып. X, Тб., 1982.
13. Сехниашвили Е. Э. Некоторые особенности системы композитор — фольклор в грузинской музыке. В кн.: Комплексное изучение музыкального творчества: концепции, проблемы, перспективы. Тб., 1985.
14. Сехниашвили Е. Э. Некоторые формы претворения национальных традиций в камерно-инструментальном творчестве грузинских композиторов (квартеты 60—70-х годов). Диссертация на соискание ученой степени кандидата искусствоведения. Тб., 1983.
15. Церетели М. В. Пути развития грузинской камерной вокальной музыки. Автореферат... кандидата искусствоведения. Тб., 1982.
16. Цурцумия Р. И. Особенности восприятия фольклора в грузинской инструментальной музыке 60—70-х годов. «Сабчота хеловнеба», 1984, №№ 2, 4, (на груз. языке).
17. Шаверзашвили А. В. «Гурийские песни» Отара Тактакишвили. «Советская музыка», 1973, № 7.
18. Шахназарова Н. Г. О динамике национального в музыке. В кн.: Интернациональное и национальное в искусстве. М., 1974.
19. Шахназарова Н. Г. О национальном в музыке. М., 1963.
20. Шостакович Д. Д. О времени и о себе. М., 1980.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ჭავჭავაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა დოლიძე

# მიკროსამყაროს შემეცნება და ედმუნდ ჰუსერლის ფენომენოლოგიური მეთოდი

არსებითი განსხვავება კლასიკურ ფიზიკასა და კვანტურ მექანიკას შორის გამოწვეულია არა საგნობრივ არეთა სხვადასხვაობით, არამედ ფიზიკური რეალობის აღწერის მეთოდით. კლასიკური აღწერა ემყარება თავისთავადი, სუბიექტისგან მოწყვეტილი ობიექტის ცნებას, კვანტური თეორია კი გამორიცხავს ასეთი მოწყვეტის შესაძლებლობას და მიკრონაწილაკს განიხილავს შემეცნებით სიტუაციასთან განუყოფელ ერთიანობაში. ვფიქრობთ, თეორიის ეს შედეგი წარმოადგენს ფენომენოლოგიური მეთოდის ანალოგს მიკროსამყაროში და თუმცა კვანტური მექანიკის ფუძემდებლები უშუალოდ არ განიხილავენ ამ ანალოგიას, მათ ნააზრევს და კერძოდ ბორის დამატებითობის იდეას უდავოდ აჩნია ჰუსერლის ტრანსცენდენტური ფენომენოლოგიის ახლებური ორიენტაციის კვალი.

ჰუსერლმა ობიექტის ფიზიკურ-კაუზალური ყოფიერებიდან მზერა სუბიექტისკენ შემოაბრუნა და ამ შემობრუნების განხორციელების პროცესში თანდათან გამოიმუშავა შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომა სამყაროს მიმართ. დაწვრილებით განვიხილოთ, რაში გამოიხატება ეს თვალსაზრისი და როგორ უკავშირდება იგი კვანტური თეორიის მეთოდოლოგიურ პრინციპებს: განუზღვრელობის თანაფარდობასა და დამატებითობის პოსტულატს.

ჰუსერლმა ყურადღება გაამახვილა საგანთა იდეალურ მნიშვნელობებზე, იდეებზე, რომლებიც ფსიქიკური აქტების მიღმა დგანან, ისევე როგორც რიცხვი, კანონი, მიმართება დამოუკიდებელია იმ ფიზიკურ-ფსიქიკური აქტებისაგან, რომლებიც მათ რეალიზაციას ახდენენ. ამრიგად ობიექტში ორი შრე იქმნება: რეალური შრე, მისი განხორციელებული გარკვეულობა და იდეალური ფენა, სადაც ეს გარკვეულობა წინასწარ დასახულია იდეალურად, არსებობს შესაძლებლობის სახით. შემეცნებაც ორი საფეხურისგან შედგება. პირველი, რაც წვდება რეალიზებულ გარკვეულობას, და მეორე, ინტუიცია, რაც აღმოაჩენს თავისთავად ჭეშმარიტებას, იმ იდეალურ მონახაზს, რომლის ქარგაზეც იქმნება რეალობა.

მეორე მხრივ, რეალობის დაფუძნებისათვის საჭიროა გაირკვეს არსებულის ყოფიერების საზრისი. ყოფიერების უპირველესი ნიშანია მისი უშუალო მოცემულობა; თუ ის არანაირად არ მეძლევა, მაშინ მისი არსებობის შესახებ ლაპარაკს არავითარი აზრი არ გააჩნია. ჰუსერლი აქ ემიჯნება ემპირისტულ თვალსაზრისს, რომელსაც უშუალოდ მოცემულობა გრძნობად კონკრეტულ მოცემულობაზე დაჰყავს და მხოლოდ ამ ნიშნით განსაზღვრავს არსებობას. ეს ისეთივე დოგმაა, როგორც სხვა ათასნაირი „იდოლები", რომელთაგანაც უნდა განთავისუფლდეს ფილოსოფია ყოფიერების საზრისის წვდომის გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰუსერლი აკრიტიკებს „ბუნებრივ პოზიციას“, რომელიც უკავია კერძო მეცნიერებას. ეს პოზიცია გრძნობადი მონაცემების საფუძველზე ამტკიცებს კონკრეტულ რეალობას ისე, რომ ბრმად, დაუსაბუთებლად ეყრდნობა წანამძღვარს, რომელიც მოცემულ რეალობაში არათემატიზირებული, გამოუმჟღავნებელია. ეს წანამძღვარია ყოფიერების საზრისის საკითხი. მართლაც რაიმეს არსებობის მტკიცება შეუძლებელია იმის გარეშე, თუ არ იქნა გარკვეული რას ნიშნავს თვით არსებობა, რა მნიშვნელობა აქვს ამ ცნებას. ამ საკითხს კი „ბუნებრივი პოზიცია“ არ არკვევს.

ამრიგად, ვიდრე კონკრეტულ რეალობაზე ვილაპარაკებთ, უნდა გავარკვიოთ, ფიქრობს ჰუსერლი, თვით ყოფიერების საზრისის საკითხი, მაგრამ ტრადიციულ ფილოსოფიაში ეს საკითხი მცდარად იყო გადაწყვეტილი. ლაპარაკობდნენ ე. წ. „პირველ მიზეზებზე“, როგორც რეალობის საფუძველზე, როგორც სუბსტანციაზე. მიზეზობრიობის ცნების მიყენება ყოფიერების საზრისის მიმართ არ უნდა იყოს გამართლებული. მიზეზობრიობა ისეთი ცნებაა, რომელიც მოითხოვს კაუზალურ საფუძველთა დაუსრულებელ რიგს და არ მიესადაგება იმას, რაც ყველაფრის საფუძველია.

ყოფიერების საზრისი, ჰუსერლის აზრით, უნდა დადგინდეს მისი მნიშვნელობის მიხედვით. მაშასადამე უნდა გაირკვეს ის მომენტები, რომლებიც არსებულს ანიჭებენ არსებულის მნიშვნელობას.

უპირველესი ასეთი მომენტია უშუალო მოცემულობა, მხედველობაში ყოფნა, როგორც გრძნობად-კონკრეტული, ასევე ინტუიციური (ფანტაზიის საშუალებით); სიცხადის განცდა, რომელიც ასეთ უშუალო მოცემულობას ახლავს თან, ყოფიერების ხედვის ერთ-ერთი კრიტერიუმია.

ყოფიერების მტკიცებას ჰუსერლი ახდენს იმ განცდის, ცნობიერების იმ აქტის რეფლექსია-ანალიზით, რომელიც თან ახლავს ნამდვილ არსებობას. ყოფიერების საზრისს იგი იკვლევს არა ონტოლოგიურად, არამედ იმ გნოსეოლოგიურ პირობებზე რეფლექსიით, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული ყოფიერების შესაძლებლობას. ასეთ ანალიზში ხდება დროებითი თავშეკავება ყოფიერების მტკიცებისაგან და მზერის გადატანა შიგნით, ცნობიერების აქტზე, რომელიც სიცხადის განცდით ანათებს მას და ამდენად სარწმუნოს ხდის მის არსებობას. აქ დიდ როლს თამაშობს ფანტაზია ანუ ფიქცია. ფანტაზიის მეოხებით ცნობიერება საგნის აქტუალურად დანახულ მხარეებს ავსებს დაუნახავი ნაწილებით საგნის სრულ აღქმამდე. ეს ფანტაზიით დანახული მხარეები გნოსეოლოგიურ პირობებთან ერთად ქმნიან შესაძლებლობათა ჰორიზონტს, რაც თან ახლავს აქტუალურად მოცემულ ყოფიერებას. ამ შესაძლებლობებში ფანტაზია ახდენს თავისუფალ ვარირებას ვიდრე არ იპოვნის ინვარიანტს, ისეთ ფორმას, რომელიც აუცილებელ კავშირში იმყოფება უშუალოდ განცდილ საგნობრიობასთან. ამ ინვარიანტს ცნობიერებაში შეესაბამება გარკვეული განცდა, აღვნიშნოთ იგი $B_1$-ით, რომელიც დაკავშირებული აქტუალურად ნაგრძნობ ყოფიერების განცდასთან $A_1$, ქმნის აღქმის მთლიანობას.

ამრიგად, თუ საგნის A და B ნაწილებს შორის აუცილებელი კავშირია, მაშინ შესაბამისი განცდებიც $A_1$ $B_1$ აუცილებლობით უკავშირდებიან ერთმანეთს და წარმოადგენენ ორიენტირებს მთლიანი ყოფიერების დადგენაში.

შესაძლებლობათა ჰორიზონტის დადგენა ხდება შემდეგნაირი გზით: აქტუალურად დანახულს მე პირობითად მივიჩნევ ფიქციად, ფანტაზიის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაგონად, ისევე როგორც სხვა არააქტუალურ მხარეებს. ამით მე ვთავისუფლდები რედუქციის აქტუალიზაციის შემოსაზღვრულობიდან და რეალიზებულს განვიცდი როგორც ალბათურს, როგორც შესაძლებელს, მისი სხვაგვარად მოცემულობის პოტენციათა გათვალისწინებით. ეს არის ფენომენოლოგიური ანალიზის მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც, როგორც ქვევით ვნახავთ, გამოყენებას პოულობს მიკროსამყაროში.

ასეთი გამოყოფის შემდგომ ვახდენთ ნებისმიერ ვარიაციებს შესაძლებლობათა თვალსაწიერზე, ვიდრე არ ვპოულობთ ინვარიანტს, რომელიც აუცილებელია საგნის ყოფიერებაში და შესაბამის განცდას ვიყენებთ როგორც ორიენტირს ყოფიერების საზრისის დადგენაში.

მეორე მხრივ, ვთავისუფლდებით რა რეალური შინაარსისგან, ჩვენ ფაქტიურად გადავდივართ იდეალურ სფეროში და ვცლით რა ჩვენს აღქმას შინაარსისაგან, გვრჩება ცარიელი აღქმა, მისი ფორმა ანუ მისი იდეა. ამრიგად აქტუალიზებული მოცემულობისგან განყენება ამავე დროს ნიშნავს მზერის შემობრუნებას საგნიდან ცნობიერებისკენ; მისი ყოფიერების განსაზღვრას არა გარედან, ზუსტი ცნებების საშუალებით, არამედ შიგნიდან, ცნობიერების ნაკადის საფუძველზე, რომელიც ჰერაკლიტესეული დინების მსგავსია.

შინაარსისაგან დაცლილი წმინდა განცდა ანუ წმინდა ცნობიერება (სუფთა მე) გვეძლევა აპოდიქტური სიცხადით. ეს ნიშნავს, რომ მოცემული განცდის ყოფიერება აბსოლუტურია, რომ მისი არყოფნა მოუაზრებადია. მეორე მხრივ, ის კონკრეტული შინაარსი, რომელსაც მოიცავს ეს განცდა და რაც მიმართულია მატერიალურ საგანზე, არააპოდიქტური სიცხადისაა, რელატიურია, შემთხვევითია. საქმე ისაა, რომ მატერიალურ ობიექტს მე აღვიქვამ არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ, შუქ-ჩრდილებში, რაც არ არის საკმარისი საფუძველი საგნის მთლიანი წარმოდგენისათვის, რასაც მე ფანტაზიის გზით ვავსებ. ამიტომ ეს შინაარსი არის შემთხვევითი, არაა გამორიცხული მისი არყოფნა ან მისი სხვაგვარად მოცემულობა; საერთოდ სამყარო, როგორც ფაქტების სიმრავლე, არის შემთხვევითი იმ აზრით, რომ სავსებით შესაძლებელია მისი სხვა სახით ყოფნაც, მისი არარსებობა; მაგრამ რაგინდ შემთხვევითი და არააპოდიქტური უნდა იყოს განცდის შინაარსი, თვით განცდის როგორც ასეთის მოცემულობა, თვით ის ფაქტი, რომ არსებობს განცდა და არსებობს ის ვინც განიცდის, „მე", არის აპოდიქტური, აუცილებელი და აბსოლუტური.

საგნისგან განყენებული წმინდა ცნობიერების მოცემულობა აპოდიქტურად მეძლევა, იგი როგორც შინაგანი აქტი, როგორც რაიმეში დარწმუნებულობა ან ეჭვის შეტანა არის უეჭველი და სარწმუნო. მე შეიძლება ეჭვი მეპარებოდეს ხილულის არსებობაში, მაგრამ ის, რომ სწორედ მე მეპარება ამაში ეჭვი, რომ მე თავს ვიკავებ მისი ყოფიერების მტკიცებისაგან, არის უეჭველი.

ამრიგად, ცნობიერება წარმოგვიდგება როგორც საგნის ყოფიერების განმსაზღვრელი, მისთვის აუცილებელი მნიშვნელობის მიმნიჭებელი ძალა. ცნობიერება ინტენციონალურია, მიმართულია, დამიზნებულია მისთვის ტრანსცენდენტურ, გარეგან საგანზე, რომელიც შეადგენს არა არსებულის „ასლს", არამედ თვით არსებობას და ამავე დროს არის ფენომენი, არის მოცემულობა, რადგან აზრი არა აქვს ვამტკიცოთ იმის ყოფიერება, რაც არანაირად არ მეძლევა ცნობიერების შინაარსში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰუსერლთან ფენომენი და ყოფიერება ერთმანეთს ემთხვევა და წმინდა ცნობიერება, სუბიექტი გვევლინება როგორც მისი ტრანსცენდენტალური საფუძველი, როგორც მისი საზრისის, მნიშვნელობის განმსაზღვრელი, როგორც მისი მაკონსტრუირებელი ძალა.

ეს არ ნიშნავს, რომ ცნობიერება, სუბიექტი ქმნის საგანს. საგანი როგორც ფენომენი ყალიბდება ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთქმედების პროცესში. მისი მნიშვნელობითი საზრისი ყალიბდება სუბიექტის რეაგირებაზე მის მიმართ, ამ რეაგირების გარეშე იგი რჩება განუსაზღვრელ ყოფიერებად; მეორე მხრივ კი, თვით სუბიექტი როგორც სამყაროს ტრანსცენდენტური საფუძველი, როგორც მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვიდან ამორთული, თავისუფალი ცნობიერება, სწორედ ამ რეაგირებაში, არსებულისთვის ყოფიერების აზრის მინიჭების აქტში ავლენს თავის თავს.

ფენომენოლოგიის ეს მომენტიც გამოყენებას პოულობს მიკროსამყაროს კვანტურ-მექანიკურ აღწერაში, სადაც არაპიროვნულად მოცემული სუბიექტი ჩართულია რეალობის ცნებაში და განსაზღვრავს კონკრეტული მიკრომდგომარეობის სახეს.

ამრიგად, სუბიექტთან მიმართების გარეშე (ერთმანეთთან მიმართებებიც, როცა ობიექტი განისაზღვრება არა თავისი თავით, არამედ სხვისი მოცემულობით, საბოლოო ჯამში სუბიექტთან მიმართებაზე დადის) საგანი სრულიად განუზღვრელია; მას მნიშვნელობითი საზრისი და აქედან გამომდინარე განსაზღვრული ყოფიერება ენიჭება სუბიექტთან მიმართების, მასზე სუბიექტის მიერ გარკვეული ინტენციებით დეტერმინირებული პასუხის შესაბამისად[1].

სუბიექტი ქმნის როგორც საგნის პრაქტიკულ-ღირებულებით მნიშვნელობებს (ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად), ასევე მის ეთიკურ-ესთეტიკურ განსაზღვრულობებს (კარგი, ლამაზი...). სუბიექტთან მიმართებაში დგინდება სივრცე-დროული გარკვეულობანიც.

დრო და სივრცე ჰუსერლისთვის ობიექტურია არა იმ აზრით, რომ დამოუკიდებელია სუბიექტისაგან, არამედ იმ აზრით, რომ ერთნაირია, იდენტურია ყველა სხვა სუბიექტის მიმართ, ინტერსუბიექტურია. მას ახასიათებს განმეორებადობა, ერთგვაროვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ერთნაირია როგორც ჩემთვის, ასევე ჩემს ადგილზე მყოფი ყველა სხვა „მე"-სთვის.

ცნობიერების სიცოცხლე არის ინტენციის განხორციელების, მიზნის მიღწევის პროცესი არა დროის გულგრილი დინების, არამედ ისტორიულობის აზრით. ამიტომ კონსტრუირებულ სამყაროს მიეწერება ისტორიულობა, მომავლის ქმნადობა წარსულის გაგრძელების საფუძველზე, ცნობიერების ინტენციის განხორციელებათა გზით; მაგრამ ასეთი განხორციელება მოითხოვს შესაბამის საშუალებებსა და მეთოდებს და შეიძლება მოხდეს, რომ ეს საშუალებები გადაიქცეს ცნობიერების თვითმიზნად, რომ მათ დაჩრდილონ პირველადი მიზანი. ამის თავიდან ასაცილებლად სუბიექტი შიგადაშიგ უნდა დაუბრუნდეს წარსულს, ცნობიერებაში უკვე აქტუალიზებულ, პასიურ შრეს

[1] ანალოგიური სიტუაციაა მიკროკოსმში. სუბიექტის რეალობაში „ჩართვამდე" ფიზიკური სიდიდეები განუზღვრელნი არიან და მათ არსებობაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს. მხოლოდ სუბიექტის „ჩართვით", გაზომვის პროცესით, ხდება მათი განამდვილება, მნიშვნელობითი განსაზღვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მის მიხედვით მოახდინოს მომავლის ქმნადობის კორექტირება, რათა აღადგინოს თავისი პირველადი ინტენცია, თავისი საწყისი მიზანი.

ცნობიერების პირველადი სასიცოცხლო ინტენციიდან გადახრა, ყოფიერების მნიშვნელობათა „ძვრა" მეორეული ინტენციების მიხედვით წარმოადგენს ადამიანის კრიზისის მიზეზს; სამყარო თავისი განხორციელებული სახით აღარ შეესაბამება ადამიანის ცნობიერების სასიცოცხლო ინტენციას, გაუცხოვდება მისგან, ხდება ირაციონალური და აღარ იძლევა ორიენტირს სიცოცხლისათვის.

ამ ჩიხიდან თავის დასაღწევად აუცილებელია ცნობიერების მეორადი ინტენციებიდან გამოსვლა, საგანთა მნიშვნელობაში გაფეტიშებული მეთოდ-საშუალებებისა და პირობითობების ფენათა გადალახვა პირველადი ინტენციისკენ, რისთვისაც საჭიროა ცნობიერების ისტორიული ანალიზი, წარსულის რეაქტივაცია; კაცობრიობის ისტორიაში ჩაღრმავება ადამიანის პირველადი სასიცოცხლო ინტენციისა და მისი შესაბამისი მნიშვნელობების აღმოჩენის მიზნით.

თუ ჩატარებულ მსჯელობას გადავიტანთ მეცნიერებაზე, ფენომენოლოგიური ანალიზით შესაძლოა აღმოვაჩინოთ მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების კრიზისის ფესვებიც.

შემეცნება თავდაპირველად ადამიანის სასიცოცხლო ინტენციათა განხორციელებისაკენ იყო მიმართული. განხორციელების ამ გზაზე გარდაუვალი შეიქმნა ისეთი ეტაპები, როცა ცალკეულ მეთოდთა და საშუალებათა ინტენციებმა დაჩრდილეს საწყისი მიზანი; ფილოსოფიამ ვერ მოახერხა გზას აცდენილი შემეცნების კორექტირება, ადამიანისკენ შემობრუნება, რის გამოც მეცნიერება დაუპირისპირდა ადამიანს და გადაიქცა მისთვის მტრულ ძალად. მეცნიერებამ მხედველობიდან დაკარგა ადამიანი, სუბიექტი და გახდა ობიექტური, საბუნებისმეტყველო; თვით სუბიექტსაც იგი ეხება მხოლოდ ობიექტური მეთოდებით.

ამრიგად, კრიზისიდან თავის დასაღწევად ფენომენოლოგიური მეთოდი მოითხოვს მეცნიერების განწმენდას მეორეული ფენებისაგან, მის შემობრუნებას სუბიექტისკენ, როგორც სუბიექტისკენ, როგორც თავისუფალი, ინდეტერმინირებული სიცოცხლისაკენ. ასე უნდა გავიგოთ ჰუსერლის ლოზუნგი „უკან საგნებისაკენ". საგნების ფენომენოლოგიური განწმენდით ჩვენ ვწვდებით მის პირველად მნიშვნელობას. მის ნამდვილ ყოფიერებას, შესაბამისს თავისუფალი სუბიექტის ინტენციისადმი. ფენომენი წარმოადგენს არა პირობითობებითა და ცრუ მნიშვნელობებით დამძიმებულ საგანს, არამედ მათგან განწმენდილ, ცნობიერების სასიცოცხლო ინტენციასთან შერწყმულ მოცემულობას.

ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მიკროსამყაროს კვანტურ-მექანიკური აღწერა დამატებითობის კონცეფციის საფუძველზე სწორედ მეცნიერების კრიზისიდან თავის დაღწევის ცდაა ფენომენოლოგიური მეთოდის გზით.

კლასიკური ფიზიკა იძლევა სამყაროს ობიექტივირებულ სურათს, სადაც მოქმედებს ცალსახა დეტერმინიზმი და გამორიცხულია სუბიექტი.

განუზღვრელობის უტოლობამ და დამატებითობის პრინციპმა სამყაროს ფიზიკურ სურათში ჩართეს სუბიექტი, არა როგორც ობიექტი, არამედ როგორც სუბიექტი, როგორც ინდეტერმინირებული, მიზეზ-შედეგობრივი ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰვიდან ამორთული არის[2]. ამით, როგორც ქვევით ვნახავთ, კვანტური შემეცნება გაემიჯნა კლასიკურს, სადაც ურთიერთობა (მე — სხვა) სიმეტრიულია, გადასმადია, და დაუახლოვდა ესთეტიკურ შემეცნებას, სადაც ეს დამოკიდებულება (მე — სხვა) ასიმეტრიულია რადგან სამყარო შიგნიდან, სუბიექტიდან არის დანახული და სივრცე — დრო არაერთგვაროვანია ამ მე — სუბიექტის მიმართ. ამრიგად ჰუსერლის ფენომენოლოგიური მეთოდი აღმოჩნდა ის საფუძველი, რომელიც კვანტურ შემეცნებას აახლოებს ესთეტიკურთან, რაც უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ დამატებითობის პრინციპის გარკვეულ ანალოგზე მხატვრულ შემეცნებაში.

ახლა შეგვიძლია დავუბრუნდეთ შემეცნების პრობლემას მიკროსამყაროში და გავაანალიზოთ ის ფენომენოლოგიასთან კავშირის თვალსაზრისით.

ჰუსერლის ფენომენოლოგია მოითხოვს, რომ კრიზისიდან თავის დასაღწევად მეცნიერება დაუბრუნდეს ადამიანური შემეცნების პირველად მიზანს, მან უნდა მოახდინოს შემობრუნება სუბიექტისაკენ. ეს ნიშნავს ყოფიერების განხილვას სუბიექტთან მიმართებაში, რომელიც არის ზოგადი, არაპიროვნული და ამავე დროს „დამიზნული“, არაობიექტივირებული. მოცემულ რეალობაში უნდა ჩავრთოთ ინტერსუბიექტი, თავისუფალი, არაპიროვნული „მე“, როგორც ყოფიერების საზრისის (კვანტურ მექანიკაში ფიზიკური აზრის) მიმნიჭებელი ინტენცია.

მიკროსამყაროში ასეთი „ჩართვა“ ხდება განუზღვრელობის თანაფარდობის საფუძველზე. განუზღვრელობის უტოლობიდან გამომდინარეობს ობიექტის ერთიანობა მისი შემეცნების საშუალებებსა და პირობებთან (წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია კორპუსკულარულ-ტალღური პარამეტრების შეუთავსებლობა). თუ აღნიშნულ გნოსეოლოგიურ პირობებს მივიჩნევთ არაპიროვნულად მოცემული სუბიექტის გაგრძელებად, მაშინ მივიღებთ სუბიექტისა და ობიექტის განუყოფლობა-ერთიანობას, მათი ურთიერთქმედების მთლიანობას და განუზღვრელობას. თუ აქ სუბიექტს განვიხილავთ გარედან, როგორც ობიექტს, მაშინ განუზღვრელობის თანაფარდობას დაეკარგება თავისი პრინციპული მნიშვნელობა. მართლაც, თუ ლაპარაკი იქნა ორი ობიექტის ურთიერთქმედებაზე, მაშინ ყოველთვის შეგვიძლია შემოვიყვანოთ მესამე, სუბიექტი, რომელიც დააკვირდება ამ ურთიერთობას და პრინციპში შეძლებს მის კონტროლს, მოხსნის განუზღვრელობას. აქედან გამომდინარე, საგანი გაემიჯნება მისი შემეცნების ობიექტივირებულ პირობებს და კავშირი აღსდგება არაკომუტატიურ პარამეტრებს შორის. მაგრამ ჩვენ ამოვდივართ კვანტური თეორიის სისრულიდან, განუზღვრელობის უტოლობის პრინციპული ხასიათიდან და ვთვლით, რომ შემეცნების საშუალებები და პირობები არის სწორედ სუბიექტის გაგრძელება, ხოლო თვით ეს სუბიექტი კვანტურმექანიკურ რეალობაში მონაწილეობს როგორც სუბიექტი და არა როგორც ობიექტი. სწორედ ამიტომ, ურთიერთქმედება სუბიექტსა და ობიექტს შორის არის უკონტროლო და განუზღვრელი, რადგან ის, ვინც უნდა მოახდინოს მისი კონტროლი და განსაზღვრა, თვით წარმოადგენს ამ ურთიერთქმედების შინაგან მომენტს. ამრიგად მივიღეთ განუყოფელი ონტო-გნოსეოლოგიუ-

---

[2] წინააღმდეგ შემთხვევაში (ამას ქვევით ვნახავთ) განუზღვრელობის უტოლობას და დამატებითობის პრინციპს დაეკარგება თავისი პრინციპული მნიშვნელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი სიტუაცია, სადაც შედის ინტერსუბიექტი, როგორც თავისუფალი, არა-პიროვნული „მე“.

ვნახოთ ახლა როგორ მივყავართ სუბიექტის რეალობაში ჩართვას ინდეტერმინიზმამდე. ინდეტერმინიზმი მიკროსამყაროში გამოწვეულია იმით, რომ გარკვეულ მიზეზს მოცემულ ონტო-გნოსეოლოგიურ სიტუაციაში არ გააჩნია ფიზიკური აზრი და ამიტომ სათანადო შედეგი აზრს იძენს მხოლოდ როგორც ინდეტერმინირებული მოვლენა. ვინაიდან ამ მოვლენის აღწერის ენაც მიკრორეალობის შინაგანი და განუყოფელი მომენტია, შევვიძლია ვთქვათ, რომ ინდეტერმინიზმი გამოწვეულია იმით, რომ გარკვეული მიზეზის აღმნიშვნელ ცნებას მოცემულ ონტო-გნოსეოლოგიურ სიტუაციაში არ გააჩნია ფიზიკური აზრი. კვანტური მექანიკა სარგებლობს კლასიკური ფიზიკის ცნებებით. ეს ცნებები, აღნიშნავენ რა მაკროსამყაროში მოვლენათა „ობიექტურ“ თვისებებს, კლასიკურ სფეროში შემოუსაზღვრავად გამოიყენებიან. კვანტურ-მექანიკურ დონეზე მათი გამოყენება შემოსაზღვრულია განუზღვრელობის უტოლობით და დამატებითობის პრინციპით. კერძოდ, ერთსა და იმავე სიტუაციაში აკრძალულია ერთდროულად კორპუსკულარული და ტალღური ცნებების გამოყენება, რადგან ამ წყვილიდან მოცემულ პირობებში მხოლოდ ერთ-ერთს გააჩნია ფიზიკური აზრი. ასეთი შეზღუდვა კი გამოწვეულია იმით, რომ მიკროობიექტი განუყოფლად არის შერწყმული სუბიექტთან, შემეცნების პირობებთან, ხოლო სუბიექტს კი შექმნილ სიტუაციაში მხოლოდ ერთ-ერთი ცნების განსაზღვრა და რეალიზაცია შეუძლია. ამრიგად, კლასიკური ცნება თავისი მნიშვნელობით ასახავს მიკროობიექტის თვისებას, ხოლო თავისი ფორმით, თავისი შემოსაზღვრულობით გამოხატავს სუბიექტის შესაძლებლობას, მის მდგომარეობას. სუბიექტს გარკვეულ, ვთქვათ „კორპუსკულარულ“ პირობებში არ შეუძლია ტალღური ცნების განსაზღვრა, რის გამოც ეს ცნება მოკლებულია ფიზიკურ აზრს და ამ არარეალიზებული თვისების შედეგი, ანუ კვალი ინდეტერმინირებული გამოდის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფენომენოლოგიური ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია აქტუალურად მოცემული ყოფიერების მტკიცებისაგან თავის შეკავება. ამით მე გავდივარ მოცემული ყოფიერების საზღვრებს გარეთ და რეალიზებულს განვიცდი როგორც ალბათურს, როგორც შესაძლებელს და არა როგორც ერთადერთ, გარდაუვალ სინამდვილეს, ვითვალისწინებ მის სხვაგვარად მოცემულობის პოტენციებს.

მეორე მხრივ, ასეთი თავშეკავებით ჩემი აღქმა იცლება რეალური შინაარსისგან, გვრჩება ცარიელი აღქმა, მისი ფორმა ანუ მისი იდეა. ამრიგად, აქტუალიზებული ყოფიერებისგან განყენება ნიშნავს მზერის შემობრუნებას საგნიდან იდეალურისკენ, სუბიექტისკენ.

დამატებითობის პრინციპიც სწორედ ამ ფენომენოლოგიურ მიდგომას გულისხმობს. ეს პრინციპი კორპუსკულარულ-ტალღური დუალიზმის საზღვრებში მოითხოვს ორი შეუთავსებელი და ურთიერთგამომრიცხავი წარმოდგენის ექვივალენტობას ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით. ამიტომ ობიექტის ამომწურავი დახასიათებისთვის ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ როგორც მისი კორპუსკულარული სურათი, ასევე მისი ტალღური წარმოდგენაც, როგორც ერთმანეთის გამომრიცხავი, მაგრამ შემავსებელი მხარეები. კორპუსკულარული სურათი ყოფიერების აქტუალიზებულ მდგომარეობას გვიჩვენებს, სადაც მოვლენები ლოკალიზებულია სივრცესა და დროში და მოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედებს მიზეზობრიობის კანონი. ტალღური წარმოდგენა არის ალბათობების განაწილებათა სივრცე, სადაც არც ერთი მნიშვნელობა არ არის რედუქცირებული მაქსიმალური ალბათობით, არამედ ყოველი მათგანი, (მათ შორის კორპუსკულარულ სურათში რეალიზებული მნიშვნელობებიც) განიხილება როგორც ალბათური, შესაძლებელი. ამრიგად, დამატებითობის სტრუქტურაში ჩვენ, ერთი მხრივ, გვაქვს აქტუალიზებული ყოფიერება, მეორე მხრივ კი, მას ვუყურებთ როგორც ალბათურს, როგორც შესაძლებელს, რეალიზაციის სხვა ვარიანტების შესაძლებლობათა ფონზე. ასეთი მიდგომა გამორიცხული იყო კლასიკურ ფიზიკაში, სადაც პირობითად იგნორირებულია სუბიექტი, მაგრამ არსებითია დამატებითობის კონცეფციაში, სადაც სუბიექტი ფიზიკური რეალობის მომენტს შეადგენს.

ამრიგად, თუკი აქტუალიზებული ყოფიერების მტკიცებისაგან თავს შევიკავებთ და მას შევხედავთ როგორც შესაძლებელ, ალბათურ ყოფიერებას, მაშინ იხსნება გზა სხვა ალბათობათა, სხვა შესაძლებლობათა მისაწვდომად. კორპუსკულარულ-ტალღური დუალიზმის საზღვრებში ეს ნიშნავს რეალობის მიზეზობრივ აღწერაში რეალიზებულ სივრცე-დროულ მნიშვნელობათა გვერდით ალბათურ-ტალღური პარამეტრების შემოყვანას, ანუ ფენომენების სისტემაში ინტერფენომენების ჩართვას. ასეთ დუალიზმს მივყავართ მიზეზობრივ ანომალიამდე, ინდეტერმინიზმამდე.

საინტერესოა, რომ კვანტურმექანიკური სუბიექტი განსხვავდება იმ არაცდისეული, წმინდა სუბიექტისაგან, რომელიც მოქმედებს ჰუსერლის ფენომენოლოგიაში და რომელიც საბოლოო ჯამში ობიექტისმაგვარი, საგნისმაგვარი გამოდის. ზურაბ კაკაბაძე სამართლიანად შენიშნავს[3], რომ ჰუსერლმა თავის მოძღვრებაში ბოლომდე თანმიმდევრულად ვერ გაატარა, ვერ დაიცვა და დაამკვიდრა სუბიექტურობის იდეა. სუბიექტი ობიექტისგან განსხვავდება იმით, რომ მიმართულია ურთიერთობათა განსხვავებებისაკენ, ცვლილებებისაკენ, ინდივიდუაციისაკენ, განუმეორებლობისაკენ, ობიექტი კი ერთნაირად და განურჩევლად იმეორებს სხვა შესაძლო ობიექტთა თვისებებს. სუბიექტურობის იდეა განუხორციელებელი რჩება, თუკი ფაქტიური სუბიექტი იმეორებს სხვა სუბიექტებისთვის დამახასიათებელ ურთიერთობებს. სწორედ ასეთი ობიექტური იდეალიზმის ყაიდაზე „იდეალური“, კონკრეტულ სიტუაციებზე ამაღლებული, ცვალებად-განსხვავებულ სიტუაციებში უცვლელ-განურჩევლად მყოფი, მოკლედ ობიექტისმაგვარი აღმოჩნდა ჰუსერლის ტრანსცენდენტალური სუბიექტი.

კვანტურმექანიკური სუბიექტი არ წარმოადგენს უცვლელ-განურჩეველს სხვადასხვა ცდისეული სიტუაციის მიმართ. კორპუსკულარულ და ტალღურ სიტუაციებში შემავალი სუბიექტები წარმოადგენენ სუბიექტურობის განსხვავებულ მომენტებს, რომლებიც ერთმანეთზე არ დაიყვანება. ამრიგად კვანტურ დონეზე გვაქვს ორი სუბიექტი, რომელიც ფიზიკური რეალობის ორ დამატებით სურათს ქმნის. უფრო ღრმად, სუბკვანტურმექანიკურ დონეზე დუალიზმი პლურალიზმში გადადის და დამატებით სიტუაციათა რიცხვი იზრდება. აქ უკვე გვაქვს სუბიექტურობის რამოდენიმე მომენტი, ერთმანეთზე დაუყვანელი და ურთიერთგამომრიცხავი. ამრიგად კვანტურ-

---

[3] ზ. კაკაბაძე, ექსისტენციალური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია. გვ. 163—174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექანიკური სუბიექტი შემეცნების ჩაღრმავებასთან ერთად თანდათან თავისუფლდება ობიექტისმაგვარობისგან, განმეორებადობისგან და იძენს ერთადერთობის, განუმეორებლობის თვისებებს. სწორედ ასეთი სუბიექტი პასუხობს ფენომენოლოგიურ მეთოდს, არა რეალური სუბიექტი, რომელიც ჩართულია კვანტურმექანიკურ რეალობაში (ასეთი სუბიექტი გარკვეულ საზღვრებში, ვთქვათ კორპუსკულარულ სიტუაციათა სისტემისათვის განმეორებადია, ნაწილობრივ საგნისმიერია), არამედ ის იდეალური მოდელი, ის ზღვარი, საითკენაც მიისწრაფვის კვანტურმექანიკური შემეცნება.

ჰუსერლის სუბიექტური ყოფიერება თავის თავში ერთგვარ ზე-ინდივიდუალურ ასპექტს შეიცავს, მაგრამ ეს ზე-ინდივიდუალური მომენტი არსებითად უნდა განსხვავდებოდეს ობიექტების ყოფიერების „კანონისაგან“. ობიექტი მით უფრო „კანონიერია“ თავის ყოფიერებაში, რაც უფრო ერთფეროვნად იმეორებს სხვა ობიექტების სტრუქტურებსა და მიმართებებს. ამის თქმა, ცხადია არ შეიძლება სუბიექტზე. სუბიექტი მით უფრო ნაკლებად არის „კანონიერი“, რაც მეტი მსგავსებით იმეორებს სხვების ცხოვრებას. სუბიექტური ყოფიერების ზე-ინდივიდუალური მომენტი მდგომარეობს რაღაც პირველად ინტენციაში, როგორც უსასრულო მიზანში და მისი განხორციელებისკენ მიმართულობაში. უსასრულო მიზანი, რომელიც არასოდეს სრულად არ ხორციელდება, რეალიზაციის სულ ახალსა და ახალ დონეებს და ამით შესაბამისი მოქმედების ინდივიდუაციას მოითხოვს. რეალური სუბიექტი, რომელიც თანხმობაშია სწორედ ასეთ ზე-ინდივიდუალურ კანონთან, არ შეიძლება ერთსახოვნად იმეორებდეს სხვა სუბიექტების ურთიერთობებს და აგრეთვე თავის მოქმედებებსა და ურთიერთობებს წარსულში. რა თქმა უნდა, რეალობაში გვაქვს განმეორებადობის გარკვეული ხარისხი, მაგრამ ერთფეროვან-სრული განმეორება სუბიექტისთვის სწორედ კანონის დარღვევას, არანორმალურობას ნიშნავს. სრული განმეორებისას სუბიექტი წყვეტს უსასრულო მიზნის შემდგომ განხორციელებას და ეწინააღმდეგება თავისი ყოფიერების კანონს — უსასრულო მიზნის განხორციელებისკენ მიმართულობას. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, კვანტურმექანიკური სუბიექტი, შემეცნების წინსვლასთან ერთად უსასრულოდ უახლოვდება ამ განუმეორებელი და ერთადერთი სუბიექტის იდეალს და ამდენად თანხმობაშია სუბიექტური ყოფიერების ზე-ინდივიდუალურ კანონთან.

ამრიგად, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ შევქმნათ სუბიექტური ყოფიერების იდეალური მოდელი, რომელიც ერთმანეთის გამომრიცხავ ასპექტებს მოიცავს. ერთი მხრივ, არ იქნება ობიექტისმაგვარი, საგნისმიერი, ე. ი. იქნება განუმეორებელი, ერთადერთი და ამ აზრით ინდივიდუალური, მეორე მხრივ კი, ინდივიდუალობაზე ამაღლებული, ტრანსცენდენტალური, ზოგადი, რათა მასთან ურთიერთქმედებაში შექმნილ საგნობრივ მნიშვნელობებს არ დაეკარგოს ზოგადობა, აუცილებლობა, მათ შესახებ ცოდნას კი თავისი აპოდიქტური ხასიათი. ასეთ იდეალურ მოდელს დავსახავთ უსასრულო მიზნად, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ხორციელდება შემეცნების გზაზე.

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს ფორმალურ მიზანთან, რეალურად მიუწვდომელთან, რომელსაც შემეცნებისთვის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა გააჩნია და რომელიც განსაზღვრავს მის მიმართულებას, რათა მეცნიერება დააბრუნოს ჭეშმარიტების გზაზე და მიუახლოვოს ცნობიერების პირველად ინტენციას, ადამიანის ყოფიერებას. ეს მიზანი რეალურად მიუწვდომელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის გამო, რომ წარმოადგენს ურთიერთგამომრიცხავი ასპექტების — სუბიექტის განუმეორებლობა-ერთადერთობის და თან ზე-ინდივიდუალობის ერთიანობას. ამდენად, იგია რეალურს მიღმა მყოფი, ტრანსცენდენტალური, ფორმალური სუბიექტი, რომელიც მეთოდოლოგიურ როლს ასრულებს რეალურ სუბიექტ-ობიექტთა ურთიერთობაში. მაგრამ დამატებითობის პრინციპიც ფორმალური, მეთოდოლოგიური პრინციპია, კორპუსკულარულ-ტალღური დუალიზმის დონეზე იგი მოითხოვს სინამდვილის ურთიერთგამომრიცხავი მხარეების, დისკრეტობისა და უწყვეტობის ერთიანობას, რის გამოც ეს ერთიანობა რეალურად მიუწვდომელია, ტრანსცენდენტალურია, ფიზიკური რეალობა კი პოლიფონურია.

მოყვანილი ანალოგია ჰუსერლის ტრანსცენდენტალურ სუბიექტსა და ბორის დამატებითობის პრინციპს შორის არ ამოიწურება გარეგნული მსგავსებით. დამატებითობის პრინციპის შემოყვანა, როგორც ვნახეთ, დაკავშირებულია მიკროსამყაროში სუბიექტის ჩართვით, რომელიც უსასრულოდ მიისწრაფვის სწორედ ამ განუმეორებელ, ზე-ინდივიდუალური მოდელისაკენ და მის აბსოლუტურ თავისუფლებას მხოლოდ ნაწილობრივ ახორციელებს შემოსაზღვრული ინდეტერმინიზმის სახით.

კონკრეტულად განვიხილოთ ამ განხორციელების მექანიზმი, თუ როგორ გადადის ტრანსცენდენტალური „მე-ს“ თავისუფლება ქვანტურ მოვლენათა ნაწილობრივ ინდეტერმინიზმში.

როგორც აღვნიშნეთ, არსებითი განსხვავება კვანტურ მექანიკასა და კლასიკურ ფიზიკას შორის მდგომარეობს არა იმდენად საგნობრივ არეთა სხვადასხვაობაში, არამედ ფიზიკური სინამდვილის აღწერის მეთოდში, რომელიც გამომდინარეობს სუბიექტ-ობიექტის განსხვავებული ურთიერთობებიდან. კლასიკურ სფეროში უგულებელყოფილია უმცირესი ქმედების განუყოფელი კვანტი h, რის გამოც შესაძლებელია სუბიექტურ ფაქტორთა ობიექტზე ზემოქმედების უსასრულოდ შემცირება და ე. წ. სუფთა ობიექტზე ლაპარაკი, ანუ შესაძლებელია ზღვარის გატარება სუბიექტსა და ობიექტს შორის. მიკროსამყაროში მხედველობაშია მიღებული უმცირესი კვანტის განუყოფლობა და მასთან თანაზომადი სუბიექტ-ობიექტის ურთიერთქმედებაც განუყოფელი გამოდის. ამის გამო შეუძლებელია უსასრულოდ შევამციროთ გნოსეოლოგიურ ფაქტორთა ზემოქმედება ობიექტზე, ამ ფაქტორთა გამორიცხვის მიზნით, შეუძლებელია მკაფიო საზღვარი გავატაროთ შემმეცნებელსა და მის საგანს შორის. სუბიექტ-ობიექტის ურთიერთქმედების განუყოფლობა, მათი შერწყმა, ანუ კვანტურმექანიკური ექსპერიმენტის მთლიანობა ქმნის ამ ურთიერთქმედების ერთგვარ ინდივიდუალობას, განუმეორებლობას; და რამდენადაც მიუწვდომელია ამ ურთიერთქმედების რეპროდუქცია, ზუსტი განმეორება, ამდენად შეუძლებელია მისი რეზულტატის, ობიექტის მნიშვნელობის ცალსახა წინასწარმეტყველება, ზუსტი განსაზღვრა. ყოველი გაზომვისას სუბიექტს ახალი, განუსაზღვრელი შეშფოთება შეაქვს მიკრომდგომარეობაში და გაზომვის შედეგიც აღარ იმეორებს წინა ანათვალს. ინდეტერმინიზმი გვაქვს იქ, სადაც ერთსა და იმავე სიტუაციაში მიიღება სხვადასხვა შედეგი. ჩვენს შემთხვევაში სიტუაციათა იგივეობა მიუღწეველია როგორც რეალურად, ასევე იდეალურად, რადგან ცდის დეფექტი კი არ არის ეს, არამედ თეორიის ტაბუ, ნულამდე შევამციროთ შეშფოთების ქმედება; ამიტომ არ შეგვიძლია მიზეზობრივი საფუძველიდან ცალსახად განვსაზღვროთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგი, ზღვარში მაინც მივაღწიოთ სრულ განმეორებას და მოვსპოთ მნიშვნელობათა გაბნევა. ამრიგად, შემმეცნებელი სუბიექტის თავისუფლება მიკროორეალობაში სუბიექტ-ობიექტის ურთიერთქმედების ინდივიდუალობით, განუმეორებლობით და მისგან გამომდინარე კვანტურ მოვლენათა ინდეტერმინიზმით გამოიხატება.

ეს გამოხატვა ნაწილობრივია. მართლაც, ჰაიზენბერგის უტოლობის თანახმად, რეალურ მდგომარეობაში არაკომუტატიურ სიდიდეთა მნიშვნელობები გაბნეულია ინდეტერმინიზმის სასრულო ინტერვალში (ზღვრული მდგომარეობა, როცა ერთის ზუსტად განმეორებად მნიშვნელობას შეესაბამება მეორის უსასრულოდ გაბნეულ-განუზღვრელი ანათვალი, მიუღწეველია პლანკის მუდმივას განუყოფლობის გამო). ყოველივე ეს ნიშნავს, რომ რეალური სუბიექტი მხოლოდ ნაწილობრივ ექვემდებარება „სუბიექტურობის კანონს“, რომ მისი განუმეორებლობა-ინდივიდუალობა შემოსაზღვრულია და მას სხვადასხვა პარამეტრების მიმართ ახასიათებს გარკვეული განმეორებადობა, ობიექტისმაგვარობა. ამრიგად, კვანტურმექანიკური სუბიექტი შედგება ორი შრისაგან. ერთი მხრივ, ის არის საგნისმიერი, იგივეობრივი და ამდენად მისი ობიექტზე ზემოქმედება ექვემდებარება კონტროლს, რაც საშუალებას გვაძლევს მოვაწესრიგოთ ცდის მონაცემები და ავაგოთ ცოდნის გარკვეული სისტემა, მეორე მხრივ კი, იგი ზიარებულია ე. წ. სუბიექტურობის კანონს, ინდივიდუაციას და როგორც განუმეორებელს და ერთადერთს, ინდეტერმინიზმი შეაქვს ამ სისტემაში. რეზულტატში, ამ ორი შრის გავლენით ვიღებთ ცდის მასალის არა ერთნიშნად მოწესრიგებულ სურათს, არამედ მის ალბათურ-მიახლოებით აღწერას, რაც გამოწვეულია არა ინფორმაციის უკმარისობით, არამედ სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობათა თავისებურებით, ანუ (რამდენადაც სუბიექტი „ჩართულია“ რეალობაში) თვით ფიზიკური რეალობის ბუნებით.

კვანტურმექანიკური სუბიექტის მეორე შრე საშუალებას გვაძლევს მეცნიერული შემეცნება „შემოვაბრუნოთ“ ადამიანის ყოფიერებისაკენ. ადამიანის არსებითი ნიშანია თავისუფალი აქტივობა. თავისუფალი აქტივობა არის მოქმედება „სხვანაირად-მოქმედების“ შესაძლებლობის ფონზე. თუკი მოქმედება დეტერმინიზმის ჩარჩოებშია მოქცეული, თუ ერთადერთი შესაძლებლობაა წინა მნიშვნელობის ზუსტი განმეორება და არ არსებობს ამ მონაცემიდან გადახრის ალბათობა, მაშინ წყდება თავისუფალი აქტივობა და სუბიექტი კარგავს თავის თავს. ასეთი ვითარება იყო შექმნილი ტრადიციულ მეცნიერებაში. იგი მიისწრაფოდა სამყაროს ისეთი აღწერისაკენ, სადაც ადგილი აღარ რჩებოდა ადამიანის თავისუფალი მოქმედებისათვის. განუზღვრელობის თანაფარდობამ და დამატებითობის პრინციპმა აჩვენა ამ მისწრაფების უსაფუძვლობა, მიკროსამყაროში გამოვლენილი ინდეტერმინიზმი სწორედ ამ თავისუფალი აქტივობის კვალია, სუბიექტის მოქმედების კვალი არჩევანის პირობებში, სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობის ფონზე. ეს საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ განუზღვრელობის უტოლობა დაკავშირებული პლანკის მუდმივას აღმოჩენასთან სამყაროს შემეცნების ახალ ორიენტაციას იძლევა.

ის ფაქტი, რომ სუბიექტ-ობიექტის განუყოფელი სისტემა მიისწრაფვის განუმეორებლობისაკენ, იწვევს დრო და სივრცის ერთგვაროვნების დარღვევას. ერთგვაროვნება გვაქვს იქ, სადაც სისტემა (მდგომარეობა) იგივეობრივია დროის სხვადასხვა მომენტებსა და სივრცის განსხვავებულ წერტილთა მიმართ. რამდენადაც ჩვენს შემთხვევაში ეს განმეორებადობა მიუღწეველია

ეროვნული ბიბლიოთეკა



(გამეორების ყოველი ცდა იწვევს უკონტროლო ცვლილებებს სისტემაში, რაც იმის მაუწყებელია, რომ აქ ჩართულია სუბიექტი როგორც „მე“, როგორც ინდივიდუალური და არა როგორც ობიექტი), ამდენად, სივრცე-დრო არაერთგვაროვანია, ცდა არ არის განურჩეველი თუ როდის და სად ჩატარდება იგი. განმეორებადობის შეუძლებლობის გამო აღარ არსებობს ცალსახა კავშირი ცდის შედეგებსა და მდგომარეობას შორის, ისინი აღარ გამომდინარეობენ მისგან, მდგომარეობის ანალიზით შეუძლებელია ამ შედეგების გამოყვანა, მათი ზუსტი წინასწარხედვა. აქ გვაქვს ნაწილობრივი იდენტერმინიზმი, მაგრამ ეს არის იდენტერმინიზმი მეცნიერების ლოგიკის თვალსაზრისით. სინამდვილეში ჩვენ გვაქვს კავშირი ცდის კვანტურ მოვლენასა და მიკრომდგომარეობას შორის, აქ არ ვგულისხმობთ ალბათურ კავშირს, რომელიც გამოიყვანება მდგომარეობიდან და მოქმედებს სტატისტიკურ დონეზე, მოვლენათა დიდი რიცხვისთვის, — ჩვენ მხედველობაში გვაქვს კავშირი ინდივიდუალურ კვანტურ მოვლენასა და მთლიან, საწყის მდგომარეობას შორის, საიდანაც გამომდინარეობს მხოლოდ ინტერვალი მოვლენის შესაძლებელი ვარიანტებისა და არ არის გაკეთებული არჩევანი მათ შორის. არჩევანს აკეთებს თვით მოვლენა და უკუმოქმედებს რა საწყის მდგომარეობაზე, ცვლის მას თავისი თვითრეალიზაციის მიხედვით. ამრიგად სახეზეა მრავალნიშნა კავშირი ერთეულ მიკროეფექტსა და მდგომარეობას შორის. ეს კავშირი მოჩანს არა წინასწარხედვით, არამედ თვალის უკუფენით, ახალ კვანტურ მნიშვნელობათა რეალიზაციის შემდეგ. რეალიზაციის ეს გზა არ არის ცალსახად დეტერმინისტული, საწყისიდან გამომდინარე, იგია შემოქმედებით-სინთეზური, ნახტომისეხური, ცვლის და აფართოებს წინა მდგომარეობას და მხოლოდ ამის შემდეგ დამატებითობის პრინციპი ავლენს მათ შორის მრავალნიშნა კავშირს.

კვანტურ დონეზე ფენომენოლოგიური მეთოდი თვალნათლივ ხორციელდება. მართლაც გაზომვის შედეგად ჩვენ ვადგენთ, რომ ვთქვათ კოორდინატი $X_1=V$ მიკრომდგომარეობას განეკუთვნება. ამ პრედიკატიულ მსჯელობას ჩვენ ვსვამთ ბრჭყალებში, მივაწერთ არა აუცილებელ სინამდვილეს, არამედ შესაძლებლობის სფეროს, სადაც სხვა მნიშვნელობათა შესაძლებლობებიც არსებობენ. ამიტომ ვაკეთებთ ახალ გაზომვას არა ძველის განმეორების, არამედ ახალი $X_2$ მნიშვნელობის პოვნის მიზნით და ვადგენთ შესაძლებლობათა ჰორიზონტს, X-ის მნიშვნელობათა ინტერვალს, რომელიც შეესაბამება V მდგომარეობას. ანალოგიურად დავადგენთ P-ს მნიშვნელობათა ალბათურ ინტერვალს იმავე მდგომარეობისთვის და მათ საფუძველზე გამოგვყავს განუზღვრელობის უტოლობა.

$$\Delta \times \Delta P > h$$

ახლა ფენომენოლოგიური მეთოდი მოითხოვს გამოვიკვლიოთ ის პირობები, რაც მოცემულ კანონს ანიჭებს არსებობის საზრისს და აძლევს პრინციპულ მნიშვნელობას. როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს პირობაა სუბიექტი. მართლაც განუზღვრელობის თანაფარდობა სუბიექტ-ობიექტის განუყოფელ ურთიერთქმედებას ეყრდნობა, რადგან აქ რომ გვქონდეს მხოლოდ ობიექტების ურთიერთქმედება, მაშინ განუზღვრელობის უტოლობას არ ექნება პრინციპული ხასიათი, ყოველთვის შეგვიძლია შემოვიყვანოთ სუბიექტი, რომელიც ტექნიკურ შესაძლებლობათა სრულყოფის შედეგად მოახდენს აღნიშნული ურთიერთქმედების ანალიზს და მოხსნის განუზღვრელობას. მაგრამ სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის გამო, რომ თვით სუბიექტი შეადგენს ურთიერთქმედების მომენტს, მისი კონტროლი და განუზღვრელობის გადალახვა ლოგიკურ წინააღმდეგობას შეიცავს.

როგორც ვხედავთ, განუზღვრელობის თანაფარდობა მიანიშნებს სუბიექტზე, მაგრამ ამ სუბიექტს ვერ გავაიგივებთ ჰუსერლის ტრანსცენდენტალურ სუბიექტთან. კერძო მეცნიერებები — ფიზიკა, ფსიქოლოგია... ფენომენოლოგიური ეპოქეს გზით ავლენენ სუბიექტურობის გარკვეულ დონეს, რაც მათ მნიშვნელობით-საგნობრივ რეალობას შეესაბამება, ტრანსცენდენტალური სუბიექტი კი არის მიზანი რეალობის ჰორიზონტს მიღმა, საითაც უნდა მივმართოთ ეს დონეები, რათა მეცნიერების ობიექტივირებულ ცოდნაში არ დაგვეკარგოს ადამიანი.

ამრიგად, განვსაზღვრეთ რა კოორდინატ-იმპულსის შესაძლებლობათა თვალსაწიერი, შევადგინეთ განუზღვრელობის უტოლობა და ჩავწვდით მის მნიშვნელობრივ-ღირებულებრივ საფუძველს, სუბიექტს. მეორე მხრივ, იმავე უტოლობის საშუალებით დავადგინეთ ალბათურ-სტატისტიკური კავშირი მიკრომდგომარეობასა და კვანტურ მოვლენას შორის. დამატებითობის პრინციპი სწორედ ასეთ საფუძველზე შემოყვანილი პრინციპია. იგი არ გამომდინარეობს კვანტური თეორიიდან, არამედ წარმოადგენს დაშვებას, რომელიც ადამიანის სამყაროსადმი დამოკიდებულების პოზიციით განისაზღვრება, განიხილოს არსებული როგორც მთელი, როგორც ერთიან-მოწესრიგებული რეალობა. სწორედ ამ მოთხოვნის გამო დამატებითობა ურთიერთშეუფარდებელ მიკრომდგომარეობებს ერთსა და იმავე ობიექტს მიაწერს, როგორც ამ ობიექტის შემავსებელ მხარეებს. ასე რომ, დამატებითობის საფუძველშიც სუბიექტი ჩანს თავისი ღირებულებითი პოზიციით.

ახლა შეგვიძლია დასკვნის სახით ჩამოვაყალიბოთ ჩვენი გამოკვლევის შედეგი:

მეცნიერული შემეცნება თანდათან დაშორდა თავის საწყის მიზანს — ადამიანური ყოფიერების დამკვიდრებას. ეს გაუცხოება მოხდა სამყაროს სურათის ობიექტივაცია-დეტერმინიზმის გზით, სადაც ადგილი აღარ დარჩა ადამიანის პიროვნულ-შემოქმედებითი თავისუფლებისთვის. კრიზისიდან თავის დასაღწევად მეცნიერულმა შემეცნებამ უნდა აღადგინოს პირველი მიზანი და მზერა შემოაბრუნოს სუბიექტისკენ. ასეთი შემობრუნება ფენომენოლოგიური მეთოდით ხორციელდება. ამ მეთოდის მოქმედების კვალს ვპოულობთ მეცნიერებაში. (კვანტურ მექანიკაში), რაც საფუძველს გვაძლევს დავსახოთ ის შემეცნების შემობრუნების, მისი ახალი ორიენტაციის მიმართულებად.

კვანტურ მექანიკაში ფენომენოლოგიური მეთოდი მოითხოვს ბრჭყალებში ჩავსვათ პრედიკატული ცდის შედეგები და შევხედოთ მას არა როგორც ერთადერთ, გარდაუვალ რეალობას, არამედ როგორც შესაძლებლობას, სხვადყოფნის ალბათობის ფონზე. ამიტომ ვახდენთ ვარიაციებს, ვიმეორებთ ცდებს და ვადგენთ შესაძლებლობათა ჰორიზონტს, ინტერვალს, ანუ ვპოულობთ ინვარიანტს, რომელიც განუზღვრელობის თანაფარდობას ექვემდებარება. ჩვენ არ ვახდენთ ამ თანაფარდობის ანალიზს, არამედ მასაც ვსვამთ ფრჩხილებში, ვაწარმოებთ მის თემატიზაციას, თვალს გადავავლებთ სხვა შესაძლებლობებს და ამით მზერას მივმართავთ იმ საფუძველზე, რომელიც მას პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს საფუძველია სუბიექტი. ფენომენოლოგიური ეპოქე გრძელდება მანამ, სანამ საგანი არ დაიცლება რეალური შინაარსისგან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დარჩება წმინდა იდეა. ამიტომ სუბიექტიც თავსდება ფრჩხილებში. ჩვენ თავს ვიკავებთ მისი რეალურ-შინაარსობრივი ანალიზისგან, მისი გასაგნებისგან და გულისყურს ვამახვილებთ იმ ფაქტორებზე, რომლებიც მას სუბიექტურობის იდეას აზიარებენ. ეს ფაქტორებია განუმეორებლობა და ინდივიდუალობა. ასე მივდივართ წმინდა სუბიექტთან, ანუ ცარიელ ცნობიერების ნაკადთან, სადაც (მსგავსად ჰერაკლიტეს მდინარისა) არაფერი არ მეორდება, ყოველი წვეთი ახლის დაბადებაა. ეს განუმეორებლობის პრინციპი კვანტურ რეალობაში (ისევე როგორც ყოველგვარ რეალობაში) მხოლოდ ნაწილობრივ ვლინდება სუბიექტ-ობიექტის ურთიერთქმედების განუყოფლობისა და ინდივიდუაციის სახით. შემეცნების მიკროსამყაროში ჩაღრმავებასთან ერთად მისი განმეორებადობა კლებულობს ინდივიდუაციის გაზრდის ხარჯზე, რაც ახალი ორიენტაციის, სუბიექტურობის იდეისკენ მიმართვის დასტურია.

ამრიგად ტრანსცენდენტალური სუბიექტი, როგორც მარად განახლებადი, განუმეორებელი ნაკადი წარმოადგენს კვანტური რეალობის მნიშვნელობრივ საფუძველს. ინდივიდუაცია ხდება არა პიროვნული დაკონკრეტების სახით, არამედ ენის დიფერენციაციის, მონოლოგიური აღწერიდან პლურალიზმზე გადასვლის გზით. რეალურ სუბიექტში, რომელიც მიისწრაფვის ამ უსასრულო საფუძველ-მიზნისაკენ, ორი შრე იქმნება: ობიექტური, საგნობრივი შრე, რომელიც მიკრონაწილაკთან ურთიერთქმედებაში განსაზღვრავს მის ალბათურ-სტატისტიკურ კანონზომიერებებს და არის განმეორებადი, და სუბიექტური შრე, რომელიც ამ ურთიერთქმედების განუმეორებლობა-მთლიანობას იწვევს და რომლის ქმედითი თავისუფლება ალბათური კანონის ფარგლებში ერთეულ ფლუქტუაციაში, ინდეტერმინიზმში გადადის. პირველი ფენის საგნობრივ ზემოქმედებას აკონტროლებს პრედიკატული ცდა გარედან დაკვირვებისა და გამოყვანის მეთოდებით, მეორე ფენის გავლენა ამ ცდაში უკონტროლოა, ის არ შეიძლება გამოვიყვანოთ პირობების ანალიზით, მაგრამ ის შეიძლება ინტუიციურად განვჭვრიტოთ, ერთბაშად, მთლიანობაში დავინახოთ მისი საგანთან ურთიერთქმედების ინდივიდუალური მხარე და მასთან დაკავშირებული ფლუქტუაცია. ინტუიციისთვის საჭიროა დამატებითი პირობები და წინაფორმალური, ტრანსცენდენტალური ლოგიკაც ამ პირობათა შექმნის წესები და კანონებია. ეს არ არის გამომდინარეობის ლოგიკა, იგი არ მიმართავს ინდუქცია-დედუქციის მეთოდს, არამედ განუმეორებლობისა და ინტუიციის მომენტებს ეყრდნობა. ახალი მნიშვნელობა კი არ გამოიყვანება ძველიდან არამედ წარმოადგენს შემოქმედებით ნახტომს, უეცარ გაელვებას, აღმოჩენას, რომლის კავშირი წინამავალთან მხოლოდ უკანა რიცხვით გამოჩნდება. ამრიგად კვანტური სუბიექტურობის, ინდეტერმინიზმის კონტროლი წინაპრედიკატიულ, ინტუიციურ ცდაში ხდება, რომელიც გამზადებულ მნიშვნელობებს კი არ იყენებს, მათ ჩამოყალიბება-ქმნადობის პროცესს იჭერს. ფაქტიურად ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტმა თავისი თავი შიგნიდან, ცნობიერების ნაკადის სიღრმიდან დაინახოს, განჭვრიტოს თავისი ახალი ცვალებადობა და ინტუიციით იგრძნოს მიკრონაწილაკის მომავალი, თვითნებური ქცევა. ყოველივე ეს მოითხოვს ინტუიციის პიროვნულ-ინდივიდუალურ თვისებას, ამიტომ კვანტურ მექანიკაში, სადაც ანალიზს ავსებს შემოქმედებით-სინთეზური ინტუიცია, აღარ ხდება პიროვნების ნიველირება, რაც მეცნიერების ახალი ორიენტაციის, მისი ადამიანისაკენ შემობრუნების, მისი ჰუმანიზაციის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

М. Г. ДОЛИДЗЕ

# ПОЗНАНИЕ МИКРОМИРА И ФЕНОМЕНОЛОГИЧЕСКИЙ МЕТОД ЭДМУНДА ГУССЕРЛЯ

Резюме

В статье рассматривается феноменологический метод Эдмунда Гуссерля и его взаимосвязь с методологическими принципами квантовой механики; в частности, с принципом дополнительности Бора и с соотношением неопределенности Гайзенберга. По мнению автора такая взаимосвязь возможна на основе целостности квантово-механического эксперимента, на основе единства субъект-объектных отношений в микромире. Исследуя механизм применения феноменологии в микромире, автор устанавливает, что индетерминизм единичных квантовых явлений—следствие индивидуации и неповторимости квантовых ситуаций, которые отражают свободу и индивидуальность познающего субъекта. Методы индукции и дедукции в микрообласти ограничиваются, уступая место трансцендентальной логике феноменологии, основанной на моментах неповторимости и интуиции. Таким образом, в познании микромира участвует не всеобще абстрактный субъект, условно нивелированный на классическом уровне, а субъект как индивидуальность, со своими личностными свойствами интуиции, а это новый ориентир сближения науки и человека на пути гуманизации науки.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დამანა მელიქიშვილი

# დასკვნა-დასაბუთებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ძველ ქართულში

XI—XII საუკუნეები, ელინოფილური მიმართულების ხანა ქართული ლიტერატურისა და თარგმანის ისტორიაში, გამოირჩევა ცნებითი ღირებულების მქონე ლექსიკის აქტიური შემოქმედებით, ქართული ენის სასიცოცხლო ძალების არაჩვეულებრივი დაძაბვითა და გააქტიურებით. ამ ხანისათვის დამახასიათებელმა განსაკუთრებულმა ინტერესმა ეგზეტიკისადმი, როგორც ანტიკური ხანის ფილოსოფოსთა (ძირითადად პლატონისა და არისტოტელეს) ნაშრომების, ისე ბიბლიური ტექსტების ადრექრისტიანული ხანის მოაზროვნეების მიერ შესრულებული კომენტარებისადმი, თავის მხრივ, წმინდა ფილოსოფიით დაინტერესება გამოიწვია. ასეთი მეცნიერული ხასიათის ლიტერატურის მიზანდასახულმა სისტემურმა თარგმნა-დამუშავებამ მოითხოვა თეორიისა და აზრის ზუსტად გადმოცემა, ცნებათა დიფერენცირებისათვის საჭირო სპეციალურ ტერმინთა ზუსტი შესატყვისების ძიება და წარმოება, რასაც შედეგად მოჰყვა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება და სისტემაში მოყვანა, ქართული მეცნიერული ენის შექმნა. სწორედ ეს არის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი, რომელიც ელინოფილური მიმართულების მიმდევრებმა დაუტოვეს ქართულ სალიტერატურო ენას. თუმცა მათ მიერ შექმნილი და დამუშავებული ტერმინებიდან ბევრი არ შემორჩენია ქართული ენის ლექსიკურ ფონდს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ისინი ვერ შეეთვისნენ (როგორც ამას ხშირად ამბობენ ხოლმე — მათი „ხელოვნურობის“ გამო) ქართული ენის ბუნებას. მართალია, სპეციალურ ტერმინთა შექმნა-განვითარება საერთოდ მჭიდროდაა დაკავშირებული სალიტერატურო ენის ლექსიკის განვითარებასა და გამდიდრებასთან, მაგრამ, როცა ვლაპარაკობთ სპეციალური ლექსიკის ლიტერატურულ ენასთან მიმართებაზე, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მისი გარკვეული და, შეიძლება ითქვას, დიდი ნაწილი, ყოველთვის მხოლოდ ამა თუ იმ დარგის სპეციალისტების მეტყველებაში ცოცხლობს. ეს იმას ნიშნავს, რომ, მართალია, სპეციალური ტერმინოლოგია სალიტერატურო ენის საერთო ლექსიკურ ფონდს ეკუთვნის, მაგრამ მისი მხოლოდ გარკვეული ნაწილი შეიძლება იქცეს ყოფითს, სალაპარაკო ენაში საზოგადოდ სახმარისად და გამოსაყენებლად (ეს, სხვათა შორის, რამდენადმე ამ მეცნიერების განვითარების დონეზე და პოპულარობაზეც არის დამოკიდებული).

სპეციალური ტერმინოლოგია მეცნიერული ენის შემადგენელი ნაწილია. მეცნიერული ენა კი ისტორიული ცნებაა. იგი, კერძოდ კი მისი ლექსიკა, თავისი განვითარების მანძილზე საგრძნობ ცვლილებებს განიცდის როგორც ფორმის (ტერმინთა წარმოების პრინციპების, სესხება-კალკირების), ისე მნიშვნელობათა გადაწევა-გადატანის თუ გაფართოება-დავიწროვების თვალსაზრისით. ამ ცვლილებებს, გარდა იმ პროცესებისა, რომლებიც საერთოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენის განვითარების გზაზე მიმდინარეობს, ხშირად არაენობრივი ფაქტორებიც განაპირობებს, როგორიცაა, მაგ., თვით ამ მეცნიერების განვითარების დონე, პირობები და თავისებურებანი ერის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა უცხოენობრივ სამყაროსთან კონტაქტებისა და, ამის შესაბამისად, გავლენების მონაცვლეობა, დაბოლოს, თვით ერის აქტიურობა თუ ინდიფერენტიზმი და მისი სპეციალისტების დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი: ის მეთოდები და პრინციპები, რომლებითაც ისინი ხელმძღვანელობენ საკუთარი დარგის ტერმინოლოგიის შემუშავების პროცესში.

ეს გარემოებებია უთუოდ მხედველობაში მისაღები, როდესაც ვეხებით XI—XII საუკუნეთა მოღვაწეების — ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის, იოანე ტარიჭისძის წვლილს ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის განვითარების საქმეში და ამ პერიოდში შექმნილი უმდიდრესი სპეციალური ლექსიკის ბედის საკითხს, იმას, თუ რატომ არ შემორჩა მისი უდიდესი ნაწილი საერთო სახალხო ენის ლექსიკურ ფონდს. კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს შემდეგი ექსტრალინგვისტური ფაქტორები:

1) XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, მონღოლების შემოსევიდან მოყოლებული, ქართული სახელმწიფოებრიობის შერყევის შედეგად ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარების შეფერხებასთან ერთად გაწყდა ფილოსოფიური აზრის განვითარების ხაზიც. XVIII საუკუნეში, როდესაც კვლავ გაიღვიძა მეცნიერულმა აზრმა, ფილოსოფიისადმი ინტერესი განისაზღვრა ბიზანტიური ხანის მეცნიერული ელიტის ფილოსოფიის—ნეოპლატონიზმის (რომელიც XI—XII სს-თა ქართული რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის ქვაკუთხედს წარმოადგენდა, მაგრამ, რომელსაც XVIII საუკუნეში რეალური საფუძველი უკვე გამოცლილი ჰქონდა) ხელოვნური და ფორმალური გადმონერგვით და, ასევე, ფორმალური მიბაძვით იმ მეცნიერული ენისა, რომლითაც იყო შესრულებული ეს ფილოსოფიური თხზულებანი XI—XII საუკუნეებში. ამ ენის ფორმალური სტილიზაციისა და ხელოვნური ფსევდოარქაიზაციის შედეგი იყო ის, რომ ანტონ ბაგრატიონისა და მისი სკოლის მიერ შექმნილი თავისთავად მნიშვნელოვანი და დიდძალი მეცნიერული ლიტერატურა პრაქტიკულად უსარგებლო დარჩა შემდგომი თაობებისათვის. თუმცა, ამას ვერ ვიტყვით გრამატიკულ მეცნიერებაზე, რომლის მაღალმა დონემ, პრაქტიკული გამოყენების საჭიროებამ და, ამდენად, მჭიდრო კონტაქტმა საერთო-სახალხო ენასთან, ანტონის ენის სირთულისა და ხელოვნურობის მიუხედავად გზა გაუხსნა და დანერგა სწორედ XI—XII საუკუნეების ელინოფილური მიმართულების მოღვაწეთა ნაშრომებიდან შეთვისებული სპეციალური ტერმინები, რომლებსაც დღესაც წარმატებით იყენებენ არა მხოლოდ გრამატიკული მეცნიერების, არამედ სალაპარაკო ენაშიც (ასეთებია მაგ. ბერძნულიდან კალკირებული ძველი ქართული ლოგიკური ტერმინები: წინადადება, ქვემდებარე, შემასმენელი, თანწყობა, ქვეწყობა, წართქმითი, უკუთქმითი და სხვა) მაშინ, როდესაც მსგავსი წარმოების წმინდა ფილოსოფიური და ლოგიკური ტერმინები არ დამკვიდრებულა ამ პერიოდში სათანადო მეცნიერებათა განუვითარებლობისა და მემკვიდრეობითობის ხაზის გაწყვეტის გამო (ასეთებია, მაგ., თანშესიტყუა, შემოკრება, თანგასავალი, თანამოსახლე, ერთსახელობა, რომელობა, აღმოჩენა და სხვა.)

2) მეორე ფაქტორი, რამაც ხელი შეუშალა ამ ფილოსოფიური ტერმინების დამკვიდრებას საერთო სახალხო ენის ლექსიკურ ფონდში არის ის, რომ გაწყდა კონტაქტი ბერძნულ ენობრივ სამყაროსთან, რაც ძირითადად განაპირობებდა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის სისტემის სახით ჩამოყალიბებასა და განვითარებას იმ ხანაში. XI—XII საუკუნეთა მოღვაწენი დიდ შემოქმედებით ძალასა და სითამამეს იჩენენ, რათა გამოავლინონ ქართული სიტყვაწარმოების შესაძლებლობანი, ფართო გაქანება მისცენ მათ და ქართული მასალით — ქართული ძირებითა და აფიქსებით და არა მექანიკური სესხების გზით შექმნან საკუთარი მეცნიერული ტერმინოლოგია და, ამგვარად, ქართული ენა თავისი გამომსახველობითი ძალით გაუტოლონ ბერძნულ ენას, „მომმარჯუსა გონიერთა ხედვათასა“, რომლის „ენამზეობა“ და „ენადღეობა“ მისაბაძი იყო არა მარტო ქართველი მთარგმნელებისთვის, არამედ რომაელებისთვისაც, რასაც ჰორაციუსის „პოეტური ხელოვნებისათვის“ ტრაქტატის 52-ე კარედის სიტყვებიც მოწმობს: „ახლადშექმნილი სიტყვა მეტ ნდობას მოიპოვებს, თუ ბერძნულ წყაროს ეყრდნობა და სიფრთხილითაა იქიდან გადმოღებული... თუ ამ საქმეში მცირეოდენი წვლილის გაღება მეც ძალმიძს, ამისათვის რატომ უნდა შემრისხონ? კატონისა და ენიუსის ენა ახალ სიტყვათა შემოტანით განა არ ამდიდრებდა ჩვენს მშობლიურ მეტყველებას?“ [1, გვ. 17].

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და დღესაც ბერძნული ენა ასაზრდოებდა უშუალოდ თუ შუალობითი გზით ევროპული ენების სპეციალურ ლექსიკას, უფრო ადრე კი მისგან იყო დავალებული არაბული ფილოსოფიური ენაც. საქართველო ერთი პირველთაგანი იყო, რომელსაც ევროპაზე გაცილებით უფრო ადრე უშუალო და მჭიდრო პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული კონტაქტები ჰქონდა ისეთ მაღალგანვითარებულ კულტრულ სამყაროსთან, როგორიც იმ ეპოქაში ბიზანტია იყო[1]. ამ ურთიერთობაზე გადიოდა ბუნებრივი გზა ქართული მეცნიერების განვითარებისა და სრულიად კანონზომიერი იყო, რომ იმ დროის ქართველი მოღვაწენი ეროვნული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების გზაზე მისაბაძ ნიმუშად სწორედ საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფოსთა არა ერთი თაობის მიერ დამუშავებულ ბერძნულ ფილოსოფიურ ენას თვლიდნენ. ამდენად, მოულოდნელი არ არის, რომ ახალ ცნებათა შესაბამისი ტერმინების საწარმოებლად ყველაზე პროდუქტიული გზა ბერძნულ ტერმინთა კალკირება იყო, გზა, რომელსაც შემდეგ დაადგა ლათინურენოვანი მეცნიერული სამყარო და აქედან — მთელი თანამედროვე ევროპა.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს უშუალო კავშირი ბიზანტიასთან XIII საუკუნიდან მოყოლებული თანდათან სუსტდება და ბოლოს, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453 წ.) სრულიად წყდება და იცვლება სპარსეთ-თურქეთთან კონტაქტებით და შესაბამისად — გავლენებითაც. ამგვარად, იოანე პეტრიწისა და მისი თანამოღვაწეების მიერ ჩამოყალიბებული კლასიკური სის-

---

[1] როგორც ცნობილია, ყველა ის ავტორი (პორფირი, ამონიოს ერმიასი, ნემესიოს ემესელი, პროკლე დიადოხოსი, იოანე დამასკელი), რომელთა ფილოსოფიურ-ლოგიკური ხასიათის ტრაქტატებს თუ კომპენდიუმებს მთელი შუასაუკუნეების თეოსოფია-სქოლასტიკა ემყარებოდა, ქართულად გაცილებით უფრო ადრე (100—150 წლით მაინც) იყო თარგმნილი, ვიდრე ლათინურ ენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტემა ფილოსოფიური ტერმინოლოგიისა, მანამ, სანამ მოასწრებდა დამკვიდრებას, თანდათან ირღვევა და მის რგოლებში იჭრება უკვე აღმოსავლური ენობრივი სამყაროდან მოძალებული სიტყვები. ასე, მაგ. იოანე პეტრიწის მიერ გონ (νοῦς) ძირისაგან შექმნილ გამჭვირვალე და ნათელი გამომსახველობითი უნარის მქონე ტერმინთა (გონება, გამგონე, გასაგონო, მიდმოგონება... νόησις, νόημα, νοῶν, νοητός, διάνοια...) სისტემაში შეიჭრა სრულიად განსხვავებული ძირებიდან ნაწარმოები ტერმინები (ნასესხები: ჰაზრი — აზროვნება — მოაზროვნე, ქართული: გაგება, მიხვედრა, განსჯა, შემეცნება...). ასევე, ქართული განი — საგანი (σκοπός) შეცვალა სპარსული გზით შემოსულმა არაბულმა მიზან სიტყვამ, აღმოჩენა — აღმოსაჩენი (ἀπόδειξις) ასევე არაბულმა საბუთ — დასაბუთებამ და სხვა. ხოლო ზემოთ დასახელებულ ქართულ ტერმინებს სალიტერატურო ენაში სხვა მნიშვნელობები განუვითარდა (გაგონება— „მოსმენა“ — слушать, აღმოჩენა — „ახლის მიგნება“ —открытие, საგანი—„ნივთი“ — „вещь“).

ოდესღაც უშუალო კავშირი ბერძნულ მეცნიერულ ენასთან დღეს გაშუალებულია ლათინურ-გერმანულ-რუსული გზით და, ამგვარად, თანამედროვე ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია სარგებლობს სრულიად სხვადასხვა სისტემათა მონაცემებით, რომლებშიც ერთმანეთშია აღრეული, ერთი მხრივ, საკუთრივ ქართული ძირები და აფიქსები, მეორე მხრივ, უცხოენოვანი, ნასესხები ძირები და აფიქსები; ერთი მხრივ — ძველი კალკები ბერძნული ტერმინებისა, მეორე მხრივ კი, ახალი კალკები ევროპული და რუსული ენებიდან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართული მეცნიერული ენა თანდათან სულ უფრო იტვირთება უცხოენოვანი ნასესხები ტერმინებით, ყოველივე ეს კი, გარდა ზემოთ დასახელებული მიზეზებისა, შედეგია აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგების, ან ერთი და იმავე დარგის მეცნიერების სხვადასხვა დროის მესვეურთა პოზიციისა სპეციალურ ტერმინთა წარმოების პრინციპებისა და დამუშავების პრობლემებისადმი. ასეთ პირობებში დღეს განსაკუთრებით საჭიროდ გვესახება ათვისება და გატარება ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის და მისი სკოლის შემოქმედებითი პრინციპებისა, რაც გულისხმობს ენობრივი მასალისადმი თამამ შემოქმედებითს მიდგომას, ენის შესაძლებლობათა წარმოჩენისა და ახლებური რეალიზაციის გზით ენის სასიცოცხლო ძალების გააქტიურებას.

ახალი ცნების შესატყვისი სპეციალური ტერმინის საწარმოებლად შავი მთა — გელათის სალიტერატურო სკოლების მოღვაწენი შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ:

1. იყენებენ საერთო სახალხო ენის ან დიალექტურ ლექსიკურ ერთეულს, რომელსაც შეუძლია იტვირთოს შესაბამისი ბერძნული ტერმინის შინარსის გადმოცემა: ასო — στοιχεῖον, ნივთი — ὕλη, στοιχεῖον, გუამი — ὑπόστασις, ადგილი — τόπον, ნათესავი — γένος, სახე — εἶδος, განი — σκοπός და სხვ. ამგვარად, იქმნება ომონიმები: ჩვეულებრივ სალაპარაკო ენაში ყოფითი მნიშვნელობის სიტყვა იძენს სპეციალურ, ფილოსოფიურ მნიშვნელობას. ომონიმიის (პოლისემიის) პრობლემა, ისევე, როგორც სინონიმიისა, ერთი ყველაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მძიმედ დასაძლევი და რთული პრობლემაა სპეციალური ტერმინოლოგიის შექმნის გზაზე. მისი მოხსნის სურვილი იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ასო/წესი (στοιχεῖον) ტერმინები იოანე პეტრიწმა შეცვალა კავშირ ტერმინით პროკლეს ტრაქტატის თარგმანში, ნათესავი (γένος) — ტომით და სახე (εἶδος) კი გუარ ტერმინით.

2. იყენებენ ცნების შინაარსის აღწერის ხერხს როგორც ერთი სიტყვით, ასევე შესიტყვებითაც: მაგ., შემოკრება — συλλογισμός (სილოგიზმი „შემოკრებილია“ (σύγκειται) ორი ჭეშმარიტი წანამძღვრისა და დანასკვისაგან: დიალ. 51,1). შესრულება — συμπέρασμα; პირველმღებადი — πρόληψις („მნებავმან ჩუენებად, ვითარმედ უკუდავ არს სული, მივიღე პირველად თჳთმოძრავი და შევასრულე უკუდავი: ამონ. 167). „სიტყუერი საქმიერობა“, ἡ λογικὴ πραγματεία; რასა შინაობა τὸ ἔν τινι („რასა შინა არს შესმენაჲ“: დიალ. II, I). ვისსამიმართობა/რაჲსამიმართობა πρός τι (დიალ. 37,1). ერთ-სახელი συνώνυμος და სხვ.

3. ყველაზე პროდუქტიულია სემანტიკურ-დერივაციული კალკების შექმნის გზა საკუთარი მასალით, ქართული ძირებისა და აფიქსების გამოყენებით. ეს გზა განსაკუთრებით კომპოზიციასა და წინდებულიან წარმოებაზე ვრცელდება. ასეა მიღებული, მაგ. წინადადება — πρότασις, ქუემდებარე — υποκείμενον, თანშესიტყუა — συλλογισμός, თანამოსახელე — συνώνυμος, თვითმყოფი — αὐθυπόστατος, თჳთგუამოვანი — αὐθύπαρκτος, სწორგუერდი — ἰσόπλευρος, ოთხყური, ოთხკუთხი, ოთხძგიდე — τετράγονον და სხვა.

4. უკიდურეს შემთხვევაში ბერძნული სიტყვა-ტერმინი უთარგმნელად გადმოჰქონდათ, ე. ი. სესხების გზას მიმართავდნენ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა საგანგებო ძიებისა და განხილვის შემდეგ, მრავალ ლექსიკონსა და განმარტებათა ტექსტებთან „შეწამების“ მიუხედავად, ქართულ „მსგავსებულ“ სიტყვას ვერ „მოუპოვებდნენ“ ან მთლად დარწმუნებულნი არ იყვნენ თავის არჩევანში, მხოლოდ მაშინ უთარგმნელად ტოვებდნენ ბერძნულ ტერმინს. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც უფრო ხშირად მას ჰენდიადისურ წყვილში ხმარობდნენ ქართულ შესატყვისთან ერთად, ალბათ უფრო იმისათვის, რომ ახლადწარმოებული ქართული ტერმინისთვის გზა გაეხსნათ, მოეხდინათ მისი იდენტიფიკაცია, ეჩვენებინათ, თუ რომელი ბერძნული ლექსემის შესატყვისად იყო იგი ნახმარი. (ონკოს — ზუავთა („მასა“, „масса“): ი. პ. I, § 190; ემფასსა — მაგალითსა: § 194; საქმე — პრაღმა: § 195; პროვლიმაჲ, რომელ არს წინჩამოსაგდებელი; სჳმპერაზმაჲ, რომელ არს თანგასავალი: ი. პ. II, § 1, და სხვა).

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ამ მოღვაწეთა მთავარი მიზანი იყო ქართული ფილოსოფიური და, საერთოდ, ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნა ქართული მასალის — ქართული ფუძეებისა და აფიქსების გამოყენებით... ამისათვის ისინი დიდ გასაქანს აძლევენ ქართული სიტყვაწარმოების უსაზღვროდ მდიდარ შესაძლებლობებს: მიმართავენ ფორმაუცვლელი და არაბრუნებადი სიტყვების (ზმნიზედების, ზმნების) გასუბსტანტივების ხერხს (შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

*რისი, აქაჲ, მუნაჲ, არსი, იყოჲ, იყოსობაჲ*); მეტად აფართოებენ ბრუნვის ფორმანტების დერივაციული ფუნქციით გამოყენების არეს (*ხედვითი, სიტყვერებითი, ნაწილებითი, შემთხუევითი, ვნებადი, ქმნადი, ქცევადი, ზიარებადი* და სხვა); ასევე, თანდებულების გამოყენებას სადერივაციო ფუნქციით (*ერთებრივი, ნივთისშორისი, ორლანებრთაგანი, რაჲსამიმართთაგანი, რიცხვსშორისი, სახეთაქუეშე, ჟამისქუეშე, ტჳნისმიერი*...), ომონიმიისა და პოლისემიის დასაძლევად და თავიდან ასარიდებლად (რაც მეტად რთულ საქმეს წარმოადგენდა, რადგანაც ეს პრობლემა თვით ბერძნულ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაშიც არ იყო დაძლეული), იოანე პეტრიწი მიმართავს მეტად საინტერესო და მარჯვე ხერხს: ქართულ ენაში არსებულ სინონიმური მნიშვნელობის სადერივაციო აფიქსთაგან ირჩევს სალიტერატურო ენაში ნაკლებად გავრცელებულს, არქაულს, თუ დიალექტურ ვარიანტს, რომელიც ხშირად სახმარისი. პროდუქტიული აფიქსისაგან განსხვავებით, სიტყვას ტერმინოლოგიურ ღირებულებას ანიჭებს, განასხვავებს მას იმავე ძირის (ფუძის) სალაპარაკო ენაში გავრცელებული ყოფითი მნიშვნელობის მქონე სიტყვისაგან. ასეთ შესაძლებლობას განსაკუთრებით ფართოდ იძლევა მიმღეობურ ფორმათა წარმოების მრავალფეროვნება ქართულში, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობითაა ახსნილი (არნ. ჩიქობავა, ექ. ოსიძე). ასეთია უკვე ძველსავე ქართულში იშვიათი და არქაიზმად ქცეული უთემისნიშნო, ე. ი. წყვეტილის ფუძისაგან ოდენპრეფიქსიანი ან ხმოვანსუფიქსიანი წარმოება (**მ-, მა-, მე-, მო-, მ—ე, მა—ე, მე—ე, მო—ე**) მიმღეობათა ფორმებისა, რაც მათს გასუბსტანტივებასა და, ამდენად, ტერმინოლოგიზაციასაც უწყობს ხელს, რადგანაც ამ გზით განასხვავებს ამ მოდელებს ჩვეულებრივი მიმღეობური (ნაზმნარი) წარმოებისა და შინაარსისაგან (შდრ. მაგ. *მკჳდრი* — *დამკჳდრებული, მავსი* — *შემავსებელი, მედინი* — *წარმავალი, მოშიში*, — *შეშინებული, მობაძავი* — *მიმბაძველი, გამგე* — *გამგებელი, მაცნე* — *მეცნე* — *მაცნობელი, მაუწყე/მეუწყე* — *მაუწყებელი, გამგონე* — *გამგონებელი, მემკჳდრე* — *დამკჳდრებული, მეწადე, მეტრფე, მოწამე, მოწმე, მოქენე, მოსწრაფე* და სხვა). აღსანიშნავია, რომ უკვე ძველსავე ქართულში და მით უფრო თანამედროვე ქართულის სადერივაციო სისტემაში ამ ტიპის წარმოება დამკვიდრებულია სახელთა წარმოქმნაში (ხელობისა და დანიშნულების სემანტიკურ ჯგუფში: *მეხრე* — *სახრე, მევენახე* — *სავენახე*). ხოლო ნაზმნარ სახელებში (მიმღეობებში) გადმონაშთის სახითაა მხოლოდ შემორჩენილი. სწორედ ამიტომაა ხელსაყრელი მათი გამოყენება ზმნათაგან ტერმინ-სუბსტანტივების საწარმოებლად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპეციალური ტერმინოლოგიის შექმნის გზაზე განსაკუთრებით პროდუქტიული იყო ბერძნულიდან სემანტიკურ-დერივაციული კალკების გზა. ეს ხერხი ყველაზე ხშირად გამოყენებულია ლოგიკური ტერმინების წარმოებისას, რაც ამ მეცნიერების ფორმალური ხასიათით აიხსნება: თვით ბერძნულში ლოგიკური ტერმინები (არისტოტელეს ლოგიკური ხასიათის ნაშრომებში, რომლებიც „ორგანონის“ საერთო სახელითაა ცნობილი), შექმნილია ხელოვნურად, ცნების აღწერის ელიფსური გზით (მაგ. დანასკვი —

ეროვნული ბიბლიოთეკა



вывод, заключение არის მსჯელობა, რომელიც აუცილებლობით გამოდის ორი ჭეშმარიტი წანამძღვრის ლოგიკური კავშირიდან. აქედანაა ტერმინი συμπέρασμα და მისი ქართული კალკიც თანგასავალი).

ლოგიკის მეცნიერებასთან დაკავშირებული სამი ცნებისა და მათი ამსახველი ტერმინოლოგიის 1. (ლოგიკა — სიტყჳერი საქმიერობა, სიტყჳერი მოქმედება, სიტყჳერებითი მოფარდულობა; 2. დასაბუთება — გამოჩინება, გამომაჩინებლობა, აღმოჩენა; 3. სილოგიზმი — შემოკრება, შეგულისსიტყუა, თანშესიტყუა) შესახებ ძველ ქართულში უკვე გვქონდა ლაპარაკი [2, გვ. 106—120], აქ წარმოვადგენთ შემდეგი ცნებების ამსახველი ტერმინოლოგიის ანალიზს: 4. თეზისი, პრობლემა, 5. არგუმენტაცია, 6. ამოსავალი — საფუძვლები, რომლებიც სილოგიზმში, დასკვნის ფორმაში წანამძღვრების სახეს იღებენ. (ამასთან დაკავშირებით შევეხებით დადებითი და უარყოფადი ანუ კატაფატიკური და აპოფატიკური (აპაგოგიური) დასაბუთების ტერმინოლოგიასაც), 7. ტერმინები, 8. დანასკვი.

როგორც ცნობილია, დასაბუთება ხდება რაიმე წინასწარ აღებული თეზისის ანუ პრობლემისა (πρόβλημα). მართალია, ყოველი დასაბუთება არისტოტელეს მიხედვით, სილოგიზმია(Ἡ μὲν γὰρ ἀπόδειξις συλλογισμός τις, ὁ συλλογισμὸς δὲ οὐ πᾶς ἀπόδειξις: АПА, IV, 41, 38—39. Demonstratio enim syllogismus est et non omnis sillogismus demonstratio. Ведь доказательство есть некоторого рода силлогизм… Анал., с. 9. — „მაშასადამე დასაბუთება არის რაღაც სილოგიზმი, მაგრამ არა ყოველი სოლიოგიზმია დასაბუთება“), მაგრამ მათ შორის ის არსებითი განსხვავებაა, რომ სილოგიზმში (დასკვნაში) დასამტკიცებელი დანასკვი დასაბუთებაში წინასწარ არის მოცემული პრობლემის, თეზისის სახით და საპოვნელია მსჯელობა-წანამძღვრები, რომლებიც მას გაამართლებენ. ამგვარად, დასაბუთებაში სამი ნაწილია: 1. მსჯელობა, რომლის დასაბუთებაცაა საჭირო, ეს არის თეზისი, 2. მსჯელობა, რომელსაც ვეყრდნობით დასაბუთებისას — ამოსავალი, საფუძველი, რომელიც სილოგიზმში წანამძღვრების ადგილს იკავებს, 3. ლოგიკური კავშირი საფუძველსა და თეზისს შორის — არგუმენტაცია: მსჯელობა, რომელიც დაადგენს ლოგიკურ კავშირს ამოსავალს — საფუძველსა და შედეგს — დანასკვს შორის, რომელიც დასამტკიცებელ პრობლემას, წინასწარ დაშვებულ თეზისს დაემთხვევა. არგუმენტაცია შეიძლება წარიმართოს პირდაპირ, დადებითი, კატაფატიკური გზით, ან არაპირდაპირ, უარყოფადი, აპოფატიკური (ანუ აპაგოგიური) გზით. პროკლეს ტრაქტატის, Στοιχείωσις θεολογική-ს თავებში, რომელთა ძირითადი თეზისების განმარტებებს იძლევა იოანე პეტრიწი, ჩვეულებრივ სწორედ ეს უკანასკნელი, აპაგოგიური მეთოდია გამოყენებული. ამიტომაც, პირველივე თავის განმარტებაში, სანამ შეუდგებოდეს პროკლეს პირველივე ძირითადი თეზისის („ყოველი სიმრავლე რამენაირად ეზიარება ერთს“) კომენტირება — დასაბუთებას დამატებითი არგუმენტაციით, იოანე პეტრიწი საჭიროდ თვლის მკითხველს თუ მსმენელს მოკლედ ესაუბროს პროკლეს დასაბუთების მეთოდზე და, საერთოდ, არისტოტელეს სილოგიზმის „იძულებით კანონებზე“, რომელთა ცოდნის გარეშე, მისი აზრით, შეუძლებელია ლოგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური გზით რისამე შემეცნება. ამ მოკლე საუბარში პეტრიწი მეტად შეკუმშულად, მაგრამ ნათლად და გასაგებად იძლევა დასაბუთების შემადგენელი ნაწილების, ანუ როგორც იგი უწოდებს, „საჭმართა აღმოჩენისათა“ განსაზღვრადახასიათებას.

დასაბუთებისათვის საჭირო საშუალებათაგან, ანუ „საჭმართაგან“ პირველად იგი ასახელებს პრობლემას (პროვლიმაჲ — πρόβλημα) რომლის ანალოგიითაც ქმნის ქართულ ტერმინს წ ი ნ ჩ ა მ ო ს ა გ დ ე ბ ე ლ ი ს ი ტ ყ უ ა (ანუ მსჯელობა). მეორედ არგუმენტაციას κατασκευή (კატასკევი) და იძლევა მის სემანტიკურ კალკს: დ ა კ ა ზ მ ვ ა. მესამედ კი ასახელებს სილოგიზმის შემადგენელ ნაწილს — დ ა ნ ა ს კ ვ ს და ქმნის ბერძნული συμπέρασμα ტერმინის კალკს — თ ა ნ გ ა ს ა ვ ა ლ ი. შემდეგ პეტრიწი იძლევა არისტოტელეს კატეგორიული სილოგიზმის I ფიგურის თავისებურ რკალურ სქემას (ნაკუეთს), დედუქციური დასკვნის ცნობილი ქრესტომათიული მაგალითებით:

| | |
|---|---|
| ყოველი ცხოველი არსებაა | ყოველი თვითმოძრავი უკვდავია |
| ყოველი კაცი ცხოველია | ყოველი სული თვითმოძრავია |
| ყოველი კაცი არსებაა | ყოველი სული უკვდავია |

სქემაში, რომელიც ორ-ორი შუაში გადაბმული რკალითაა წარმოდგენილი, რკალების კიდეებზე წანამძღვრების კიდურა ტერმინებია აღნიშნული, რკალების გადაბმის ადგილას კი საშუალი ტერმინი ზის (იხ. ქვემოთ, გვ. 49).

ამ სქემის განხილვის საფუძველზე პეტრიწი განმარტავს სილოგიზმის ცნებებს: 1. მსჯელობას, რომელშიც კიდურა ტერმინ[ებ]ი შედის, (ა რ ს ე ბ ა — კ ა ც ი; ს უ ლ ი — უ კ ვ დ ა ვ ი) იგი უწოდებს პროტასისს („ამას პირველსა საზღვარსა ეწოდების პროტასი“ II, 4). 2. კიდურა მსჯელობათა საერთო სიტყვას იგი უწოდებს საშუალს, ანუ კიდეთა შემკვრელს, 3. ხოლო დასასრულს, რომელშიც საშუალი ტერმინის მეშვეობით დაკავშირებულია კიდურა მსჯელობებში შემავალი ტერმინები, ს უ მ პ ე რ ა ზ მ ა ს, ანუ კ ი დ უ რ თ ა თ ა ნ გ ა ს ა ვ ა ლ ს უწოდებს.

მთელ ამ პროცედურას პეტრიწი „სიტყვერების კანონს“ (ლოგიკის კანონს) უწოდებს და მკითხველის ყურადღებას მიმართავს იქითკენ, რომ დაანახვოს მას, თუ როგორ აზიარებს და შეჰყრის ერთმანეთთან საშუალი (ტერმინი) ორივე კიდურს. უფრო ნათელი რომ გახდეს მთლიანობაში პეტრიწის მსჯელობა, მოვიყვანთ განმარტების ამ მოკლე მონაკვეთს მთლიანად: „შეისწავე, ვითარმედ ამას პირველსა სიტყუასა ჰქჳან წინჩამოსაგდებელი სიტყუაჲ, ვითარ ოდეს სთქუა, ვითარმედ „მე ამას ვიტყჳ და შენ, წინააღმდგომო, არ იტყჳ ამას, მაშა გამოვაჩინოთ კანონთა მიერ აღმოსაჩენთაჲსა“. და, ვითარცა აღმოაჩინოს იძულებითმან კანონმან თანშესიტყჳსამან და უკუნ იქცეს წინაგანმწყობ უკუნქცევით, და კუალად აღიღებს პირველსა წინჩამოსაგდებელსა სიტყუასა და ეტყჳს, ვითარმედ, „ესრეთ ვიდრემე“, ვითარცა აწ აქა იხილე, პირველიცა და დასასრული ერთი არს. ხოლო პირველსა ეწოდების პროვლიმაჲ, რომელ არს წინჩამოსაგდებელი, ხოლო საშუალსა კატასკევი, რომელ არს დაკაზმვაჲ, რამეთუ ამის დაკაზმვისა მიერ აღმოიჩინების ყოველი აღმოსაჩინოჲ. და ესრეთვე სხუათაცა ზედა იხილო, რამეთუ უკუეთუ პირველად არა ცნას მკურნალმან სენი, ვითარ დაჰკაზმოს წამალი? აწ ესე ცნობაჲ პროვლიმად ჰრაცხე, ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო კატასკევი დაკაზმვად, რომელ არს თხზვაჲ და მუშაკობაჲ საჭმართა აღმოჩენისათა. და კუალად მესამედ — სჳმპერაზმაჲ, რომელ არს თანგასავალი. და ესე მცირედთა მიერ შემოისაზღვრა კანონი არისტოტელის „ორღანოჲსაჲ“, რომლისა თჳნიერ უღონო არს რაჲსავე გაგონებაჲ სულისა მიერ სიტყჳერისა. აჰა და სქიმაჲცა დავდვა, რომელ არს ნაკუეთი:



ხოლო ამას პირველსა საზღუარსა ეწოდების პროტასი, კიდე[2]. ხოლო საშუალსა კიდეთა შემკვრელი. ხოლო დასასრულისასა სჳმპერაზმაჲ, რომელ არს, თანგასავალი ურთიერთას კიდურთაჲ. შეისწავენ კანონნი სიტყჳერებითნი, რამეთუ არიან ესევითარ, ხედავა, ვითარ თანმესაშუვლეობითა ცხოველისაჲთა აღიარა არსებაჲ კაცისად?. იხილე, ვითარ ყოველი ცნობაჲ და ძიებაჲ საშუალისაჲ არს და იგი აზიარებს და შეჰყრის ურთიერთას ორთავე კიდურთა“ (ტ. II, § 1, გვ. 10—11).

როგორც მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, აქ პეტრიწი ზოგადად და არა სპეციალურად, როგორც თვითონ იტყოდა, „თანწარვლის სახით“ ეხება არისტოტელეს „ორგანონში“ დამუშავებულ ლოგიკურ კანონებს. ამიტომ, გასაგებია, რატომ არ გამიჯნავს დასკვნისა (სილოგიზმის) და დასაბუთების ცნებებს[3].

ამავე ნაწყვეტიდან ირკვევა, რომ დასაბუთების არგუმენტაციის შედგენა—აგებას (ἡ κατασκευή) პეტრიწი დ ა კ ა ზ მ ვ ა ლექსემით გადმოსცემს. Ἡ κατα-

---

[2] აქ ხელნაწერები არ ეთანხმებიან ერთმანეთს. უძველეს, XIII ს-ის H 1337 ხელნაწერში, რომელიც გამოცემის მომზადების დროს სიმ. ყაუხჩიშვილს ხელთ არ ჰქონდა, სიტყვა კ ი დ ე აქ არ ზის, რაც სწორად უნდა ასახავდეს დედნის ჩვენებას.

[3] ყოველი დასაბუთება, არისტოტელეს მიხედვით, სილოგიზმია, მაგრამ ყოველი სილოგიზმი არ არის დასაბუთება: Ἡ μὲν γὰρ ἀπόδειξις συλλογισμός τις, ὁ συλλογισμός οὐ ἀπόδειξις, АПА, IV, 1, 41, 38—39.

არისტოტელეს ამ დებულების განმეორებაა ამონიოს ერმიასის „მოსაჴსენებელში“ წარმოდგენილი მსჯელობა — ტარიჭისძის თარგმანით: „აღმოჩენა არის შეგულისსიტყუვაჲ რაჲმე“ (S 2562, 182r) ან: „აპოდიქსი სჳლლოგიზმოსი რაჲმე არს“ (245r). ასევე, ამ დებულების გამოძახილია იოანე დამასკელის „დიალექტიკიდან“ 52,13 თავის ფრაზა: „საცნაურ იყავნ, ვითარმედ შეკრებანი გამოჩინებისა ნაწილ არიან“ (დიალ., ეფრემ მცირის თარგმანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

σκευή ნიშნავს „აგებას, აგებულებას, მოწყობას, მოკაზმვას, შედგენას, ორგანიზაციას". ჩვენს შემთხვევაში — დასაბუთებისათვის საჭირო არგუმენტაციის შედგენას, აგებას, აწყობას. ძველ ქართულში კაზმავს ლექსემის ფართო სემანტიკურმა არემ (კაზმვა ძველი ქართული ენის ძეგლებში იხმარება „მომზადების, მოწყობის, აგების, გაშენების" მნიშვნელობით: იხ. ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონი)[4]. პეტრიწს საშუალება მისცა თავიდან აეცილებინა ომონიმური შეხვედრა აგებულება — აგებული ლექსემასთან, რომელსაც უკვე გარკვეული ტერმინოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა მოპოვებული: „შესაქმე"; „შექმნილი". ეს ტერმინია გამოყენებული გრიგოლ ნოსელის ცნობილი თხზულების „Περὶ κατασκευῆς τοῦ ἀνθρώπου" სათაურში როგორც ძველი მთარგმნელის, ისე გიორგი მთაწმიდლის მიერ: „კაცისა შესაქმისათჳს", ან „კაცისა აგებულებისათჳს".

ამგვარად, იმისათვის, რომ „დაიკაზმოს", აიგოს დასაბუთება, საჭიროა ლოგიკური კავშირი დამყარდეს **ამოსავალს** ანუ **საფუძველსა** და დასასაბუთებელ თეზისს შორის. თეზისის, პრობლემის, ანუ დასასაბუთებელი დებულების მნიშვნელობით იოანე პეტრიწი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ადგენს შესიტყვებას „წინჩამოსაგდებელი სიტყუა" (სიტყუა — λόγος აქ წინადადების, გამონათქვამის „oratio, речь" მნიშვნელობითაა ნახმარი)[5]. სხვაგან წინჩამოგდებითი ფორმაც აქვს ნახმარი: ესე სამნი აღმოსაჩენნი წინჩამოგდებითნი დასხნა: II, § 11, გვ. 39, 29 („ეს სამი დასასაბუთებელი პრობლემა დასვა").

ამგვარად, წინჩამოსაგდებელი ანუ წინჩამოგდებითი სიტყვა იგივე წინასწარ აღებული დასასაბუთებელი თეზისი ანუ პრობლემაა (მსგავსად თეორემისა გეომეტრიაში). θέσις ტერმინის შესატყვისად ის სემანტიკურ-დერივაციულ კალკსაც მიმართავს: **θέσις** არის **τίθημι** (ვდებ) ზმნისაგან ნაწარმოები სახელი — სუბსტანტივი. პეტრიწიც შესაბამისად იღებს სასუბიექტო მიმღეობის ფორმას მდებარე (რომელსაც სუბსტანტივის ფუნქციაც აქვს), განსხვავებით ეფრემ მცირისაგან, რომელიც ამავე ტერმინის შესატყვისად ხმარობს საობიექტო მიმღეობის ფორმას — დადებული (რომელიც მოუხერხებელია როგორც ტერმინი-სუბსტანტივი, რადგანაც მასში ცოცხალია მიმღეობა-ზედსართავის გაგება).

იოანე პეტრიწი: ხოლო მდებარე იტყჳს: ყოველი კეთილობაჲ მაერთებელი არს მზიარებელთა მისთაჲ (II, § 13, გვ. 45, 7).

ეფრემ მცირე: დადებული არს საკჳრველი რაჲმე საეჭჳ ვიეთმე ფილოსოფოსობისა შინა შესწავებულთა: დიალ. 51, 16 (**θέσις δέ ἐστι παράδοξος ὑπόληψις τινὸς τῶν ἐν φιλοσοφίᾳ γνωρίμων**)[6].

---

4 ახალ ქართულში კაზმ ძირის ლექსიკური მნიშვნელობა დავიწროვდა და დაუკავშირდა „მორთვას" „наряжать(ся)". საბასთან იგი უკვე განმარტებულია როგორც „მორთვა" (ძველი, ფართო მნიშვნელობა დღესაც დასტურდება ფრაზეოლოგიურ ერთიანობებში: „კერძის შეკმაზვა", „ცხენის შე‖ალკაზმვა").

5 პეტრიწისეული გააზრება ამ ტერმინისა გამოყენებული აქვს იოანე ბაგრატიონს. იგი წინჩამოგდება ტერმინს ხმარობს „წანამძღვრის" მნიშვნელობით: იხ. კალმას., 30, 22—37, 31, 5—9, 32, 14 და სხვ.

6 θέσις-ს არისტოტელესთან ამათგან განსხვავებული გაგება აქვს [3, გვ. 281].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, θέσις და πρόβλημα ზემოთ განხილულ შემთხვევებში გარკვეული აზრით სინონიმებია, როგორც წინასწარ აღებული დასასაბუთებელი დებულებები. რაც შეეხება ახალ ქართულში ამ მნიშვნელობით დამკვიდრებულ დებულება ტერმინს, იგი უკვე დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონებშია ფიქსირებული და, როგორც ვხედავთ, მიღებულია საკმაოდ „ხელოვნურად" საობიექტო მიმღეობის (დებული) გასუბსტანტივებით აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი -ება სუფიქსის საშუალებით.

ის, რაც დასამტკიცებელია, ამავე დროს ამოცანაა, საკითხია, საკვლევია, საძიებელია. ამისათვის ბერძნულში ζήτημα ტერმინიც იხმარება. (ნემესიოსთან ζήτησις — „თეორიული სპეკულაცია, გამოკვლევა, ძიება" უპირისპირდება βούλευσις — „პრაქტიკულ განსჯას": Οὐ γὰρ ταυτόν ἐστι βουλὴ καὶ ζήτησις... πᾶσα μὲν γὰρ βουλὴ ζήτησίς τίς ἐστιν οὐ πᾶσα δὲ ζήτησις, βουλή: PG, τ. 40, col. 736.

პეტრიწის თარგმანი:
არა იგივე არს განზრახვაჲ და ძიებაჲ... ყოველი ვინაჲვე განზრახვაჲ ძიება ვიდრემე არს, არამედ არცა ყოველი ძიება — განზრახვა: ნემეს. 137, 14—21.

საძიებელი საკვლევი საკითხია, ხოლო მეძიებელი — მკვლევარი:

აქა საძიებელი შემოვა, დაფრიადებული სიღრმითა: ი. პ. II, § 43. იტყჳს მეძიებელი, უკუეთუ ეზიარების სიმრავლე ერთსა, იყოს ერთიცა მრავალ: იქვე, § 1, გვ. 12.

Ζήτημα-ს შესატყვისად ეფრემ მცირეც საძიებელ (მყოფადის საობიექტო მიმღეობის) ფორმას იყენებს: მივიღოთ საძიებელი იგი და მივაყრდნათ რასმე აღსაარებულსა: დიალ. 52, 13.

ამავე მნიშვნელობით ხმარობს ამ ტერმინს გიორგი მთაწმიდელიც გრიგოლ ნოსელის თხზულების „კაცისა შესაქმისათჳს" თარგმანში: ესრეთ ვიტყჳთ ამის საძიებელისათჳს: კაც. შესაქ., 162r (Ταῦτα περὶ τῶν ζητουμένων ὑπολαμβάνομεν, PG, t. 30, col. 180).

მაგრამ ამავე საძიებელი სიტყვით აქვს თარგმნილი მას ბერძნული სპეციალური ლოგიკური ტერმინი πρότασις (რომელიც სილოგიზმის შემადგენელი ელემენტია), რაც იმაზე მიგვითითებს, რომ მისთვის ამ უკანასკნელის, როგორც ლოგიკური ცნების, მნიშვნელობა მთლად გარკვეული არ უნდა იყოს. ბასილი კესარიელის თხზულების „ექუსთა დღეთას" ამ კონტექსტში ლაპარაკია სწორედ ფილოსოფოსთა მიერ სილოგიზმის კანონებით აგებული აპაგოგიური დასაბუთების წესზე და სამი წანამძღვარიდან ორის უარყოფის გზით ჭეშმარიტების დადგენაზე: Τριῶν προτάσεων ἀναιροῦντες τὰς δύο καὶ ἐν τῇ λειπομένῃ τὸ ἀληθὲς ἐξευρίσκοντες: PG, t. 29, col. 197, 47—48.

ამ ტერმინის შინაარსს გიორგი მთაწმიდელი სამსიტყვიანი შესიტყვებით გადმოსცემს (საძიებელთა საფილოსოფოსოთა სიტყუათაგან), საიდანაც კარგად ჩანს, რომ მისთვის ამ ტერმინის მნიშვნელობა ფილოსოფიურ მსჯელობასთან არის დაკავშირებული:

სამთა მათ საძიებელთა საფილოსოფოსოთა სიტყუათაგან ორთა მათ უკუნ არღუევენ და ნეშტსა მას შინა ჭეშმარიტებასა ჰპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებენ: ექუსთა დღ. გ. ათ., 109, 12—14 (ბერძნულ დედანში, როგორც ვნახეთ, „საფილოსოფოსო სიტყუა“ საერთოდ არ არის).

უძველეს თარგმანში მიახლოებითი კალკია შექმნილი ამ ბერძნული ტერმინისა: შეურაცხყოფენ ორთა მათ წინამდებარეთა სიტყუათა და მესამესა სიტყუასა შინა ჰპოებენ სამართალსა: ექსუთა დღ. უძვ., 130, 10—12.

არისტოტელეს „ანალიტიკაში“ (I ანალ. თ. I) **πρότασις** ტერმინი განმარტებულია, როგორც გამონათქვამი (**λόγος**, oratio, речь, высказывание), რომელიც ამტკიცებს ან უარყოფს რამეს რაიმეს შესახებ: **Πρότασίς μὲν οὖν ἐστι λόγος καταφατατικὸς τινὸς κατά τινος**, АПА, I, 24a, 16-17. Propositio quidem est oratio affirmansant negas aliquid de aliquo. Посылка есть высказывание, утверждающее или отрицающее что-нибудь о чем-нибудь: Анал., с. 9.

Πρότασις ცნების ამ განმარტებას ცოტაოდენი ცვლილებით იმეორებს იოანე დამასკელი: **Πρότασίς ἐστι λόγος ἀποφατικός τινος ἀπό τινος, ὅπερ ἐστὶν ἀπόφασις οἷον Σωκράτης οὐ γελᾷ, ἢ τίνος κατά τινος ὅπερ ἐστὶ κατάφασις, ὡς Σοκράτης γελᾷ**: Dial. **ξε**·

ეფრემ მცირის თარგმანით: ... წინადადებაჲ არს სიტყუაჲ განჩინებით თქუმული ვისგანმე ვისთჳსმე, რომელ-იგი არს უკუთქუმაჲ, ვითარმედ: „სოკრატი არა იცინის“ ანუ ვისგანმე ესრეთ წართქუმაჲ, ვითარმედ: „სოკრატი იცინის“.

როგორც ვხედავთ, **πρότασις** — enuntiatio, propositio — **წინადადების** ეს განმარტებები მის გრამატიკულ ტერმინოლოგიაში და ჩვეულებრივ, ყოფით მეტყველებაში დამკვიდრებულ შინაარსს გულისხმობს (დადებითი ანუ უარყოფითი აზრის სიტყვიერი გადმოცემა, ანუ დადებითი ან უარყოფითი შინაარსის გამონათქვამი). მაგრამ იმავე **πρότασις** ლექსემას არისტოტელე იყენებს როგორც სპეციალური ლოგიკური ცნების გამომხატველ ტერმინს, რომელიც სილოგიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია: **Τούτου δ' ὄντος φανεροῦ, δῆλον ὡς καὶ ἐκ δύο προτάσεων καὶ οὐ πλειόνων**, АПА, I, 25.

Πρότασις ტერმინის აგებულება და გააზრება ნათელია: იგი შედგება **προ**- წინდებულისა და **τάσσω** ზმნისაგან ნაწარმოები სახელისაგან: **τάσις**. აქედანაა კალკირებული ლათინური pro-positio ტერმინი (როგორც ლოგიკური, ისე გრამატიკული მნიშვნელობით), ხოლო ლათინურიდან ევროპულ (მაგ. ფრანგ. proposition, რუს. предложение) ენებშია შესული. თავის დროზე (XI ს.) ამ ბერძნული ტერმინის ქართული შესატყვისი კალკი მოგვცეს ეფრემ მცირემ და არსენ იყალთოელმა იოანე დამასკელის დიალექტიკის თარგმანში:

| ეფრემი | არსენი |
|---|---|
| ხოლო შემოკრებაჲ შეინივთების ორთა ჭეშმარიტთა წინადადებათაგან და შესრულებათა: დიალ. 51,1. | ხოლო შეგულისსიტყუვაჲ შემოკრებულ არს ორთა ჭეშმარიტთა წინადადებათაგან და შესრულებისა. |

ეს ტერმინი ანტონ ბაგრატიონის მეშვეობით დამკვიდრებულ იქნა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, ხოლო ლოგიკური შინაარსით, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სილოგიზმის შემადგენელი ნაწილი, ნაწარმოები იქნა ახალი ტერმინი წანამძღვარი, რომელიც იმავე ბერძნული ტერმინის სემანტიკურ კალკს წარმოადგენს.

გარდა წინადადებისა, ეფრემთან ამ ცნების აღსანიშნავად ვხვდებით მსგავსადვე აგებულ ფორმას წინადაწესებული. „დიალექტიკის" ზემოთმოყვანილი თავის საერთო სათაურად ეფრემის თარგმანში ვკითხულობთ: „საზღვრისათჳს და წინადაწესებისა და შემოკრებისა" (**Περὶ ὅρου καὶ προτάσεως καὶ συλλογισμοῦ**, Dial. ξε).

ეფრემის ამ ტერმინთან ახლოს დგას პეტრიწის ტერმინი პირველდაწესებული, რომელიც მას ნემესიოსის თხზულების თარგმანში აქვს ნახმარი **πρότασις** ტერმინის შესატყვისად: **Ψευδὲς γὰρ ἐστὶν ἡ πρότασις**: PG, 40, col. 548. ტყუვილ ვინაჲვე არს პირველდაწესებული: ნემეს. 29, 20. ან: **Ψευδὲς ἂν ἦν πρότασίς**: col. 745. ტყუვილ ვიდრემე იყოს პირველდაწესებული: ნემეს. 143, 4—6.

საქმე ისაა, რომ წინადადება ტერმინს იოანე პეტრიწი ამავე თხზულების თარგმანში (იხ. ნემეს., გვ. 148, PG, t. 40, col. 756) ხმარობს ბერძნული **ὑπόθεσις** — propositum — предположение, условие-ს შესატყვისად, რომელიც, სხვათა შორის, არისტოტელესთან წანამძღვრის (посылка) მნიშვნელობითაც იხმარება. ალბათ ამიტომ ერიდება იგი **πρότασις** ტერმინის წინადადებით თარგმნას და პროკლეს „კავშირთა" განმარტებაში საერთოდ უთარგმნელად გადმოაქვს იგი, როგორც არისტოტელეს ლოგიკური ტერმინი (იხ. ზემოთ).

ჩვეულებრივ, ბერძნული ფორმითვე აქვს წარმოდგენილი ეს ტერმინი ამონიოს ერმიასის თხზულებათა მთარგმნელსაც: **Πᾶσα γὰρ ἀπόδειξις τὰς μὲν προτάσεις σάφεις καὶ ὁμολογουμένας λαμβάνει**: Ammon. 74—75.

ყოველი აღმოჩენაჲ პროტასეოთა ვიდრემე ცხადთა და აღსაარებულთა მიიხუამს: S 2562, 167r.

ან: **Προτάσεις... ἐξ ὧν ὁ συλλογισμός**: Ammon. 88. პროტასეონი, რომელთაგან შეიქმნების სჳლლოგიზმოსი: 182v.

თუმცა მთარგმნელს მაინც უცდია ქართული შესატყვისის შექმნა: ხოლო ერთი წინგანსლვაჲ დააკლდების შეგულისსიტყჳსაჲ, ვინაჲ შეგულისსიტყუაჲცა უსრულად ითქუმის: 82v.

წანამძღვრების აღსანიშნავად გარდა **πρότασις** (propositio, enuntiatio) ტერმინისა, არისტოტელესა და მის კომენტატორებს გამოყენებული აქვთ ტერმინები: **λῆμμα** (propositio, sumptio) „მიღებული", რომელიც პირველ ანუ დიდ წანამძღვარს აღნიშნავს (თუმცა, არისტოტელესთან ყოველთვის არ არის დიფერენცირებული: **Ἐκ τῶν λημμάτων συλλογισμὸν ποιεῖσθαι**: იხ. Дворецкий, 1024) და **λαμβάνω** „ვიღებ" ზმნისაგან მიღებული სახელია, ასევე, ლათ. sumptio ნაწარმოებია summo „აღება, მიღება" ზმნისაგან. **Πρόσληψις** „დამატებით მიღებული", რომელიც მეორე ანუ მცირე წანამძღვარს აღნიშნავს, **προσλαμβάνω** „დამატებით, კიდევ, ზედმეტად ვიღებ" ზმნისაგან ნაწარმოები სახელია (მისი ზუსტი კალკია ლათ. assumptio—assumo „ვამატებ" ზმნიდან). ამ უკანასკნელის სინონიმად არისტოტელესთან გვხვდება კიდევ მიმღეობის ფორმა **προσλαμβανόμενα**. როგორც ნემესიოს ემესელის საბუნებისმეტყველო—ანთროპოლოგიური ტრაქტატის **Περὶ φύσεως ἀνθρώπου** („ბუნებისათჳს კაცისა") ბერძნული ტექსტის პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემელი[7] ქ. ფ. მატთეი აღნიშნავს, **λῆμμα** საზოგადო სახელია (სილოგიზმის შემადგენელი ნაწილის — **წანამძღვარისა**), რომელიც ლათინურად propositio-თი გადმოიცემა და, რომელიც, აგრეთვე, **πρότασις**-ადაც იწოდება და **πρόσληψις**-ადაც, ანუ ლათ. assumptio-დ [PG, ტ. 40, col. 547—548]. არისტოტელეს ნაშრომებში ამ ტერმინთა მკაცრი დიფერენციაცია თითქოს არ ჩანს, თუმცა I ანალიტიკის I წიგნის 25-ე თავში იგი ლაპარაკობს მთავარ წანამძღვრებზე: **κύριαι προτάσεις**: АПА, XXV, 70, 31 (principales propositiones) და წანამძღვრების შემადგენელი სამი ტერმინიდან: საშუალო (**τὸ μέσον**) და ორი კიდურა (**τὰ ἄκρα**) ტერმინიდან გამოჰყოფს დიდს ანუ პირველს (**τὸ μεῖζον, πρῶτον**) და მეორეს ანუ უკანასკნელს (**τὸ ἔλαττον, ἔσχατον**) [3, გვ. 189].

დიოგენე ლაერტთან გარჩეულია სილოგიზმის შემადგენელი ნაწილები: 1. **λῆμμα** — I ანუ დიდი წანამძღვარი. 2. **πρόσληψις** — II ანუ მცირე წანამძღვარი [PG, ტ. 40, col. 547, სქ.; 5, გვ. 1024, **λῆμμα** ლექსემის განმარტება].

ლოგიკური ტრაქტატების ძველ ქართულ თარგმანებში დიდი და მცირე წანამძღვრების ასეთი დიფერენციაცია არ ჩანს, მაგრამ ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ნემესიოსის ერთი ადგილის პეტრიწისეული თარგმანის ჩვენება თვით ბერძნული ტერმინების მნიშვნელობის გაგებისა და ქვემოთ მოყვანილი კონტექსტის სწორად წაკითხვის თვალსაზრისით: "Ἐστι δὲ τὸ ἕτερον **τῶν λημμάτων ψεῦδος κατὰ πρόληψιν κείμενον**: PG, t. 40, col. 548. Est autem altera sumptio non vera quae in assumptione est haec: col. 547.

პეტრიწის თარგმანით:

არს პირველი დაუღლვით მიღებულთაჲ ტყუილ, ერთქმნილი პირველმღებადთაჲ: ნემეს. 29, 13 („ლემათაგან ერთი ტყუის“).

**Κατὰ προσληψις** ფორმას, რომელიც ხელნაწერებშია, მატთეი ასწორებს **κατὰ πρόληψιν** ფორმით, რადგანაც პირველი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ნიშნავს „დამატებით მიღებულს“ ანუ მცირე წანამძღვარს სილოგიზმში, ხოლო ამ კონტექსტში მცირე წანამძღვარზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ მცდარ „მინაღებზე“, დაშვებაზე, რომელიც წინასწარ, ადრევეა მიღებული (**κατὰ πρόληψις**). როგორც ვხედავთ, პეტრიწის თარგმანი ეთანხმება ამ გასწორებას: მასთან მოცემულია **πρό-ληψις** სიტყვის თარგმანი: პ ი რ ვ ე ლ მ ღ ე ბ ა დ ი და არა **πρόσληψις** ლოგიკური ტერმინისა; **προ-** წინდებულიან სიტყვებს იგი ჩვეულებრივ პ ი რ ვ ე ლ ან წ ი ნ ა ჲ თ ვ ე სიტყვების შემცველი კომპოზიტებით თარგმნის (**πρό-τασις** — პირველდაწესებული, **προ-ϋφίστημι** — პირველწარმოდგომილი, **πρό-γνωσις** — წინმეუწყეობა...) ხოლო **πρός** ზმნისართის შემცველ სიტყვებს კი თ ა ნ, ზ ე დ წინდებულიანი ფორმებით, ან უბრალოდ, დ ა რ თ ვ ა, მ ა ტ ე ბ ა ზმნებით (**πρόσθεσις** თ ა ნ მ ი ღ ე ბ ა, დ ა რ თ ვ ა, **ἄν γὰρ τι ἄλλο προσθῇς** — რაჲცალა დ ა ჰ რ თ ო და ჰ მ ა ტ ო: ი. პ. I, 9, 21).

როგორც ჩანს, **λῆμμα** (დიდი, I წანამძღვარი) ტერმინთან მეზობლობაში **πρόληψις** სიტყვა გადამწერებმა სილოგიზმის II — ანუ მცირე წანამძღვრად,

---

7 პროფ. ქრისტიან ფრიდრიხ მატთეის (Matthaei) რედაქტორობით ჰალეში 1802 წ. გამოიცა ნემესიოსის ტრაქტატის ბერძნული ტექსტი, რომელიც თითქმის უცვლელადაა გადმობეჭდილი Migne-ის პატროლოგიიდან. ტ. 40, 1858 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

πρόσληψις ტერმინად გაიგეს. აქედან მოდის, ალბათ, ლათინური თარგმანის[8] შეცდომაც in assumptione (მცირე წანამძღვარი).

შესაძლებელია დავუშვათ ისიც, რომ λῆμμα ტერმინთან მეზობლობაში **πρόσληψις** ფორმა ტექსტის ლათინურად მთარგმნელმა კალმის შეცდომად ჩათვალა და თარგმნა თავისი შესწორებით: in assumptione. ამგვარად, პეტრიწის ამ წაკითხვას (პ ი რ ვ ე ლ მ ღ ე ბ ა დ ი) დიდი მნიშვნელობა აქვს ბერძნული ტექსტის პირველი ვარიანტის დასადგენად. მის ხელთ არსებული ბერძნული ხელნაწერი, როგორც ჩანს, მატთეის შესწორების თანახმად, მართლაც **πρόληψις** ფორმას შეიცავდა. იგივე ითქმის შემდეგს კონტექსტზეც: **Ψευδὴς γὰρ ἔστιν ἡ πρότασις καὶ ἐνταῦθα, κ α τ ὰ π ρ ό λ η ψ ι ν**: PG.t. 40, col. 548. Falsa est enim enuntiatio in assumptione ista. იოანე პეტრიწი: „ტყუვილ ვინაჲვე არს პირველდაწესებული და აქაცა მებრ პ ი რ ვ ე ლ მ ღ ე ბ ი ს ა: ნემეს. 29. 20 („მცდარია, მაშასადამე, წანამძღვარი აქაც, წინასწარ აღებული"; „И в этом случае ложна первая посылка, наперёд (и произвольно) утверждающая: 4, стр. 46).

**Λῆμμα** ცნებას იოანე დამასკელი განმარტავს როგორც საზოგადოდ მიღებულ აზრს: **λημμάτιόν ἔστιν ὅπερ εἴλεπται ὡς ὁμολογούμενον πρὸς κατασκευὴν τινος**: Dial. ξε΄. („ლემა არის ის, რაც მიღებულია, როგორც ზოგადად აღიარებული").

ამ განმარტების მიხედვით, ცხადია, არ იგულისხმება ამ ტერმინის სპეციალური მნიშვნელობა, როგორც **დიდი წანამძღვრისა.** ეფრემ მცირე, როგორც მოსალოდნელია, მის შესატყვისად ხმარობს ნამყო დროის **ნა-** პრეფიქსიან მიმღეობას, რომელსაც სუბსტანტივაციის უნარი აქვს: „მ ი ნ ა ღ ე ბ ი არს, რომელი მიღებულ იქმნეს, ვითარცა აღსაარებული": დიალ. 51, 13.

აქვე გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ტერმინზე ა ღ ს ა ა რ ე ბ უ ლ ი — **ὁμολογούμενον**, რომელიც რამდენადმე უკავშირდება **πρότασις** ტერმინის მნიშვნელობას, როგორც „წინასწარ მიღებულ ჭეშმარიტ დებულებას". — **ὁμολογούμενον** ტერმინის ქართული შესატყვისი — ა ღ ს ა ა რ ე ბ უ ლ ი გვხვდება როგორც ეფრემ მცირის ლექსიკონში (იხ. ზემოთ), ასევე ნემესიოსის და ამონიოსის თხზულების თარგმანის ენაში:

მ ი ვ ი ღ ე საძიებელი ესე, ვითარცა ა ღ ს ა ა რ ე ბ უ ლ ი და ვთქვ: დიალ. 52, 13. ესე უკუე დადვა, ვითარცა პ ი რ ვ ე ლ ა ღ ს ა ა რ ე ბ უ ლ ი და ჰკაზმავს სიტყუასა: ნემეს. 31, 24 — **Τοῦτο οὖν λαβὼν, ὡς ὁμολογούμενον**: PG, t. 40, col. 552—„და ასე, მიიღო რა ეს, როგორც აღიარებული (აქსიომა)" (ფ. ვლადიმირსკი „აქსიომით" თარგმნის); პროტასეოჲსა, რომელი, ვითარცა ა ღ ს ა ა რ ე ბ უ ლ ი, პირველ მიიღებვოდა: S 2562, 167 r.—**Πρότασιν, ἣν ὡς ὁμολογουμένην πρὶν ἐλαμβάνομεν**: Ammon. 74—76.

I ანალიტიკის I წიგნში არისტოტელე სილოგიზმს განსაზღვრავს როგორც ტერმინებისა (**ὅροι**) და წანამძღვრების (**προτάσεις**) კავშირს.

ხოლო ტერმინს—**ὅρος**-ს უწოდებს იმას, რადაც იშლება (ანუ რისგანაც შედგება) **πρότασις** — წინადადება ანუ გამონათქვამი, მსჯელობა (იგივე წანამძღვარი),

---

[8] უძველესი ლათინური თარგმანი ეკუთვნის რიხარდ ბურგუნდიოს (XII ს.) [4, გვ. 8, სქ.].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ იმას, რაც გამოითქმის რაიმეზე[9] ან რაზეც გამოითქმის რაიმე, ერთი სიტყვით, წინადადების წევრებს (ლოგიკური გაგებით), არსენის სიტყვებით — „კერძონი წინადადებისანი“: Ὅρον δὲ καλῶ εἰς ὃν διαλύεται ἡ πρότασις, οἷον τότε κατηγορούμενον καὶ τὸ καθ οὗ κατηγορεῖται: АПА, II, 39, 31. Terminum autem voco, in quem dissolvitur propositio, ut praedicatum, et id de que praedicatur.

ეს განსაზღვრება ცოტაოდენი ცვლილებით გამეორებულია იოანე დამასკელის „დიალექტიკაში“: Ὅρος ἐστίν, εἰς ὃν ἀναλύεται ἡ πρότασις: Dial. ξε'.

ამ კონტექსტში ὅρος ტერმინის შესატყვისად ეფრემ მცირე ხმარობს საწყის ფორმას: განსაზღვრებაჲ იგი არს, რომლის მიმართ განილეოდის წინადადებაჲ: დიალ. 51,8;

მაგრამ, ჩვეულებრივ, ამ ტერმინის შესატყვისად ძველ ქართულ ფილოსოფიურ ძეგლებში და იმავე „დიალექტიკის“ ეფრემისავე და არსენის თარგმანში ძ ე ლ უ/ზ ე ლ უ ზმნური ძირის მომავალი დროის მიმღეობაა გამოყენებული: **სა-ზღვ-არ:**

ხოლო თითოეული წინადადებაჲ საზღვართაგან შემოკრბების და თითოეული ნაწილი წინადადებისაჲ განსაზღვრებად სახელ-იდების, რამეთუ განსაზღვრებაჲ არს, რომლისა მიმართ აღიჳსნების წინადადებაჲ (ეფრემი).

თითოეული წინადადებაჲ საზღვართაგან შემოკრებულ არს, რამეთუ თითოეული ლექსი წინადადებისაჲ საზღვრად ითქუმის, რამეთუ საზღვარი არს, რომლისა მიმართ დაიჳსნების წინადადებაჲ (არსენი): 51,2.

ნაწილებისაგან შემდგარი ერთიანობის (მთლიანობის) ნათელსაყოფად იოანე პეტრიწს სილოგიზმის, როგორც ნაწილებისაგან შემდგარი ერთის, მთლიანის მაგალითი მოჰყავს: სამთა მიერ საზღვართა — ყოველი სჳლლოგიზმოჲ: II, § 82, გვ. 22, 7 (შდრ. არისტოტელე: Πᾶς συλλογισμὸς ἔσται διὰ τριῶν ὅρων μόνων: АПА, XXIV, 70, 22).

როგორც უკვე ვთქვით, არისტოტელე წანამძღვრებში განარჩევს სამ ტერმინს: ორ კიდურას (τὰ ἄκρα) და ერთს — საშუალს (τὸ μέσον) რომლის მეშვეობით კიდურა ტერმინები დანასკვში უკავშირდებიან ერთმანეთს. როგორც ზემოთ ვნახეთ, იოანე პეტრიწი, იძლევა რა სილოგიზმის ორიგინალურ სქემას, რომლის მიხედვითაც ნათლად გაიაზრება τὰ ἄκρα და τὸ μέσον ლოგიკურ ტერმინთა შინაარსი, ხაზს უსვამს საშუალო ტერმინის მნიშვნელობას შემეცნების პროცესში: „იხილე, ვითარ ყოველი ცნობაჲ და ძიებაჲ საშუალისაჲ არს, და იგი აზიარებს და შეჰყრის ურთიერთას ორთავე კიდურთა (ი. პ. II, § 1, II, 9—10).

პეტრიწის ეს მსჯელობა, როგორც ჩანს, ეყრდნობა არისტოტელეს I ანალიტიკის I წიგნის 23-ე თავსა და II ანალიტიკის II წიგნის II, III და XI თავებში გაშლილ მსჯელობებს კვლევა-ძიების პროცესში საშუალო ტერმინის მნიშვნელობის შესახებ.

[9] Ὅρος ტერმინის აქედან გამომდინარე მეორე მნიშვნელობაზე („განსაზღვრება“, „определение“) სხვაგან გვექნება ლაპარაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ ვნახეთ, არისტოტელეს განსაზღვრებით ტერმინი (ὅρος) არის ის, რისგანაც შედგება წანამძღვარი (**πρότασις** — წინადადება), ანუ ის, რაც გამოითქმის რაიმეზე (**κατηγορούμενον**), ან ის, რაზედაც გამოითქმის რაიმე (**καθ' οὗ κατηγορεῖται**). არსებითად ამასვე ამბობს ამონიოს ერმიასი, რომელიც წანამძღვრის **(წინადადების)** შემადგენელი ტერმინების ადგილას პირდაპირ სვამს არისტოტელესეულ ლოგიკურ ტერმინებს — **κατηγορούμενον** და **ὑποκείμενον**: **Πρότασις ἐκ δύο ὅρων σύγκειται, ὧν ὁ μέν ἐστιν. ὑποκείμενος ὁ δὲ κατηγορούμενος**: Ammon. 88, 8-10.

„ხოლო პროტასი ორთა საზღვართაგან თანამდებარე არს, რომელთაგანი ერთი ვიდრემე არს ქუემდებარე, ხოლო სხუაჲ — შესმენილი“: 182r-v.

**Κατηγορούμενον** (сказуемое praedicatum) მიმღეობაა ზმნისა **κατηγορέω**, რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა „შესმენა, порицать, обвинять, высказывать“. იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანში ეფრემ მცირეს და არსენ იყალთოელს ამ ბერძნული ლექსემის ამოსავალი მნიშვნელობა აქვთ თარგმნილი: **შესმენითი სიტყუა, შესმენილი, შემასმენელი**. ეს უკანასკნელი დამკვიდრდა კიდევაც ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიაში. **Ὑποκείμενον** კი **ქვე** (под) წინდებულიანი **κεῖσθαι** „ვდებ“ ზმნის მიმღეობაა, რომლის ფორმალური კალკია არსებისეული ქუე(დ) მდებარე, რომელიც აგრეთვე, დამკვიდრებულია თანამედროვე ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიაში (ასევე, მისი კალკია ლათ. subjectum, რუს. подлежащее).

ამ ტერმინთა ფორმალური მოტივაცია და გააზრება კარგად ვლინდება ამონიოსის ზემოთ მოყვანილი კონტექსტის გაგრძელებაში: **Ὑποκείμενος μὲν ἐστὶ περὶ ἐκείνου λεγόμενος, οἷον Σωκράτης περιπατεῖ ὑπόκειται μὲν γὰρ ὁ Σωκράτης, περὶ οὗ ὁ λόγος, κατηγορεῖται δὲ τὸ περιπατεῖν, ὅπερ κατ' ἐκείνου λέγεται**: Ammon. 88, 10-13.

ქართული თარგმანი:

ქუემდებარე ვიდრემე (არს), რომლისათჳს არს სიტყუაჲ, ხოლო შესმენილი, რომელი მისთჳს ითქუმის, ვითარ-იგი: „სოკრატი იარების“, რამეთუ ქუედძეს სოკრატი, რომლისათჳს არს სიტყუაჲ, ხოლო შეისმინების სიარული, რომელი სამისოდ ითქუმის: S 2562, 182v.

ამ ტერმინების შესახებ უფრო ვრცლად გვექნება მსჯელობა არისტოტელეს ონტოლოგიურ კატეგორიებთან დაკავშირებით. ახლა კი განვიხილოთ სილოგიზმის შემდეგი შემადგენელი ნაწილის — **დანასკვის** (conclusio, заключение) ამსახველი ტერმინოლოგია ძველ ქართულში.

ზემოთ ვნახეთ, რომ სილოგიზმს არისტოტელე განიხილავდა, როგორც ტერმინებისა და წანამძღვრების კავშირს (I ანალიტ., წიგნი I). I ანალიტიკის II წიგნში კი იგი სილოგიზმს განიხილავს როგორც წანამძღვრებიდან დანასკვის გამომდინარეობას. ამ მიმართებით სილოგიზმის განსაზღვრა მას მოცემული აქვს უკვე I ანალიტიკის I წიგნის პირველსავე თავში (სადაც იგი იძლევა სილოგიზმის ძირითადი ცნებების განსაზღვრებებს):

**Συλλογισμὸς δέ ἐστι λόγος ἐν ᾧ, τεθέντων τινῶν ἕτερόν τι τῶν κειμένων ἐξ ἀνάγκης συμβαίνει τῷ ταῦτα εἶναι**: АПА, 1, 39, 34-36. „სილოგიზმი არის მსჯელობა, რომელშიც რაიმეს მტკიცებისას მისგან აუცილებლობით გამომდინა-

რეობს განსხვავებული რამ“. ამ განსხვავებულ გამომდინარეობას კი იგი უწოდებს **συμπέρασμα**-ს.

ამ ტერმინის ამოსავალი მნიშვნელობა ორგვარად შეიძლება გავიაზროთ: 1. როგორც **περαίνω** („შესრულება, დასრულება, აღსრულება, совершать, осуществлять, заканчивать“, მნიშვნელობის შემდგომი გადაწევით — „დასკვნის გამოტანა, делать вывод“), ზმნისაგან ნაწარმოები სახელი, მისი ამოსავალი მნიშვნელობა იქნება „დასასრული, დაბოლოება“. თვით **περαίνω** ზმნა ნასახელარია, ნაწარმოები ჩანს **πέρας** „ბოლო, კიდე, საზღვარი, предел, край სახელისაგან. აქედანვეა ზმნისართი **πέρα** (უკიდურესად, крайне) და აქედან მნიშვნელობის გადაწევით—სპეციალური ლოგიკური ცნების, „დანასკვის“ (ლათ. concludo „заключать“ ზმნიდან ნაწარმოები conclusio, რომლის კალკია რუსული заключение) გამომხატველი ტერმინი. 2. შესაძლებელია, **συμπέρασμα** ტერმინი გააზრებულ იქნეს, როგორც **πέρα** ფუძისაგან ნაწარმოები **περάω** ზმნის დერივატი. **Περάω** ნიშნავს „გადასვლას, გადალახვას“ (переходить, проходить). აქედან **συμπέρασμα** შეიძლება გავიგოთ, როგორც „თანაგამოსავალი, თანაგამომდინარეობა“. ეს გააზრება ჩანს სწორედ ამ ლოგიკური ცნების ერთ-ერთ რუსულ შესატყვისში — вывод.

ორივე შესაძლებელი გააზრება ამ ცნებისა მოცემულია მის ძველ ქართულ შესატყვისებში: **შესრულება** და **თანგასავალი.**

**Συμπέρασμα**-ს პირველი მნიშვნელობით ინტერპრეტაციას შეიძლება თვალი გავადევნოთ ამონიოს ერმიასის მსჯელობაში, სადაც განხილულია შემთხვევა, როცა საქმე გვაქვს წრესთან დასაბუთებაში (Κύκλῳ καὶ ἐξ ἀλλήλων, circulus in demonstrando):

Βουλόμενος γάρ δεῖξαι ὅτι ἡ ψυχὴ ἀθάνατος ἔλαβον τὸ αὐτοκίνητον πρῶτον, συνεπέρανα δὲ τὸ ἀθάνατου, βουλόμενος δὲ πάλιν δεῖξαι ὅτι ἡ ψυχὴ αὐτοκίνητος ἔλαβον πρῶτον τὸ ὕστερον λεχθὲν τὸ ἀθανάτον καὶ συνεπέρανα ὅτι αὐτοκίνητος: Ammon. 74, 19-22.

ქართული თარგმანი:

მნებავმან ჩუენებად, ვითარმედ უკუდავ არს სული, მივიღე პირველად თჳთმოძრავი და შევასრულე უკუდავი, ხოლო მნებავმან კუალად ჩუენებად, ვითარმედ სული თჳთმოძრავ არს, მივიღე პირველად უკუდავი და შევასრულე თჳთმოძრავი: S 2562, 167r.

სწორედ ასეთ გააზრებას იძლევიან **συμπέρασμα** ტერმინისა ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ სათანადო ადგილის თარგმანში. **συμπέρασμα** მათი ინტერპრეტაციით არის *შესრულება*:

Ὁ δὲ συλλογισμὸς σύγκειται ἐκ δύο ἀληθῶν προτάσεων καὶ τοῦ συμπεράσματος: Dial. ξε΄.

| ეფრემი | არსენი |
| --- | --- |
| შემოკრებაჲ შეინივთების ორთა ჭეშმარიტთა წინადადებათაგან და *შესრულებათა*: დიალ. 51,1. | შეგულისსიტყუაჲ შემოკრებულ არს ორთა ჭეშმარიტთა წინადადებათაგან და *შესრულებისა*. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულება ტერმინის სემანტიკური და ფორმალური მოტივაცია აქ ნათელია. სულ სხვაგვარ ინტერპრეტაციას იძლევა ამ ტერმინისას თავისი განმარტებითი თარგმანით იოანე პეტრიწი.

იოანე პატრიწსაც **συμπέρασμα** სილოგიზმის „დასასრულად“ მიაჩნდა, (იხ. ზემოთ: „ხოლო დასასრულისასა ეწოდების სჳმპერაზმა...“), მაგრამ ქართული შესატყვისის ძიებისას იგი წინ წამოსწევს იმას, რომ სჳპერაზმა ორი კიდურა ტერმინის შემაერთებელია, ორი „თანამდებარე“ წანამძღვარიდანაა გამოსული, ანუ როგორც თვითონ ხსნის, „თანგასავალია ურთიერთას კიდურთა“ (ეს გააზრება ნათელია ზემოთ წარმოდგენილი პეტრიწისეული თვალსაჩინო სქემიდან). ამიტომ პეტრიწი **συμπέρασμα**-ს ქართული შესატყვისისთვის ამოსავლად იღებს **περάω** ზმნის მნიშვნელობას და ასე იძლევა ამ ბერძნული ტერმინის საკუთარ ინტერპრეტაციას ქართული შესატყვისის საშუალებით:

„სჳმპერაზმაჲ, რომელ არს თანგასავალი“ (II, § 2, 22,9). ამ ბერძნული ტერმინის ასეთ განმარტებას იგი არაერთხელ იმეორებს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, პეტრიწი ამ კალკირებული ფორმით იძლევა მხოლოდ ახსნა-განმარტებას ამ ტერმინისა, საბოლოოდ კი მას, როგორც ჩანს, არ აკმაყოფილებს „თანგასავალი“, როგორც ტერმინი და ამიტომ ხშირად პირდაპირ ბერძნულ ფორმას ტოვებს: „ამას თანშესიტყუასა სჳმპერაზმაჲ ერთ ჰყოფს და ერთისგუარ, რამეთუ სამთა მიერ საზღუართა ყოველი სჳლლოგიზმოჲ და ერთისა სჳმპერაზმაჲსა“ (II, § 2, 22,6—7).

როგორც ვნახეთ, პეტრიწი გვერდს უვლის აგრეთვე ეფრემისა და არსენისეულ „შესრულება“ ტერმინსაც, რომელიც მას, შესაძლებელია, არ აკმაყოფილებს იმის გამოც, რომ იგი ეფრემ მცირეს არისტოტელეს **ἐντελέχεια**-ს შესატყვისადაც აქვს გამოყენებული: „მოძრავობა არს შესრულებაჲ ძალისაჲ“ (დიალ., 48,1).

შესრულება ტერმინი **συμπέρασμα**-ს შესატყვისად გვხვდება ამონიოს ერმიასის „მოსაჴსენებელთა“ თარგმანშიც:

**Ὥστε διάλληλος δεῖξίς ἐστιν ἡ τὰς προτάσεις συμπεράσματα ποιοῦσα**: Ammon. 74, 22-25.
ურთიერთას ჩუენებაჲ არს უპირველესისა შესრულებად შემქმნელი: S 2562, 167r („წრე დასაბუთებაში არის წანამძღვრების დანასკვად მქცევი“).

მაგრამ უფრო ხშირად აქაც ბერძნული ტერმინი უთარგმნელადაა გადმოტანილი: Τὸ δὲ συμπέρασμα ἀσαφὲς ὂν σαφενίζει καὶ φανερὸν ποιεῖ: Ammon. 74, 25.
ხოლო სჳმპერასმა უცხადოდ მყოფსა განაცხადებს და საჩინო ჰყოფს პროტასეთა მიერ.: S 2562, 176r.

ზემოთ განხილულ ტერმინთაგან, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი გამოიყენა იოანე ბაგრატიონმა თავისი „კალმასობის“ ფილოსოფიურ ნაწილში, რომლის წყაროსაც ფილოსოფიურ-ლოგიკური ტრაქტატების ძველი ქართული თარგმანები წარმოადგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, მან თავი ვერ გაართვა სინონიმიის პრობლემას და ამ მდიდარი მასალიდან ვერ შეძლო შეერჩია თითო ცნებისათვის შესატყვისი საუკეთესო ტერმინი. მაგ. წანამძღვრისათვის გამოყენებული აქვს როგორც წინადადება, ასევე წინაჩამოგდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

(შდრ. პეტრიწის წინჩამოსაგდებელი სიტყუა) ლექსემები. სილოგიზმისათვის — სილოგიზმი და შესიტყვება, ტერმინისათვის — საზღუარი, დატოვებული აქვს აგრეთვე ტერმინები ქუემდებარე და შესმენილი, ხოლო, რაც შეეხება συμπέρασμα-ს, მის შესატყვისად ქმნის ახალ ტერმინს კიდურმდგმოება (კალმ. 30—32—33), რომელიც ვერც ფორმისა და ვერც სემანტიკური გამომსახველობის თვალსაზრისით ვერ უსწორდება ზემოთ განხილულ ძველ ტერმინებს.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულ ლოგიკურ ტერმინოლოგიაში სილოგიზმის ცნების შესატყვისად გამოყენებულია ტერმინი დასკვნა (умозаключение), რომელსაც ყოფითს მეტყველებაში მსჯელობიდან გამომდინარეობის (вывод, заключение) მნიშვნელობა აქვს, რაც გარკვეულ უხერხულობას ქმნის. ხოლო წანამძღვრებიდან გამომდინარე ახალი მსჯელობისათვის სპეციალური ტერმინი, **დანასკვი** გამოიყენება (**ნა-** პრეფიქსიანი ნამყო დროის მიმღეობის ფორმა იმავე ფუძის ზმნიდან).

„ვეფხისტყაოსანში“ დასკვნა, ჩვეულებრივ, „გადაწყვეტილების“ მნიშვნელობით გვხვდება (დაასკვნის იგი თათბირი: 1408, 2; დაასკვნა გაგზავნა მოციქულისა: 314,1; რომე პირველვე დაესკვნა, მათ ესე შეეტყვებოდა: 512,1 და სხვ.). დასკუნა ლექსემა საბასთან განმარტებულია როგორც „სიტყვის დამტკიცება“, ხოლო დამტკიცება (აღმოჩენა — ἀπόδειξις) ძველი ქართული ენის ძეგლებში გვხვდება დასაბუთება ცნების შესატყვისად, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ [2, გვ. 116] (მაგ. თეოფილაქტე ბულგარელის იოანეს სახარების თარგმანებაში იგი აღმოჩენა — „დასაბუთება, დამტკიცება“ — ლექსემასთან სინონიმურ წყვილშია ნახმარი: აღმოაჩინა, დაამტკიცა, ვითარ ძე მისი არს: A 52, 46r; ან იხ. მაგ. იოანე პეტრიწის „განმარტება“: ვითარ თხზვამან აღმოჩენათამან და სიტყუამან სარწმუნომან დაამტკიცოს, მერმელა თანგანვლის სახედ სჳმპერაზმა — უზამს და იტყჳს: § 191, 197, 13).

ამგვარად, საბას ამ განმარტებას ძველი ქართული ენის ძეგლებშიც აქვს საფუძველი. აქედან გამომდინარე, უკვე გასაგებია დასკვნა ლექსემის მნიშვნელობის გადაწევა და მისი სპეციალური (умозаключение) ლოგიკური გაგებით გამოყენება, რაც უკვე ფიქსირებულია დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში.

ჰუმანიტარულ და ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარების თანამედროვე პირობებში, რაც, უპირველეს ყოვლისა, სწრაფ ტემპსა და ფართო საერთაშორისო კონტაქტებს გულისხმობს, განსაკუთრებით მწვავედ დგას იგივე პრობლემები, რაც ჩვენი წინაპრების წინაშე იდგა ცხრა-ათი ასწლეულის წინათ. განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს პრობლემები დღეს, როდესაც დიდია ცთუნება ე. წ. საერთაშორისო სპეციალური ლექსიკის მზამზარეული გადმონერგვისა სწრაფი ათვისებისა და მეცნიერული კომუნიკაციის გაადვილების მიზნით. ასეთ პირობებში მით უფრო საშურია და აუცილებელი ძველ ქართველ მოღვაწეთა სიტყვათშემოქმედების პრინციპების და მეთოდების შესწავლა და მათი დიდი გამოცდილების პრაქტიკულად გამოყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შემოკლებანი

დ ი ა ლ. — იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფავამ, თბ., 1976.

ე ქ უ ს თ ა, კ ა ც. შ ე ს. უ ძ ვ. — უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათჳს“, X—XIII სს. ხელნაწერთა მიხედვით, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1964.

ე ქ უ ს თ ა, გ. ა თ. — ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გიორგი ათონელის თარგმანი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბ., 1947.

ი. პ. II — იოანე პეტრიწი, შრომები, II, განმარტებაჲ პროკლესათჳს დიადოხოსისა, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1937.

კ ა ლ მ. — იოანე ბაგრატიონი, კალმასობა, ფილოსოფიური ნაწილი, ტექსტი გამოსცა გულნარა დედაბრიშვილმა, თბ., 1974.

S 2562 — კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი, „ამონიოს ერმიას ძისა მოსაჴსენებელი ხუთთა ჴმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა; მოსაჴსენებელი ათთა კატიღორიათადმი არისტოტელისათა“.

A 52 — კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი, თეოფილაქტე ბულღარელი, იოანეს სახარების თარგმანება.

А н а л. — Аристотель, Аналитики, Госполитиздат, Москва, 1952.

А П А — Ἀριστοτέλης, Ἀναλυτικὰ πρότερα, Aristoteles, Opera omnia, graece et latine, vol. I, Parisiis, edit. A. F. Didot, MDCCCLXII.

A m m o n. — Ammonius in Porphirii Isagogen, vive V voces, edit. Ad. Russe, Berolini, Commentaria in Aristotelen graeca, vol. MDCCCCXXXXI.

D i a l. — Die Schriften des Ioannes von Damascos, I, Dialectica, ver. Kotter, Berlin, 1969.

PG — Patrologiae, cursus completus, Series graeca, edit. S. P. Migne, 1858' t. 40.

## ლიტერატურა

1. კ ვ ი ნ ტ უ ს ჰ ო რ ა ც ი უ ს ფ ლ ა კ უ ს ი, პოეტური ხელოვნებისათვის, თარგმანი ა. ურუშაძისა, თბილისი, 1981.
2. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი დ., ძველი ქართული ლოგიკური ტერმინოლოგიიდან, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, კრებული 25, 1984.
3. А х м а н о в А. С. Логическое учение Аристотеля, М., 1960.
4. В л а д и м и р с к и й Ф., Немезий, епископ Эмесский. О природе человека, Почаев, 1904.
5. Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, 1958.

Д. Н. МЕЛИКИШВИЛИ

## ТЕРМИНОЛОГИЯ СИЛЛОГИСТИКИ И ДОКАЗАТЕЛЬСТВА В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ

### Р е з ю м е

В статье рассматриваются общие принципы терминообразования, выработанные деятелями XI-XII вв. Ефремом Мцире, Арсением Икалтоели, Иоанном Петрици, Иоанном Таричисдзе. Отмечается большая продуктивность способа калькирования греческих слово-терминов. Дан семантический и морфологический анализ древнегреческо-грузинских соответствий терминов умозаключения: λῆμμα, πρόσληψις, πρότασις წინადადება (посылка); ὅρος საზღვარი (термин); ὑποκείμενον ქუემდებარე (подлежащее); κατηγορούμενον შემასმენელი (сказуемое); συμπέρασμα შესრულება, თანგასავალი (заключение, вывод).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფსიქოლოგია

აისი ბარკალაია

## ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური მონაცემები ნარკომანიით დაავადებულთა ქარაქტეროლოგიური შესწავლის შესახებ

ნარკომანიის განვითარება და გავრცელება თანამედროვეობის მეტად მტკივნეულ და საკმაოდ რთულად დასაძლევ პრობლემად ითვლება. პრობლემატურია როგორც თვითონ ნარკომანის ცნების, ისევე ნარკომანის ქცევის პირველადი მოტივაციისა და საერთოდ მისი ქცევის სხვა ფორმების თავისებურებების, კანონდანაშაულისა და ნარკომანიის ურთიერთობის, ნარკომანის სოციალური რეაბილიტაციის და სხვა საკითხები. რაც შეეხება პიროვნების ფაქტორის როლს ნარკომანიის განვითარებაში, იგი დღემდე რჩება გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საკითხად, რომელიც ისევე პრობლემატურია, როგორც ნარკომანიასთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი.

საქმე ისეა, რომ არ არსებობს პირდაპირი საშუალება რომელიც სიზუსტით დაადგენდა თუ რომელი პიროვნებაა მიდრეკილი ნარკომანიისადმი; არაპირდაპირი მაჩვენებლები კი (ასეთად თვლიან ტოლერანტობისა და შეკავების სიმპტომებს, სადაც განსაკუთრებულად ვლინდება პიროვნული განსხვავებულობანი მათ მიმდინარეობასა თუ გამოვლენაში) ვერ ასახავენ ფაქტიურ მდგომარეობას.

მთელი რიგი გამოკვლევების თანახმად, ნარკომანიის კლინიკური სურათი განსხვავებულად ვლინდება ადამიანებთან რომელთაც არ აღენიშნებათ ფსიქიკური გადახრის ნიშნები, და იმათთან ვისაც აქვს ლაბილური ფსიქიკა სხვადასხვა ფსიქოპათიური გადახრებით. ამან განაპირობა ნარკოტიკებით ქრონიკული მოწამვლის შემთხვევების დაყოფა საკუთრივ ნარკომანიად და ნარკოტიზმად (კრაფთ-ებინგი, ს. კორსაკოვი). მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხი გამოყოფის პრინციპშია და არა მის არსებაში. მთავარი ამ გამიჯვნაში არის ის, რომ სიტყვა „ნარკომანია“, რომელიც ფართო გაგებით იხმარება, მოითხოვს დაზუსტებას. ამ სფეროში მომუშავე ბევრი თანამედროვე სპეციალისტი თვლის, რომ ტერმინი „ნარკომანია“ იხმარება თვითნებურად და ეს ხელს უშლის მის მეცნიერულად შესწავლას. უფრო მეტიც, ამუხრუჭებს კვლევითი მუშაობის განვითარებას, მის სწორად წარმართვას (ნარმან ზინბერგი, ჯონ რობერტსონი, თომას ზაცი და სხვ.). ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის 1964 წლის დადგენილებით სიტყვა „ნარკომანი“ შეიცვალა სიტყვებით „მომხმარებელი“ ანუ „წამალზე დამოკიდებული“ იმ მოტივით, რომ „ნარკოტიკების ხმარების შესახებ პრობლემათა უმრავლესობა არ ექვემდებარება ნარკომანიის კლასიკურ განმარტებას და სინამდვილეში შემთხვევათა რაოდენობა, რომელიც არ ემთხვევა ნარკომანიის სტერეოტიპს, ძალიან ბევრია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაიზრდება ნარკოტიკების ხმარება ჩამოყალიბებულ ნარკომანიად თუ არა, ეს, თანახმად მთელი რიგი თანამედროვე გამოკვლევებისა, განპირობებული უნდა იყოს სხვადასხვა კულტურული, სოციალური და პიროვნული ფაქტორებით.

პიროვნულ-ინდივიდუალური განსხვავებულობა ვლინდება როგორც თვით ფარმაკოლოგიური ნივთიერებების შერჩევაში (აღიარებულია, რომ არსებობს რაღაც შინაგანი კავშირი ადამიანის ფსიქოფიზიკურ მდგომარეობასა და იმ ნარკოტიკულ საშუალებებს შორის, რომელსაც ის ირჩევს), ასევე ნარკომანის ცხოვრების სტილსა და პირად კონტაქტებში. ამიტომ უკავშირდება ნარკომანია პიროვნების პრობლემას და ამიტომ არაა გამორიცხული, რომ ნარკოტიკების მოქმედების ეფექტი ამით იყო განპირობებული.

მაგრამ აღნიშნულ საკითხზე არსებობს არამც თუ განსხვავებული, არამედ ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებანიც კი. ერთი მხრივ, სახეზეა მცდელობა ნარკომანიის განვითარებაში პიროვნების როლის მნიშვნელობის დადგენისა, რომელიც ფაქტიურად ექვემდებარება პიროვნების დიფერენციალურ ტიპოლოგიას, ხოლო მეორე მხრივ, ისეთი აზრიც არის განმტკიცებული, რომ ნარკომანების ცხოვრება იმდენად ერთფეროვანი და მონოტონურია, რომ მათთან საერთოდ არ ვლინდება ინდივიდუალობა, და რომ არ არსებობს ტიპი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ბუნებრივი ნარკომანი, და რომ არსებითად ყველა პიროვნება ნამდვილი ან პოტენციური ნარკომანია. არიან ისეთი მკვლევარებიც, რომლებიც რადიკალურად უკიდურეს თვალსაზრისზე დგანან. მათი აზრით, ვინაიდან ნარკომანებად შეიძლება გახდნენ განვითარების დაბალი დონის ცხოველები და ნარკომანი დედისგან ახალშობილნი, ნარკომანიას არაფერი აქვს საერთო პიროვნებასთან, მის მოტივაციასთან და ღირებულებებთან. ამიტომ ისინი სრულიად უგულებელყოფენ პიროვნების ფაქტორს ნარკომანიის განვითარებაში და ნარკომანიას განიხილავენ როგორც მხოლოდ და მხოლოდ ბიოლოგიურ ფენომენს.

თანამედროვე გერმანელი ავტორი ვ. ჰობი საკითხს პირდაპირ სვამს: არსებობს კია ნარკოტიკებთან შეჩვევის გარკვეული პიროვნული მიდრეკილება? მისი აზრით, „არ შეიძლება დაემყარო არც ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების, არც ფარმაკოლოგების თეორიებს“. ჰობის მიერ შესწავლილი პაციენტების ოთხი ჯგუფის (პოლიტოქსიკომანები, ალკოჰოლიკები, ფსიქოსომატიურნი და მონოტოქსიკომანები) დისკრიმინაციული ანალიზით მან ვერ იპოვნა შესატყვისობა პიროვნულ-განმასხვავებელ ნიშნებთან. პიროვნების სახესხვაობა გამოჩნდა მხოლოდ მკურნალობის ეფექტში. ამიტომ ის ასკვნის, რომ „სპეციფიკური სადიფერენციაციო“ ნიშნის ძიებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემის უახლესი გადაწყვეტა არ არის მოსალოდნელი ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ მეცნიერები არ ნახავენ მკვეთრად გამოხატულ ზოგად ადამიანურ ფენომენს, რომელსაც ექვემდებარება ყოველი მოთხოვნილება, რასაკვირველია განსხვავებული ხარისხით და საზოგადოებრივი აღქმის განსხვავებული რაკურსებით. მისი აზრით, ჯერ კიდევ ღიად რჩება საკითხი არსებობს თუ არა საერთოდ ავადმყოფური მისწრაფებით შეპყრობილი პიროვნება. ის თვლის, რომ ამ საკითხთან დაკავშირებული ყოველგვარი გაურკვევლობა ეფუძნება იმას, რომ ძალიან ხშირად პიროვნების ერთგვაროვანი განზომილება განიხილება როგორც „ტიპური“; და რომ არსებობს მთელი რიგი გამოკვლევებისა, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებსაც არ შეუძლიათ გამოავლინონ პიროვნულ-განმასხვავებელი ნიშნები არც ნარკომანიის ჯგუფებსა და არც პათოლოგიის სხვა შემთხვევების ჯგუფებს შორის; და რომ მიღებული შედეგები ძალიან ხშირად თითქოს-და მეთოდური არტეფაქტები არიან [9].

იმავე საკითხებს ეხება თანამედროვე ამერიკელი მკვლევარის ა. ლინდსმიტის გამოკვლევები. მართალია პიროვნება და მოთხოვნილების საგანი ეს ის ძირითადი მოქმედი ფაქტორებია, რომლებიც ნარკომანიის შესწავლისას აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, მაგრამ, მისი აზრით, მაინც ძალიან ძნელია მოიძებნოს ნარკომანებთან კორელაცია ფსიქოლოგიურ ტიპსა თუ განსხვავებული ხასიათის ნიშნებსა და იმ ნარკოტიკულ საშუალებებს შორის, რომლებსაც ისინი უპირატესობას ანიჭებენ. სათანადო მასალის ანალიზით ა. ლინდსმიტი ასაბუთებს, რომ 1. ზოგიერთი ნარკომანი ნარკოტიკების მიღებისას არ განიცდის არამც თუ ეიფორიას, არამედ უბრალო სიამოვნებასაც კი (ამით ა. ლინდსმიტი უგულებელყოფს აღიარებულ დებულებას, რომ ნარკომანებად ხდებიან სახელდობრ ის ადამიანები, რომლებიც უფრო ძლიერ და პოზიტიურად განიცდიან ნარკოტიკების მოქმედებას), 2. ნარკომანები აგრძელებენ ნარკოტიკების მიღებას არა სიამოვნების განცდის გასაძლიერებლად, არამედ მხოლოდ იმისათვის რომ უზრუნველყონ „ნორმალური" თვითგრძნობა, 3. ნარკომანებად შეიძლება გახდნენ ის პირები, რომელთაც პრაქტიკაში არასოდეს არ მიუღიათ ნარკოტიკი თვითნებურად, მოხალისედ. ე. ი. ფაქტიურად ყველა, ვინც რამოდენიმეჯერ მაინც განიცდის ნარკოტიკების მოქმედებას საკუთარ თავზე [7].

როგორც ვხედავთ, არიან ავტორები, რომლებიც ვერ პოულობენ სათანადო საფუძველს ნარკომანთა შორის განსხვავებული ქარაქტეროლოგიური ნიშნების დასადგენად. მართალია, ფსიქოლოგიური ტესტების დახმარებით ნარკომანი პიროვნების შესწავლის შედეგად გამოვლენილ იქნა გარკვეული განსხვავებული პიროვნული ხასიათის ნიშნები (პასიურობა, თავის შესაძლებლობების სუსტად გამოყენება, ემოციური შეკავება და სხვ.), მაგრამ, როგორც ამას ეს ავტორები თვლიან, მსგავსი მასალით ვერ საბუთდება ტიპოლოგიური განზოგადება. აუცილებელია უფრო ინტენსიურად იქნეს შესწავლილი აღნიშნული პრობლემის ყველა ასპექტი ნარკომანიის „სპეციფიკური" ნიშნის გათვალისწინებით [5].

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმ ავტორთა შეხედულებების განხილვა, რომლებიც ნარკომანიის განვითარებაში გარკვეულ როლს პიროვნების ფაქტორს მიაკუთვნებენ. პირველი, რომელმაც პიროვნების ფაქტორის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება ნარკომანიის ეტიოლოგიაში, იყო კოლბი. მისი აზრით, ნარკომანებად ხდებიან ადამიანები, რომელთაც აღენიშნებათ შინაგანი და გარე კონფლიქტები, ფიზიკური ან სულიერი ტკივილებით დაღლილნი, ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებით ეძებენ სიმშვიდესა და განყენებას. ან-და სულაც შინაგანად დაცარიელებული ადამიანები, რომლებიც გაბრუებასა და სიმთვრალისკენ ილტვიან. ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო განმტკიცდა აზრი იმის შესახებ, რომ ნარკომანიის წარმოქმნაში ერთ-ერთი ძირითადი როლი განეკუთვნება ნარკომანი პიროვნების ფსიქიკის თავისებურებას. მაგალითად, ზოგიერთ ახალგაზრდას არ შესწევს უნარი ჩააყენოს თავის თავი სოციალური მოთხოვნების ჩარჩოებში. ეს უუნარობა ვლინდება შეგუე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სუსტ შესაძლებლობებში, მომავლის იმედის დაკარგვაში, ნებისყოფისა და საერთოდ სხვა პიროვნულ სისუსტეში. ამიტომ ის იძულებულია მიმართოს ნარკოტიკებს, როგორც ადაპტაციურ საშუალებას, რომელიც დაეხმარება მას შინაგანი დაძაბულობის მოხსნაში (კლაუერდი და ოგლინი). ისიც ფაქტია, რომ ნარკოტიკების ხმარება აჩქარებს და უფრო მყარს ხდის ანტისოციალურ ჩვევებს იმ პირებთან, რომელთაც არამდგრადი ფსიქიკა აქვთ (ჰ. კილპოლცი).

ცნობილი თანამედროვე ამერიკელი მკვლევარები — ნატანი ედი, ჰ. ჰალბახი, ჰარი იზბელი, მორის სივერსი და სხვ. [3, 4, 6] — უარყოფენ ორ აღიარებულ სახელმძღვანელო პრინციპს: 1. ნარკომანია როგორც წმინდა ფიზიოლოგიური მოვლენა, და 2. ნარკოტიკები როგორც ერთადერთი წყარო ნარკომანიისა, და ნარკომანიის განვითარებაში ხაზს უსვამენ ფსიქიკური დამოკიდებულების დომინირებულ როლს. საკითხის ასე ახლებურად განვითარების ცდას აქვს ორი განსხვავებული წყარო; პირველი თავის საწყისს იღებს ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სფეროდან, მეორე კი თავისი ბუნებით სოციალურ-ფსიქოლოგიურია. ნარკომანიის ასეთი გაგება მოითხოვს ნარკომანი პიროვნების გარკვევასა და შესწავლას. ამერიკელი მეცნიერი დ-რი პილი პირდაპირ წერს: „ნარკომანიის პრობლემას უფრო მეტი შინაარსი აქვს წარმატებით გადაწყვეტისათვის, თუ მას ავხსნით როგორც პრობლემას პიროვნების ცხოვრების ზოგად სფეროსთან დაკავშირებით, და ნარკომანიის გაგების საუკეთესო საშუალებაა მისი ინტერპრეტაცია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი, გამოცდილება, პიროვნების გარე სამყაროსთან კავშირის ქარაქტეროლოგიური ნიშნები და სხვა პიროვნული მაჩვენებლები“ [10].

ნარკომანიის განვითარებაში პიროვნების ფაქტორის ერთ-ერთ ძირითად ასპექტზე მიუთითებს ისიც, რომ თუ ნარკომანია არ ვითარდება განსაკუთრებულად ერთ-ერთი ტიპის ქიმიური ნივთიერების მოქმედების შედეგად, შეიძლება თუ არა იგი ჩაითვალოს ფიზიოლოგიურ ან ბიოლოგიურ წარმონაქმნად? და რამდენად ღირებულია ერთ-ერთი ნივთიერების მოქმედების ეფექტი, თუ მას ისეთი ზოგადი ხასიათი აქვს, როგორც უამრავ სხვა ნივთიერებას? იმ ფაქტთან ერთად, რომ ნარკომანია წარმოიქმნება არა მხოლოდ ოპიუმის ნივთიერებების ხმარების შედეგად, არამედ სხვა ნივთიერებებითაც, გარკვეულ დეზორიენტაციას იწვევს ისიც, რომ იგი ყოველთვის არ წარმოიქმნება თვით ოპიუმის ხმარების დროსაც. ლიტერატურაში არის აღწერილი შემთხვევები, როცა ნარკოტიკები ყოველთვის არ იწვევენ ნარკომანიას, როცა მას ღებულობენ რეგულარულადაც კი და თანაც დიდი დოზებით. ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ პიროვნული თვისობრიობა ზემოქმედებას ახდენს ნარკოტიკებით პროდუცირებულ ძირითად ეფექტზე. უნდა დავუშვათ, რომ აქ მოქმედებს როგორც ბიოლოგიური, ისე ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ნარკომანიის გარკვევისათვის საჭიროა ყველა (მათ შორის შემთხვევითი და ზერელე) მომენტის გათვალისწინება და, რასაკვირველია, ქცევის ისეთი ზოგადი ან არსებითი ნიშნების გამოვლენა, რომლებიც ნარკომანიისთვისაა სპეციფიკური. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ნარკომანის ქცევისა და გამოცდილების დახასიათებისას აუცილებელია უგულებელვყოთ წინასწარ აღებული დებულება იმის შესახებ, რომ ქცევის რაღაც გარკვეული, თუნდაც შემოსაზღვრული ასპექტი, საერთოა ნარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომანიის ყველა შემთხვევისათვის. ეს რომ ასე იყოს, მაშინ არავითარი აზრი არ ექნება პიროვნების ფაქტორის როლის ძიებას ნარკომანიის განვითარებაში. ფაქტია, რაც უფრო ძლიერია სუბიექტური მოთხოვნილებები და ხელშემწყობი პირობები, მით მეტია ალბათობა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებისა. უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურა, რომელიც ეხება ნარკომანიის დინამიკურ ფსიქოლოგიურ სტრუქტურას, შედარებით მცირეა. შრომები უფრო ეხება სოციალურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ საკითხებს. ნარკომანი პიროვნების ფორმირების უამრავი მიზეზიდან (ამ მიზეზთა სიმრავლის გამო ზოგიერთი ავტორი იმასაც ამბობს, რომ მათ კვლევას საერთოდ არა აქვს აზრი) ძირითადად უნდა ჩაითვალოს: 1. გარემო, რომელიც ხელს უწყობს ნარკოტიკების ხმარებას, და 2. გარკვეული ინდივიდუალური მიდრეკილება ამ ნივთიერებისადმი. ამ ორი ფაქტორის არსებობა და მათი გარკვეული თანაფარდობა აუცილებელი უნდა იყოს ნარკომანიის განვითარებისათვის. ამიტომ ნარკომანიის ხელშემწყობ პიროვნულ თავისებურებათა ექსპერიმენტული კვლევისათვის უნდა შეირჩეს ისეთი მეთოდიკა, რომელიც გამოავლენს როგორც გარემოს როლს, ასევე სუბიექტურ-ინდივიდუალურ თვისობრიობას. ასეთად მიგვაჩნია მარეის თემატიური აპერცეპციის მეთოდი [8].

კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ შევეხებით მხოლოდ პიროვნების ფაქტორს, ამ უკანასკნელის როლს ნარკომანის ქცევის მოტივაციაში. შესწავლილია 50 ნარკომანი (17 წლიდან 30 წლამდე მამაკაცები), რომლებიც დეზინტოქსიკაციის კურსს გადიოდნენ რესპუბლიკურ და ქალაქის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში, და შრომა-გასწორების დაწესებულებების სამმართველოს სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში. დიაგნოზი — პოლინარკომანია (ერთდროულად ან მონაცვლეობით სხვადასხვა ნარკოტიკული ნივთიერების მიღება). შესადარებლად შევისწავლეთ დაახლოებით იმავე ასაკისა და განათლების 50 ჯანმრთელი მამაკაცი. პარამეტრების არჩევისას ვიხელმძღვანელეთ ჩვენ თემასთან დაკავშირებული რამდენადმე მნიშვნელოვანი მეთოდური პრინციპებით. სახელდობრ, პროექციის სახეები განვიხილეთ ლ. ბილაკის მიერ მოწოდებული სქემით (პროექცია, იდენტიფიკაცია, სენსიბილობა და ინვერსირებული პროექცია) [2], მხედველობაში მივიღეთ აგრეთვე მ. არნოლდის შენიშვნა მარეის მეთოდის მიმართ. იგი თვლის, რომ მოთხრობის შინაარსის საფუძველი არ შეიძლება იყოს მხოლოდ არარეალიზებული, სიღრმისეული მისწრაფებები ან ლტოლვები. მოთხრობის მასალა ასახავს არა იმდენად ამ ტენდენციებს, რამდენადაც პიროვნების სოციალურ განწყობებს (ატიტუდებს). წარმოდგენა თავის თავზე და სოციალურ გარემოზე იქმნება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ ღირებულებათა სისტემების საფუძველზე. ის ქმნის მოთხრობის „მორალს", რისი ანალიზის შედეგადაც დგინდება მოტივაციური ინდექსი. ის შეიძლება იყოს დადებითი — გმირი ადეკვატური ცხოვრებისეული განწყობებით, საკუთარი პრობლემების მიმართ კონსტრუქტული მიდგომით, რომელიც ემყარება სხვა ადამიანებთან თანამშრომლობას, ან უარყოფითი — გმირი რომელიც მიდრეკილია იმპულსური, დესტრუქტული ან არაპროდუქტული მოქმედებისაკენ [1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

| № | პარამეტრები | ნარკომანების ჯგუფი 50 ცდ. პ. | საკონტროლო ჯგუფი 50 ცდ. პ. |
|---|---|---|---|
| 1. | პროექციის სახეები: | | |
| | იდენტიფიკაცია | 12 | 10 |
| | სენსიბილობა | 9 | 13 |
| | ექსტერნალიზაცია | 11 | 12 |
| | ინვერსირ. პროექტ. | 18 | 15 |
| 2. | მოტივაციის ინდექსი: | | |
| | დადებითი | 10 | 35 |
| | უარყოფითი | 40 | 15 |

როგორც ცხრილიდან თვალსაჩინოდ ჩანს, ნარკომანებსა და საკონტროლო ჯგუფებს შორის მკვეთრი განსხვავება გამოჩნდა უარყოფითი ინდექსის მაჩვენებლებში. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, იგი საგრძნობლად სჭარბობს ნარკომანებთან. რაც შეეხება პროექციის სახეებს, იგი ნარკომანებთან თითქმის იმავე პროპორციით გამოვლინდა, როგორიც საკონტროლო ჯგუფში. პროექციის განსხვავებული გამოვლენა ლ. ბილაკის მიერ განიმარტება როგორც მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური და თვისობრივად თავისებური ნიშანი, რომელიც გავლენას ახდენს პიროვნების ქცევებსა და მოქმედებებზე.

ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ გამოკვლეულ ნარკომანებთან გამოვლინდა პროექციის იგივე ოთხი სახე, როგორიც საკონტროლო ჯგუფში, მეტყველებს იმაზე, რომ თვითონ ნარკომანებს შორის პიროვნულად განსხვავებულია როგორც თვით ნარკოტიკის ფაქტთან შეგუების პროცესი, ისე საერთოდ ცხოვრების სტილი და ნარკოტიკების მოქმედებით გამოწვეული შედეგები. აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ მართალია ჩვენ ვერ ვნახეთ ნარკომანებისა და საკონტროლო ჯგუფის პარამეტრების რაოდენობრივ რიცხობრივ მაჩვენებლებში განსხვავება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი იგივეობრივნი არიან თვისობრივადაც. და თუ როგორ ვლინდებიან ისინი იდენტიფიკაციის, სენსიბილობისა თუ ექსტერნალიზაციის კონკრეტულ შემთხვევებში ამას გვიჩვენებს ჩვენი მასალის ფორმალური ანალიზი.

მაგალითად, პროექციის იდენტიფიკაციური სახე ნარკომანებთან შემდეგნაირად გამოვლინდა: ბარათი № 9 (სურათზე გამოსახულია წამოწოლილი ოთხი მამაკაცი) — „კიროვობადიდან ჩამოვედით მე და მერაბა. ოღონდ ორნი ვართ, ოთხი საქმეზე არ მიდის. კარგა დაღლილები ვართ. რაც ვიშოვეთ კიროვობადში ქამარში გვაქვს შემობმული. ნაკაეფარი, შეშინებულები. ყველას თვალები გზისკენ გვაქვს. ერთი ატანდაზე დგას". ბარათი № 4 (ფანჯარაში გადმომდგარი ყმაწვილი) — „მეზობელი მყავს კუწა. ეს თეთრი სინათლე არის ქუჩა. ასეთივე ოთახი ჰქონდა. მე თუ რამეს ვიშოვიდი მაიკით ვანიშნებდი, გამოდი ყველაფერი რიგზეა". ბარათი № 20 — (სიბნელეში დგას მამაკაცი) — „ვდგავარ, ველოდები. მოვა, მომიტანენ". ამ ჯგუფში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ცდისპირები ახდენენ იდენტიფიკაციას სურათის ისტორიის გმირთან. მათთან მოთხრობის შინაარსებში გვხვდება ინტერფერენტული გამოთქმები. ჩანს ავტონომიურობისაკენ მიდრეკილება ე. ი. გვხვდება ისეთი გამოთქმები, რომლებიც არ არიან ექსპერიმენტთან დაკავშირებულნი. გვხვდება ზარმაცი სიტყვები და ჟარგონები. ისტორიები ემყარება პირად შთაბეჭდილებებს. ჩანს ემოციურობა, სუსტი ექსპანსიურობა. გმირების მოქმედება წარსული დროით განისაზღვრება. გვხვდება უარყოფითი მოტივაციის ინდექსიც—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხუბის, ეჭვიანობის, ქურდობის შინაარსით. დაუსაბუთებელი ჰიპოთეზები. არ ჩანს დისკოორდინაცია ფსიქიკურ ფუნქციებში.

პროექციის მეორე სახე — სენსიბილობა მოიცავს ისეთ შემთხვევებს როდესაც აღქმა სახეშეცვლილია ძველი გამოცდილებით. ცდისპირები სენსიბილურნი არიან არსებული სიტუაციის მიმართ, ე. ი. სიტუაციას აღიქვამენ მოლოდინის შესატყვისად. მაგ. ბარათი № 20 (სიბნელეში დგას მამაკაცი) — „მე მგონია ქუჩაშია გამოგდებული. ღამე შუქია ანთებული. რაღაცაშია გაჭირვებული. ელოდება გამვლელს რომ ფული იშოვოს. ან ნასვამია და ფეხის გადადგმაც არ შეუძლია. შეიძლება ჩვენი ძმები მივიდნენ და აქ მოათავსონ. იქნება აქ კურორტზე“, ბარათი № 3 (ტახტზე დამხობილი ადამიანი) — „უმუშევრად დარჩა. ფიქრობს წყალში გადახტეს თუ რა ქნას. შეიძლება მობეზრდა კაცს ცხოვრება“. ბარათი № 6 (მოხუცი ქალი და ყმაწვილი) — „მე მგონი შვილი ტოვებს დედას, ქალთან მიდის. დედა ცუდ ხასიათზეა. თვითონაც არ უნდა, მაგრამ ქალი ქალია“ და ა. შ. ამ ჯგუფის ცდისპირთა მონათხრობი უმეტესად ატარებს აღწერით ხასიათს, მოცულობა საშუალოზე ნაკლებია, სჭარბობს ალბათური ჰიპოთეზები, აზრი არ არის დასაბუთებული, არ ხდება შთაბეჭდილების კორექცია, არ ჩანს ფანტაზია, ემოცია ღარიბია, ინტელექტი შეზღუდული, მოთხრობები პასიური გმირის ისტორიებია. არ გვხვდება ინტერფერენტული გამოთქმები და ატონომიურობისაკენ მიდრეკილება. მოტივაციის უარყოფითი ინდექსი გვხვდება 10 შემთხვევაში.

ექსტერნალიზაციის ჯგუფში გავაერთიანეთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ცდისპირები აცნობიერებენ მოყოლილ ისტორიას, როგორც საკუთარ ისტორიას. ბარათი № 20 (სიბნელეში დგას მამაკაცი) — „მამაკაცი დგას ფანარის ქვეშ. სივრცე ჩაბნელებულია. მამაკაცი ჩაფიქრებულია. შეიძლება დღევანდელ ნამოქმედარზე იყოს ჩაფიქრებული. შეიძლება ელოდება ვინმეს მოვა თუ არა? ეჰ, რამდენჯერ ვყოფილვარ მეც ასეთ დღეში“, ბარათი № 6 (მოხუცი ქალი და ყმაწვილი) — „ეს ჩემთვის ნაცნობი სცენაა. დედასთან არის რთული ლაპარაკი. რატომღაც ის აღელვებულია, ალბათ ცოლი სცემა და საყვარელთან მიდის“, ბარათი № 13 (ლოგინზე გადაწოლილია მკლავებგაშიშვლებული ქალი, მამაკაცი იქვე დგას) — „საყვარელი მოკლა და დაალრჩო. ის არ სუნთქავს. დაალრჩო ნამდვილად. ალბათ მობეზრდა. მეც დავალრჩობდი თუ ეს საჭიროა“, ბარათი № 3 (ტახტზე დამხობილი ადამიანი) –– „ზის ტირის თუ დაღონებულია არ ვიცი. უფრო სწორად დაღონებულია, გამწარებული ფიქრობს რაღაცას. არ ვიცი. ჩემი ცოლისთანა დღეში თუ არის იფიქრებს აბა არა?“. მათი მოთხრობები საშუალო ზომისაა. აღწერითი ხასიათის. ჩანს აგრესიული შინაარსები — მოკვლა, დახრჩობა, დანგრევა, ჩხუბი. უარყოფითი ინდექსი ამ ჯგუფში ყველაზე მეტია — 27. მსჯელობა თანმიმდევარი, მაგრამ დაუსაბუთებელი. არ ხმარობს ჟარგონებს, ინტერფერენტულ გამოთქმებს. არ გვხვდება ჩართული კონსტრუქციები. მოთხრობები მშრალი და კონკრეტულია. მიუხედავად იმისა, რომ შინაარსში ვხვდებით, როგორც სასიყვარულო და ინტიმური სცენების, ასევე აფექტურ-აგრესიული შინაარსების აღწერას. ფსიქიკურ ფუნქციებში არ ჩანს დისკოორდინაცია.

ინვერსირებული პროექცია ისეთი შემთხვევებია, როდესაც ცდისპირები სხვას მიაწერენ თავის განცდებს, ახდენენ განცდის გაგარეგნებას. ბარათი № 3 (ტახტზე დამხობილი ადამიანი) — „ძალიან დავარდნილი, ჩამოხლეჩილი ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანი. ტირის. არავინ არ უნდა მარტოობის მეტი. ფეხებშია მოკეცილი. არავის ნახვა არ უნდა", ბარათი № 6 (მოხუცი ქალი და ყმაწვილი) „აქ ჩანს დედა და შვილი. ძალიან გულდაწყვეტილი არიან. შვილი, უფრო ამისგან მოდის სიცუდე. დედა გაფითრებულია. შეიძლება წასვლა უნდა შვილს, დედა უარს ვერ ეუბნება", ბარათი № 9 (მინდორში წამოწოლილი ოთხი მამაკაცი) „მთვრალები არიან და სძინავთ. ისე სძინავთ, რომ ყოველ წუთს შეიძლება წამოხტენ. წესიერი კაცი სახლში დაიძინებდა. მობოდიალე კაცებია" და ა. შ. მონათხრობის შინაარსები ინტერპრეტაციის ხასიათს ატარებს, გმირი დახასიათებულია როგორც არასრულფასოვანი, არასრულყოფილი, ჩანს შინაგანი დრამატული სიტუაცია, უკონფლიქტოა, როგორც მშობლების, ისე სხვების მიმართ. მონათხრობებში არ ჩანს ინტერფერენტული გამოთქმები, იშვიათად გვხვდება ჩართული კონსტრუქციები, ემოცია სუსტად არის გამოვლენილი, ფსიქიკურ ფუნქციებს შორის არ არის დისკოორდინაცია. უარყოფითი მოტივაციის ინდექსი ამ ჯგუფში მცირეა, სულ 5 შემთხვევაა, ისიც ჩხუბის შინაარსის.

როგორც ვხედავთ, ჩვენ მასალებში გამოვლინდა ნარკომანების ოთხი განსხვავებული ჯგუფი, სადაც მეტ-ნაკლებად შეგვხვდა პიროვნების მიდრეკილებათა თავისებურებებისა და სხვადასხვა ფსიქოპათოლოგიური გადახრების, პიროვნებაში კონფლიქტის თვისობრიობისა და მიზეზის, დომინირებული მისწრაფებებისა და მორალური კონტროლის შემთხვევები. სპეციფიკური ინდივიდუალური აპერცეპტული მექანიზმის განსხვავებამ იმ მხრივაც იჩინა თავი, რომ იდენტიფიკაციის შემთხვევებში უპირატესად გამოვლინდა დანაშაულის გრძნობა, სინანული და საერთოდ ემოციური ელფერის პასუხები, ხოლო ექსტერნალიზაციის ჯგუფში განსაკუთრებულად გამოჩნდა აგრესიული, ასოციალური და ამორალური ქცევის გამოვლინებანი. სწორედ ამ ჯგუფში შეგვხვდა უარყოფითი ინდექსის მაღალი რიცხობრივი მაჩვენებელი (40-დან 27 შემთხვევა). საკონტროლო ჯგუფისაგან განსხვავებით, ნარკომანების მიერ აღწერილი ისტორიის გმირები ხასიათდებიან საოცარი პასიურობითა და იმპულსურობით. მათთან ერთნაირი თანაფარდობით გვხვდება, როგორც შინაგანი პიროვნული აქტივობის, ასევე გარემოს დამამუხრუჭებელი დინამიური ძალის გამოვლენა. ამიტომ მათი ურთიერთმოქმედების შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტები ძალიან სუსტია და უფრო დაქვემდებარების ხასიათს ატარებს, ვიდრე ცხოვრებისეული სიძნელეების დაძლევის მცდელობას.

ნარკომანებთან ვერ ვხვდებით აზრის სიღრმეს და სიმახვილეს, საკითხის დაყენების ორგანიზებულობას და მისი გადაწყვეტის აქტიურ ცდას. არ ჩანს ინტელექტუალური ინიციატივა, დარწმუნებულობა და დასაბუთებაც კი ხდება სრულიად უმნიშვნელო ნიშნით, ხშირად სუბიექტური შთაბეჭდილებით. მათთან აზრის მიმდინარეობა არის შეზღუდული მოცულობის მხრივ და უფრო რიგიდული ფორმის მხრივ, ყველაფერი ეს ქმნის გონების სიჩლუნგისა და სიტლანქის შთაბეჭდილებას.

გააზრების გარკვეული ეტაპები: ბარათის გაცნობა, გაგება, ჰიპოთეზის მიღება-უარყოფა თუ შემოწმება, რაც ჩვეულებრივ შეიმჩნევა საკონტროლო ჯგუფის ოქმებში, არ გვხვდება ნარკომანებთან. ამ უკანასკნელებთან აღქმა ემყარება ზოგად შთაბეჭდილებას და ჰიპოთეზის მხოლოდ მიღებას ან უარყოფას, უკეთეს შემთხვევაში ჰიპოთეზის ჩამოთვლას. რაც შეეხება ჰიპოთეზის დასაბუთებასა და საჭიროების შემთხვევაში მის შეცვლას, რაც უფრო მაღალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცნობიერებულ დონეს მოითხოვს, სრულიად ვერ ვხვდებით ნარკომანებთან. როგორც ჩანს ნარკომანი უძლურია გაცნობიერებული, დასაბუთებული აქტის მომარჯვებით შეცვალოს ერთხელ მიღებული ჰიპოთეზა და კონტროლი გაუწიოს მიღებულ შთაბეჭდილებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ექსპერიმენტში ნარკომანების ინდივიდუალობის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნები განსხვავებულად გამოვლინდა, მაინც არ გვაქვს საფუძველი ჩვენი ნარკომანები მივიჩნიოთ ჭეშმარიტ ან შემთხვევით ნარკომანებად. მართალია, მათ გარკვეულ ნაწილთან ვნახეთ ზნეობრივი დეგრადაციის, შეიძლება ითქვას, სრულყოფილი და აბსოლუტური უკრიტიკო გამოვლენის შემთხვევები. მაგრამ ასევე ვნახეთ უფრო დიდი რიცხვი ნარკომანებისა, რომელთა მანკიერება შედარებით უმნიშვნელო ხარისხისაა, უფრო მეტიც, რომელთაც აქვთ გარკვეული სულიერი ღირსებანი. ამ უკანასკნელთა ზნეობრივი თვისებები ნაკლებად არის შელახული. ისინი უფრო მეტად გამოხატავენ სინანულის გრძნობას, უფრო კეთილგანწყობილნი არიან და დანაშაულის ჩადენის ტენდენციები მათთან იშვიათად ჩანს, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ გამონაკლისს, რომელიც შეიძლება იყოს იმპულსური გამოვლენის უფრო მსუბუქი ფორმა (რაც აგრეთვე შეგვხვდა საკონტროლო ჯგუფის ოქმებშიც), ან-და ნარკოტიკული აზარტით გამოწვეული ასაკობრივი სითამამე. ეს არის შემთხვევები, როცა ნარკომანები ახერხებენ კონტროლი გაუწიონ თავიანთ მოქმედებას, მაგრამ ცხოვრების პირობების წყალობით, ამჟღავნებენ ზნეობრივი ნორმების გადალახვის იმ სახეს, რომელიც საერთოდ არის დამახასიათებელი ახალგაზრდობისათვის. ისინი შეიძლება გახდნენ შემთხვევის მსხვერპლნი, ვინაიდან არ შეუძლიათ წინ აღუდგნენ მომენტალურ იმპულსს. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ისინი თავიანთი ფსიქოლოგიური სურათის, გადაწყვეტილების გამოტანისა და რეალობასთან შეგუების სირთულით, მაინც უფრო ახლოს არიან ნარკომანიასთან, ვიდრე საკონტროლო ჯგუფთან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ის სიკეთე, დახმარება, თანაგრძნობა და სოციალური კონტაქტების სხვა დადებითი ფორმები, რომლებიც ჩვენ ამ ჯგუფის ნარკომანებში ვნახეთ, ვლინდება მხოლოდ მისი წრის ამხანაგების მიმართ და არა საზოგადო სოციალური გარემოს მიმართ. საერთოდ ნარკომანებთან „სხვასთან“ კონტაქტი დაყვანილია მინიმუმამდე. ისინი შემოფარგლულნი არიან მხოლოდ თავიანთი წრით და ისიც ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ მათი დახმარებით იშოვონ ნარკოტიკული საშუალებანი. თემატური აპერცეპციის ტესტებით მათთან გამოჩნდა სოციალური გარემოს მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულება, ისინი უპირატესად მოქმედებენ მიკრო სოციალური წრის სფეროს ყოველდღიური ცხოვრების ელემენტების ფარგლებში.

ნარკომანის ინდივიდუალობის გამოვლენის სხვადასხვაობის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ ნარკომანებთან შეგვხვდა მეტ-ნაკლები სირთულის ქცევის კონკრეტული სახეები. ამიტომ განმტკიცებული აზრი, რომ ნარკომანებთან ნაკლებად ვლინდება ინდივიდუალობა, საეჭვო მიგვაჩნია. მაგალითად, ვანტენბარგის აზრით, ეგრეთწოდებული ცხოვრებისეული ტიპები ერთგვაროვნულად ფორმირდება იმის გამო, რომ ცხოვრების გარკვეული მდგომარეობა თავისებურ მისთვის დამახასიათებელ ანაბეჭდს ტოვებს პიროვნებაზე და რადგანაც ნარკომანების ცხოვრების სტილი მონოტონური, ერთგვაროვანი და ავტომატურია, ისინი ნაკლებ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი მსგავსნი არიან რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც აზრებით, გრძნობებით, ასევე გარეგნულადაც კი. ყველა მათ ახასიათებთ არსებითი, სახელდობრ ნარკომანისათვის დამახასიათებელი ნიშანი და წარმოადგენენ, ასე ვთქვათ, ერთი და იგივე ტიპის სტერეოტიპულ განმეორებას [11]. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს არის ზოგადი შთაბეჭდილება ნარკომანებზე. ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტში კი გამოჩნდა, რომ ნარკომანებთან ისევე გვხვდება ქცევის განსხვავებული ვარიაციები და სპეციფიკური ინდივიდუალური ნიშნები, როგორც საკონტროლო ჯგუფში. მართალია ნარკომანებთან ზნეობრივი ნორმები და მორალური ღირებულებანი იჩრდილება ნარკოტიკის მიღების ძლიერ აქტიური მოთხოვნილებით, მაგრამ როგორც ვნახეთ მათთან განსხვავებულია საშუალებები მისი დაკმაყოფილებისათვის და, რაც მთავარია, ადგილი აქვს ქცევის მეტად თუ ნაკლებად დიფერენცირებულობას. ყოველივე ეს კი ნარკომანიის განსხვავებული ინდივიდუალობის მაჩვენებელია.

ნარკომანების ფსიქოლოგიურმა გამოკვლევამ, განსაკუთრებით კი ნარკომანებისა და საკონტროლო ჯგუფის შედარებითმა შესწავლამ, გვიჩვენა, რომ მართალია ფსიქოლოგიური მონაცემების მიხედვით ჩვენ ვერ ვნახეთ საკუთრივ ნარკომანიისათვის სპეციფიკური, საკონტროლო ჯგუფისაგან განსხვავებული ნიშნები (გარდა ნარკომანების ქცევის უკიდურესი იმპულსურობისა. ვფიქრობთ ეს უნდა იყოს მიზეზი მათი ქარაქტეროლოგიური სირთულეების და სოციალური კონტაქტების გამწვავებისა, რასაც მკვლევარები ხშირად მიაწერენ მათ კონფლიქტურ, ფსიქოპათიურ ხასიათს), მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს პიროვნული ფაქტორის ნიველირებას ნარკომანის ეტიოლოგიაში. თვითონ ის ფაქტიც, რომ უკანასკნელ ხანს სულ უფრო გახშირდა პოლინარკომანთა რიცხვი (ეს კი თითქოს იმის მაჩვენებელია, რომ ნარკოტიკების შერჩევა არ ექვემდებარება პიროვნების დიფერენციალურ ტიპოლოგიას) არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ნარკომანია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ არის დამოკიდებული პიროვნების ინდივიდუალობაზე. რადგანაც ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება იყოს ჯერ ერთი ის, რომ გამოცდილმა ნარკომანმა პრაქტიკიდან იცის, რომ სხვადასხვა ნარკოტიკის კომბინირებული სახით მიღება უფრო აძლიერებს ნარკოტიკის მოქმედების ეფექტს, და მეორეც ის, რომ რაც უფრო გართულებულია ნარკოტიკების ლეგალური თუ არალეგალური გზით შოვნა, მით უფრო იძულებულია ნარკომანი მიმართოს ყოველგვარ საშუალებას, რომელიც მისთვის კონკრეტულადაა ხელმისაწვდომი. ამიტომ უნდა იყოს მისთვის „სულერთი“ თუ რომელ ნარკოტიკს მიიღებს იგი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მართალია ნარკომანებთან ვერ ვხვდებით ფსიქიკურ ფუნქციებს შორის დისკოორდინაციას (რაც ასე დამახასიათებელია ფსიქოზისა და ნევროზის ზოგიერთი ფორმისათვის), მაგრამ მათთან ფსიქიკის სისუსტე გამოვლინდა მთლიანი პიროვნების, მისი სასიცოცხლო ტონუსის ერთნაირად დაბალი ფორმის სახით. ეს ეხება როგორც საკუთრივ ინტელექტუალური პროცესების მიმდინარეობას, ასევე ნებისყოფისა და ფსიქიკური მოქმედების მთელ დინამიკას. ხოლო ის ხასიათობრივი ნიშნები, რომლებიც გამოჩნდნენ ნარკომანებთან — სულიერი მდგომარეობის გარკვეული სახე, რომელიც ესაზღვრება დეპრესიას და რომელიც მოიცავს უიმედობისა და თავისთავში დაურწმუნებლობის გრძნობას, შფოთი, მოუსვენრობა და ფუსტრაციის დაბალი ტოლერანტობა, რეალური ორიენტაციის უქმარობა ან საერთოდ დეზორიენტაცია და სოციალურის იგნორირება, ხოლო ზოგიერთებთან მომე-

ტებული აგრესიულობა და ამორალური და ანტისოციალური ტენდენციებიც კი — ყოველივე ეს უნდა იყოს ნარკოტიკების მოქმედებით გამოწვეული შედეგი და არა მიზეზი. წამალზე დამოკიდებულების მჭიდრო კავშირი ნარკომანიის „მე“-სთან, მის პირად ინტერესებთან შერწყმული ძლიერი მოთხოვნილება და მის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების სრული უარყოფა — ასეთია ნარკომანიის ზოგადი სახე, რომელსაც ავტორები ხშირად განიხილავენ როგორც „ტიპიურს“.

ამრიგად, ჩვენი მასალით რაიმე ქარაქტეროლოგიური თვისებები, რომელთაც შეეძლოთ ხელი შეეწყოთ ნარკომანიის განვითარებისათვის, ვერ დადასტურდა. ქარაქტეროლოგიური ნიშნების მიხედვით ნარკომანთა შორის საკმაო განსხვავებული პიროვნებები გვხვდება. მაგრამ აღნიშნული ვითარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ პიროვნული ფაქტორი არავითარ როლს არ ასრულებს ამ სენის აღმოცენებაში. ჩვენი გამოკვლევის შედეგი, მოცემულ ეტაპზე, მხოლოდ იმას გვიდასტურებს, რომ ნარკომანიის განვითარების ხელშემწყობი პიროვნული თავისებურება, ქარაქტეროლოგიური თვისებების მიღმაა საძიებელი.

А. Л. БАРКАЛАИА

## ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНО-ПСИХОЛОГИЧЕСКИЕ ДАННЫЕ ХАРАКТЕРОЛОГИЧЕСКОГО ИЗУЧЕНИЯ БОЛЬНЫХ НАРКОМАНИЕЙ

Резюме

В последние годы в специальной научной литературе появляется значительное число исследований, указывающих на необходимость изучения и выявления характерологических особенностей, предрасполагающих к наркомании.

Результаты проведенных в соответствии с этим экспериментально-психологических исследований показывают, что среди больных наркоманией могут встречаться самые различные характерологические типы и что в отношении частоты распределения последних группа больных наркоманией не отличается от здоровых испытуемых контрольной группы. Указанные данные дают основание полагать, что факторы, способствующие развитию наркомании, следует искать за пределами характерологических свойств заболевшей личности.

ლიტერატურა

1. Arnold M. B. Story sequence analisis. N.Y., 1962.
2. Bellak L. P.ogective Psychology. N.Y., 1950.
3. Eddy N. The search for a non-Addicting Analgesic. Narcotic drug Addiction problems, 1965.
4. Isbell H. Clirical research on Addiction in the United States, Narcotic drug Addiction problems, 1963.

ეროვნული ბიბლიოთეკა




5. C h e i n I. The status of Sociological and Social-Psychological knowledge concernig narcotics, Narcotic drug Addiction problems, 1965.
6. S e e v e r s M. H. Physiologikal aspects of tolerance and physical dependence. Physiological Pharmacology. V. 1. 1963.
7. L i n d e s m i t h A. Basic Problems in the Social Psychology of Addiction and a Theory; Perspectives on Narcotic Addiction, 1963.
8. M u r r a y H. Thematic Apperception Test Manual, Cambridge, 1943.
9. H o b í V. Gibst es eine spezielle Suchtpersönlichkeit? Therapeutische Imschau Revue therapeutique, Bern, 1982, Band 39, Heft 8.
10. P e e l e S. Redefininj Addiction, International Gurnal of Health Services, V. 7. № 1, 1977.
11. W a n t e n b e r g S. Chronic marichuana use and Psychological adaptation. Am. g. Psychiatr. 130, 1973.


წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომარ ვახტანგაძე

# ფიზიკის როლი აზროვნების განვითარებაში

„ფიზიკური აზროვნება არ არის თავისთავად ცხადი ხერხი, საჭიროა მისი შერჩევა, იგი მისაწვდომი ხდება ხანგრძლივი ვარჯიშითა და სწავლით. ფიზიკის სწავლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას სწორედ ამ აზროვნების აღზრდა წარმოადგენს.

ს. ი. ვავილოვი

„თანამედროვე ახალგაზრდობის სწორი სწავლებისათვის საჭიროა მათში აღვზარდოთ შემოქმედებითი უნარი... ეს ფუნდამენტური ამოცანაა, რომლის გადაჭრაზე შეიძლება დამოკიდებული იყოს ჩვენი ცივილიზაციის მომავალი, არა მარტო ერთ ქვეყანაში, არამედ გლობალური მასშტაბით. ეს ამოცანა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ატომური ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის პრობლემა.

აკად. კ. კაპიცა

მოსწავლეთა აზროვნების განვითარება, თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემაა. ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გავარკვიოთ რა როლს ასრულებს ფიზიკა, როგორც სასწავლო საგანი, დასახელებული პრობლემის გადაწყვეტაში, რა აქვს მას ამ მხრივ საერთო მომიჯნავე დისციპლინებთან და რას აკეთებს იგი მათგან განსხვავებულს, მოსწავლეთა აზროვნების განვითარებისათვის.

საშუალო სკოლა სისტემატურად და მიზანმიმართულად მუშაობს მოსწავლეთა ლოგიკური აზროვნებისა და სივრცითი წარმოდგენების განვითარებისათვის. მათემატიკაში, სხვა საკითხებთან ერთად, ამ საქმეს ემსახურება სიდიდეთა შორის ფუნქციური დამოკიდებულების ფორმულებითა და გრაფიკებით გამოსახვის სწავლება. განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს და შევეცდებით ვაჩვენოთ, რა მიმართებაშია მათთან ფიზიკა აზროვნების განვითარების თვალსაზრისით. ვთქვათ საქმე გვაქვს წრფივ ფუნქციასთან $y=ax+b$, რომლის გრაფიკს აქვს № 1 ნახაზზე მოცემული სახე.

დასახელებული სახის ფუნქციის სწავლებისას მათემატიკაში განიხილავენ სხვადასხვა შემთხვევებს, რომლებიც კონკრეტულად შეიძლება წარმოვიდგინოთ პირველ ტაბულაზე მოცემული სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკაში თანაბრად ცვლად მოძრაობის სიჩქარესა და დროს შორის დამოკიდებულებას გამოსახავენ ფორმულით $V = V_0 + at$, ხოლო გრაფიკულად № 2 ნახაზზე მოცემული სახით. ნივთიერი წერტილის სხვადასხვა სიჩქარითა და აჩქარებით მოძრაობის შემთხვევებში გრაფიკი სახეს იცვლის და I ტაბულაზე მოცემულ შემთხვევებს ემთხვევა. ამაში ნათლად დავრწმუნდებით თუ დავაკვირდებით II ტაბულაზე მოცემულ გრაფიკებს.




ნახ. 1.

ტაბულა 1

| პირველი კოეფიციენტი | $a > 0$ | | | $a < 0$ | | | $a = 0$ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თავისუფალი წევრი | $b > 0$ | $b < 0$ | $b = 0$ | $b > 0$ | $b < 0$ | $b = 0$ | $b > 0$ | $b < 0$ | $b = 0$ |
| გრაფიკი |  | | | | | | | | |




ნახ. 2

განხილულ შემთხვევაში აშკარად ჩანს წრფივი ფუნქციის $y = x + b$ ნივთიერი წერტილის მოძრაობის სიჩქარის გამომსახველი ფორმულის $V = V_0 + at$ და მათი გრაფიკების იდენტურობა. მათემატიკურ ფუნქციებსა და ფიზიკურ სიდიდეთა შორის დამოკიდებულების გამომსახველ ფორმულებში იდენტურობის სურათი უფრო მრავალფეროვნად წარმოგვიდგება თუ დავაკვირდებით III ტაბულას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაბულა II

| აჩქარება | $a>0$ | | | $a<0$ | | | $a=0$ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საწყისი სიჩქარე | $V_0>0$ | $V_0<0$ | $V_0=0$ | $V_0<0$ | $V_0>0$ | $V_0=0$ | $V_0>0$ | $V_0<0$ | $V_0=0$ |
| გრაფიკი | | | | | | | | | |




ტაბულა III

| №№ | ფორმულები მათემატიკიდან | ფორმულები ფიზიკიდან |
|---|---|---|
| 1 | $y = ax + b$ | $v = v_0 + at$, $v = v_0(1 + \alpha t)$, $P = P_0(1 + \gamma t)$, $v = v_0 + gt$; |
| 2 | $y = ax^2 + bx + c$ | $x = v_0 + v_0 t + \frac{at^2}{2}$, $x = x_0 + v_0 t + \frac{gt^2}{2}$ |
| 3 | $y = x^2$ | $S = \frac{at^2}{2}$, $h = \frac{gt^2}{2}$ |
| 4 | $y = \frac{1}{x}$ | $y + \frac{1}{T}$, $I = \frac{u}{R}$, $a = \frac{F}{m}$ |
| 5 | $y = \sin x$ | $x = A \sin\varphi$, $e = E \sin \omega t$ |

ზოგჯერ რაიმე კანონზომიერების დასადგენად ფიზიკაში, მათემატიკის ერთი ფორმულის ან დებულების გამოყენებაც კი საკმარისია. მაგალითად, ზამბარის გაჭიმვისას დრეკადი ძალის მიერ შესრულებული მუშაობის ფორმულის მისაღებად საკმარისია ვისარგებლოთ განსაზღვრული ინტეგრალის ერთ-ერთი ძირითადი ფორმულით და გამოვთვალოთ ნახ. 3-ზე დაშტრიხული სამკუთხედის ფართობი; იგი ტოლია:

ეროვნული ბიბლიოთეკა




$$A=\int_{\ell}(F\,dx)=\int_{0}^{x}-kx\,dx=$$
$$=-k\int_{0}^{x}x\,dx=-\frac{kx^2}{2}$$

ნახ. 3

ისეთი შემთხვევაც არის როდესაც ვსარგებლობთ უშუალოდ თეორემითაც მაგალითად. თანაბრადცვლადი მოძრაობის გზის განტოლების მისაღებად, გეომეტრიიდან ტრაპეციის ფართობის შესახებ თეორემის გამოყენებაა საჭირო რომლის თანახმადაც ვწერთ (ნახ. 4).




$$S=\frac{V_0+V_t}{2}t=\frac{V_0+V_0+at}{2}t$$
$$S=V_0t+\frac{at^2}{2}$$

ნახ. 4

განხილული მაგალითები ეხებოდა მათემატიკის გამოყენებას ფიზიკის თეორიული კურსის სწავლების პროცესში, ასეთი მაგალითები მრავალი და ნაირგვარია, მაგრამ მათემატიკური აპარატის გამოყენების მნიშვნელოვნად განსხვავებულ სიტუაციებთან გვაქვს საქმე რაოდენობითი ხასიათის ფიზიკის ამოცანების ამოხსნის პროცესში, სადაც ცალკეულ ფიზიკურ მოვლენას პარალელურად მიჰყვება მათემატიკის წეს-კანონებით სარგებლობა, სათანადო გარდაქმნები და გამოანგარიშებანი. ყოველივე ეს ფიზიკური მოვლენების გაანალიზების კომპლექსში წარმოებს და ამოხსნის ერთ მთლიან სისტემას ქმნის. ზოგჯერ ეს ისეთ ხასიათს იღებს, რომ აზროვნების სხვადასხვა სახესთან გვაქვს საქმე. განვიხილოთ აღნიშნულის საილუსტრაციო მაგალითები:

ამოცანა 1 [6, გვ. 115] პრიზმის მარცხენა წახნაგზე 65°-იანი კუთხით ეცემა სინათლის სხივი: აჩვენეთ სხივის სვლა პრიზმაში, თუ გადამტეხი კუთხე A ტოლია 100°-ის და გადატეხის მაჩვენებელი 1,812.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოხსნა




ნახ. 5

მოცემულია:

$n = 1,812$

$\angle A = 100^0$

$\alpha = 65^0$

---

ააგეთ სხივის სვლა პრიზმაში

1) AB წახნაგზე:

$$\frac{\sin \bar{\alpha}_1}{\sin \gamma_1} = n$$

$$\sin \gamma_1 = \frac{\sin \alpha_1}{n}$$

2) Ac წახნაგზე:

$$\frac{\sin \alpha_2}{\sin \gamma_2} = \frac{1}{n}$$

$$\sin \gamma_2 = n \sin \alpha$$

$$\alpha_2 = 90^0 - \angle AED$$

$$\angle AED = 180^0 - \angle DAE - $$
$$- \angle ADE$$

$$\angle ADE = 90^0 - \gamma_1$$

3) BC წახნაგზე:

$$\angle CEF = 90^0 - \beta_2$$

$$\angle ECB = \frac{180^0 - \angle A}{2}$$

$$\angle EFC = 180^0 - CEF - $$
$$- \angle ECB;$$

$$\alpha_3 = \angle EFC - 90^0$$

$$\frac{\sin \alpha_2}{\sin \gamma_2} = \frac{1}{n}$$

$$\sin \gamma_3 = n \sin \alpha_2$$

1) $\sin \gamma_1 = \dfrac{0,906}{1,812} = 0,5$

$$\gamma_1 = 30^0$$

2) $\angle ADE = 90_{\bullet} - 30^0 = 60^0$

$$\angle AED = 180^0 - 100^0 - 60^r = 20^0$$

$$\alpha_2 = 90_0 - 20^0 = 70_0$$

$$\sin 70^0 \approx 0,94$$

$$\sin \gamma_2 = 1,812 . 0,94 \approx 1,7$$

$\sin \gamma_2$ ერთზე მეტი გამოვიდა რაც შეუძლებელია, მაშასადამე კუთხე $\gamma_2$ არ არსებობს. ეს ნიშნავს იმას, რომ სხივი AC წახნაგში არ გადის და ამ წახნაგზე ხდება სრული შინაგანი არეკვლა ისე, რომ

$$\alpha_2 = \beta_2$$

3) $\angle CEF = 90^0 - 70 = 20^0$

$$\angle ECB = 40^0$$

$$\angle EFC = 180^0 - 40^0 - 20^0 = 120^0$$

$$\alpha_3 = 120^0 - 90^0 = 30^0$$

$$\sin \gamma_1 = 1,812 \cdot 0,5 = 0,906$$

$$\gamma_3 = 65^0$$

პასუხი, სხივი გამოდის პრიზმის ფუძეში მისადმი $65^0$-იანი კუთხით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანა 2. რა დროის განმავლობაში და რა სიმაღლიდან ვარდებოდა თავისუფლად ვარდნილი სხეული თუ ბოლო წამში მან გაიარა 63,7 მ.

ა მ ო ხ ს ნ ა

| მოცემულია: | | |
|---|---|---|
| $\Delta h = 63{,}7$ მ | $h_1 = \frac{gt^2}{2}$ | $t = 7$ წმ |
| $g = 9{,}8\ \frac{\text{მ}}{\text{წმ}^2}$ | $h_{t-1} = \frac{g(t-1)^2}{2}$ | $h = \frac{9{,}8 . 49}{2}\ 240$ მ |
| $t$ ——— ? | $\Delta h = \frac{g}{2}(2n-1)$ | პასუხი $t = 1$ წმ |
| $h$ ——— ? | $t = \frac{\Delta h}{g} + 0{,}5$ | $h = 240$ მ. |

თუ ახლა ანალიზს გავუკეთებთ აქ განხილულ მაგალითებს, პირველ რიგში ფიზიკისა და მათემატიკის ფორმულებში ბევრ საერთოს ვნახავთ. დაწერის სტრუქტურით (ტაბულა III) ისინი ძალიან ჰგვანან ურთიერთს, მსგავსება უფრო კოლორიტულადაა გამოსახული მათ გრაფიკებში. ყოველივე ეს კი თვით ფუნქციათა ხასიათში იგრძნობა, მაგალითად, წრფივი ფუნქციის ანალიზური ჩანაწერი $y = ax + b$ წარმოადგენს ზოგად სახეს ისეთსავე ფუნქციებისა, რომელსაც ფიზიკაში ვხვდებით. ასევე ითქმის კვადრატულ, თუ ტრიგონომეტრიულ ფუნქციებსა და სხვებზე.

არის განსხვავებული ნიშნები, ფიზიკის ფორმულები მოვლენათა შინაარსს გადმოგვცემს, ფიზიკის ფორმულაში თითოეული ასო, მათემატიკის ფორმულებში შემავალი ასოებისაგან განსხვავებით, ცნებას გამოსახავს, რომლის გათვალისწინება ფიზიკაში ფორმულების გაანალიზებისას აუცილებელია. მაგალითად $I = \frac{u}{R}$ იკითხება ასე: დენის ძალა პროპორციულია ძაბვისა და უკუპროპორციულია გამტარის წინაღობისა, მაგრამ ამავე ფორმულიდან გამომდინარე $R = \frac{u}{I}$ არ შეიძლება წავიკითხოთ ასე: წინაღობა პირდაპირ პროპორციულია ძაბვისა და უკუპროპორციულია დენის ძალისა. თუმცა ამის ასე თქმის უფლებას განხილულ შემთხვევაში ფორმულების ჩანაწერი და ლოგიკა იძლევა. ბევრი მსგავსი მაგალითის მოტანა შეიძლება საშუალო სკოლის ფიზიკის კურსიდან. თუ ღრმად ჩავწვდებით საკითხს გამოდის, რომ ფიზიკა ხელს უწყობს მათემატიკური აზროვნების განვითარებას. იგი საშუალებას იძლევა მათემატიკის ესა თუ ის რთული საკითხი დაგანახოს სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა ხედებში და ა. შ. მათემატიკა კი მართალია ფიზიკური მოვლენების სიმბოლურად ჩაწერის საშუალებას იძლევა, მაგრამ ზოგჯერ „ტყუის" კიდეც, ზოგჯერ კი პირიქით, ზოგჯერ გაიძულებს უფრო დაძაბო გონება უკეთ იაზროვნო, რომ ფორმულით ფიზიკურ მოვლენათა არსი ზუსტად დაინახო და ვერბალურად ლაკონურად გამოთქვა იგი.

გარდა ზემოთ მოცემული ტიპის ამოცანებისა, ფიზიკაში მოსწავლეებს სავარჯიშოდ ეძლევათ სხვა სახის მაგალითები და ამოცანებიც, რომლებსაც მათემატიკური აზროვნების განვითარების მხრივ ბევრი აქვთ საერთო მათემატიკის იმ ამოცანებსა და მაგალითებთან, რომელთა ამოხსნა დამტკიცებას საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როებს. განვიხილოთ აღნიშნული სახის ნიმუში ფიზიკიდან და შემდეგ შედარებისათვის მსგავსი შემთხვევები მათემატიკიდან.

1. დაამტკიცეთ ტოლობის $V^2 - V_0^2 = 2aS$ სამართლიანობა.

ამოხსნა

გარდავქმნათ ტოლობის მარცხენა მხარე

$$v^2 - v_0^2 = (v - v_0)(v + v_0) = at(v - v_0) = 2at\left(\frac{v}{2} + \frac{v_0}{2}\right) =$$

$$= 2at\,\frac{v + v_0}{2} = 2aS$$

2. დაამტკიცეთ, რომ თვალთახედვით განსაზღვრული, წყალსატევის სიღრმე, თუ მას ვერტიკალური მიმართულებით ვუცქერით ნამდვილი სიღრმის 3/4 შეადგენს.

ამოხსნა




ნახ. 6.

წყალსატევის (ნახ. 6.) A წერტილიდან წამოსული სხივი მის ზედაპირზე გადატყდება D და E წერტილებში. B და C წერტილში მყოფ დამკვირვებლის თვალს მოეჩვენება ისე, რომ DB და EC სხივები გამოდიან A′ წერტილიდან, რომელიც მდებარეობს h′ სიმაღლეზე, უნდა ვაჩვენოთ რომ

$$h' = \frac{3}{4}h$$

ეროვნული ბიბლიოთეკა



ADG და A'DG სამკუთხედებიდან ვწერთ:

$$tg\alpha = \frac{DG}{AG} = \frac{DG}{h}; \quad tgi = \frac{DG}{A'G} = \frac{DG}{h'}$$

სადაც $\alpha$ და i შესაბამისად დაცემის და გადატეხის კუთხეები არიან. თუ პირველ ტოლობას გავყოფთ მეორეზე მივიღებთ:

$$\frac{h'}{h} = \frac{tg\alpha}{tgi}$$

როცა დამკვირვებელი წყალსატევში იყურება ვერტიკალურად, ქვევით $\alpha$ და i კუთხეები მცირეა, ასეთ შემთხვევაში კუთხის ტანგესი შეიძლება შეიცვალოს კუთხის სინუსით

$$\frac{h^1}{h} = \frac{\sin\alpha}{\sin i} \quad \text{მაგრამ} \quad \frac{h^1}{h} = n \quad \text{ამიტომ} \quad \frac{\sin\alpha}{\sin i} = n$$

სადაც n ჰაერის გადატეხის მაჩვენებელია წყლის მიმართ, ხოლო წყლის გადატეხის მაჩვენებელი, ჰაერის მიმართ

$$n^1 = \frac{1}{n} = 1{,}33 \quad \text{ამიტომ}$$

$$h' = \frac{h}{n^1} = \frac{h}{1{,}33} = 0{,}75\,h$$

$$h' = 0{,}75\,h$$

როგორც ვთქვით, ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე მათემატიკაში, განვიხილოთ მაგალითი:

1) დაამტკიცეთ იგივეობა (ტოლობის სამართლიანობა).

$$\frac{1 - 2\cos^2\alpha}{\sin\alpha\,\cos\alpha} = tg\,\alpha - ctg\,\alpha$$

გარდავქმნათ მარცხენა მხარე

$$\frac{1 - 2\cos^2\alpha}{\sin\alpha\,\cos\alpha} = \frac{\sin^2\alpha + \cos^2\alpha - 2\cos^2\alpha}{\sin\alpha\,\cos\alpha} = \frac{\sin^2\alpha - \cos^2\alpha}{\sin\alpha\,\cos\alpha} =$$

$$= \frac{\sin^2\alpha}{\sin^2\alpha\,\cos\alpha} - \frac{\cos^2\alpha}{\sin\alpha\,\cos\alpha} = \frac{\sin\alpha}{\cos\alpha} - \frac{\cos\alpha}{\sin\alpha} = tg\alpha - ctg\,\alpha$$

2) დაამტკიცეთ, რომ რიცხვები:

$$\frac{\sqrt{2}+1}{\sqrt{2}-1}, \quad \frac{1}{2-\sqrt{2}}, \quad \frac{1}{2}, \ldots\ldots$$

ქმნიან უსასრულოდ კლებად გეომეტრიულ პროგრესიას.

ამოხსნა

იმის დასამტკიცებლად, რომ მოცემული რიცხვები ქმნიან უსასრულოდ კლებად გეომეტრიულ პროგრესიას, უნდა შევამოწმოთ შეფარდებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

$\frac{u_2}{u_1}$ და $\frac{u_3}{u_1}$ ნაკლებია თუ არა ერთზე

ა) $$\frac{u_2}{u_1}=\frac{1}{2-\sqrt{2}}:\frac{\sqrt{2}+1}{\sqrt{2}-1}=\frac{1}{\sqrt{2}(\sqrt{2}-1)}:\frac{\sqrt{2}+1}{\sqrt{2}-1}=$$

$$=\frac{1}{2+\sqrt{2}},$$

ბ) $$\frac{u_3}{u_2}=\frac{1}{2}:\frac{1}{2-\sqrt{2}}=\frac{2-\sqrt{2}}{2}=\frac{(2-\sqrt{2})(2+\sqrt{2})}{2(2+\sqrt{2})}=$$

$$=\frac{1}{2+\sqrt{2}};$$

ამრიგად

$$\frac{u_2}{u_1}=\frac{u_3}{u_2}=q=\frac{1}{2+\sqrt{2}}<1$$

ე. ი. მოცემული რიცხვები ქმნიან უსასრულოდ კლებად გეომეტრიულ პროგრესიას.

როგორც ფიზიკიდან, ასევე მათემატიკიდან მტკიცებაზე აქ განხილული ამოცანების ამოხსნისას, პირველ რიგში საჭიროა სიდიდეთა შორის ფუნქციური დამოკიდებულების ფორმულების გახსენება, ხოლო შემდეგ იმის მოსაზრება, თუ როგორი გარდაქმნები ვაწარმოოთ მოცემული ტოლობის ან ამოცანის პირობის სამართლიანობის დასამტკიცებლად. რაც შეეხება უფრო ზემოთ განხილულ შემთხვევებს მოცემულ ამოცანებში, მათემატიკიდან წრფივი განტოლების $y=ax+b$ და ფიზიკიდან $V=V_0+at$ ტოლობის იდენტურობის დანახვაა მთავარი, რაც მოსწავლეთა ტრანსპოზიციის უნარზეა დამოკიდებული, რომლის განვითარებაც მსგავსი ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშით ხდება.

მტკიცებაზე ფიზიკის ამოცანების ამოხსნისათვის ტრანსპოზიციის უნარი აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი. ამ შემთხვევაში მათემატიკის ცოდნის გამოყენება ბევრად სცილდება ნაცნობ სფეროს და ახალ სიტუაციებში უხდება მოსწავლეს მისი გამოყენება. ეს კი მისი შემოქმედებითი უნარის განვითარებას იწვევს. ასე რომ, შეიძლება განხილული შემთხვევისათვის ითქვას, ფიზიკა მოსწავლეებს, განსხვავებით მათემატიკისაგან, უფრო მეტად უვითარებს მათემატიკურ აზროვნებას ახალ სიტუაციებში. ე. ი. ფიზიკის სწავლების პროცესში მათემატიკაში მიღებული ცოდნის გამოყენება ხდება უცნობ სიტუაციებში და ამგვარად იზრდება მათემატიკის ცოდნის ფიზიკის სფეროში გამოყენების შესაძლებლობა.

ფიზიკის მოვლენებთან კომპლექსში, სრულდება რთული მათემატიკური ოპერაციები, ვითარდება ტრანსპოზიციის უნარი და მოსწავლეთა აზროვნება ადის განვითარების ახალ საფეხურზე. ასე რომ, ფიზიკის სწავლებას მათემატიკური აზროვნების განვითარებისათვის სპეციალური შტრიხები გააჩნია და ამასთან ერთად ნაწილობრივ აკეთებს იმასაც რასაც თვით მათემატიკა.

როგორც ვაჩვენეთ, ზოგჯერ ის, რასაც მათემატიკა სწავლობს უშუალოდ ფიზიკის შესწავლის ობიექტიც არ არის, მაგრამ მას იყენებს ფიზიკის კანონების დასადგენად, რის გამოც სპონტანურად უხდება მათემატიკური წეს-კანონების გაცნობიერება, მისი ახალი კუთხით და ახალ ჭრილში განხილვა. ამით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ფართოვდება და ღრმავდება მოსწავლეთა მათემატიკური თვალსაწიერი. ამიტომ ზედმეტი არ იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ფიზიკის სწავლება ავითარებს როგორც ფიზიკურ, ასევე მათემატიკურ აზროვნებას. ახლა განვიხილოთ დასმული პრობლემის თვალსაზრისით რა ურთიერთობაა ფიზიკასა და სხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინებს (ქიმია, ბიოლოგია და ასტრონომიას) შორის.

VII—VIII კლასებში, როგორც ეს პროგრამის განმარტებით ბარათშია ნათქვამი „მოსწავლეები ითვისებენ ქიმიის ძირითად ცნებებს, რომლებიც აუცილებელია პერიოდულობის კანონის გაგებისათვის. შემდეგ ეცნობიან ელემენტთა პერიოდულ სისტემას, ატომთა აღნაგობას, ამის შემდეგ კი სწავლობენ ცალკეული ჯგუფების ყველაზე ტიპურ ელემენტებს პერიოდული სისტემის უფრო სრული და ღრმა შეცნობის მიზნით“ [4, გვ. 2].

ატომის აღნაგობას ფიზიკაც სწავლობს, მაგრამ იმის დუბლირება კი არ ხდება რასაც ქიმია აკეთებს, არამედ ქიმიაში შესწავლილ საკითხებს საყრდენად იყენებს ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის შესასწავლად.

ქიმია ასევე შეისწავლის გაზებისა და ელექტროლიზის კანონებს რომელსაც ფიზიკაც სწავლობს, მაგრამ სხვა მხრივ, რისთვისაც ქიმიას იყენებს, აღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ მაგალითი ფიზიკის ამოცანების ამოხსნაზე.

ა მ ო ც ა ნ ა 1. გოგირდმჟავას ხსნარიდან 2 ამპერი დენი რა დროში გამოყოფს 9 გ წყლის დაშლის პროდუქტებს? თუ ცნობილია რომ წყალბადის ელექტროქიმიური ეკვივალენტი ტოლია 0,1=7 კგ/კ.

ა მ ო ხ ს ნ ა: პირველ რიგში ქიმიიდან უნდა გავიხსენოთ, რომ 9 გრამ წყალში შედის წყალბადის ორი ნაწილი, რომლის მასა 1 გრამია,

მოცემულია:

| | | | |
|---|---|---|---|
| $m = 1$ გ | si | $m = kyt$ | $t = \frac{0{,}001}{0{,}1 \cdot 10^{-7} \cdot 2}$ |
| $k = 0{,}1 \cdot 10^{-7}$ $\frac{კგ}{კ}$ | 0,001 კგ | $t = \frac{m}{kI}$ | $t = 5 \cdot 10^{4}$ წმ |
| $I = 2$ ა | $0{,}1 \cdot 10^{-7}$ $\frac{კგ}{კ}$ | | პ ა ს უ ხ ი |
| $t$ — ? | 2 ა | | $t = 5 \cdot 10^{4}$ წმ $= 14$ სთ |

ა მ ო ც ა ნ ა 2. 3, 7 და 5 ლიტრი ტევადობის სამი ბალონი შესაბამისად ავსებულია ერთი და იგივე ტემპერატურის 2 ატმოსფერო წნევის ჟანგბადის, 5 ატმოსფერო წნევის აზოტით და 0,6 ატმოსფერო წნევის ნახშირმჟავა გაზით. ბალონები ურთიერთს შეუერთეს და მიიღეს იგივე ტემპერატურის ნარევი. გამოიანგარიშეთ ნარევის წნევა.

ა მ ო ხ ს ნ ა: ისევე როგორც წინა მაგალითში აუცილებელია ქიმიაში შესწავლილი საკითხის გამოყენება. ამჯერად ვიყენებთ დალტონის კანონს — ნარევის წნევა გაზების იმ პარციალური წნევების ჯამის ტოლია, რომელსაც თითოეული იკავებს ბალონის მთლიან მოცულობაში. ცალკეული გაზის მდგომარეობის ცვლილების აღწერის შემდეგ შეერთებულ ბალონებზე შეიძლება ბოილ-მარიოტის კანონის გამოყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანა 3. ალუმინის $_{13}Al^{27}$ გამა ნაწილაკებით დაბომბვისას მიიღება პროტონი, $_1H^1$ და რომელიღაც $_mY^n$ ელემენტის ბირთვი. დავადგინოთ რა ელემენტია ეს.

ამოხსნა. ამ შემთხვევისათვის ბირთვული რეაქცია დაიწერება ასე:

$$_{13}Al^{27} + {}_2He^4 \rightarrow {}_1N^1 + {}_{14}Si^{30}$$

მუხტის შენახვის კანონის თანახმად $13+2=1+m$ ე. ი. $m=14$, ხოლო მასათა რიცხვის კანონის თანახმად $27+4=1+n$ აქედან $n=30$. მიიღება ბირთვი $_{14}Y^{30}$. ახლა გამოვიყენოთ დ. მენდელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემა და დავინახავთ, რომ ეს წარმოადგენს კრემნიუმის ბირთვს. საბოლოოდ მოცემული ბირთული რეაქცია შეიძლება დავწეროთ შემდეგი სახით.

$$_{13}Al^{27} + {}_2H^4 \rightarrow {}_1H^1 + {}_{14}Si^{30}$$

ასეთივე ურთიერთობაა ბიოლოგიასა და ფიზიკას შორის. ასე მაგალითად, ფიზიკის ერთ-ერთი ამოცანა ბუნებაში მიმდინარე ფიზიკური მოვლენების შესწავლაა. იგი ენერგიის გარდაქმნასაც სწავლობს. მაგრამ ყოველივე ეს ცალკე, იზოლირებულად კი არ ხდება, არამედ ბუნებრივ პროცესებთან ერთად წარმოებს. ფიზიკა დასახელებულ საკითხთა ერთ მხარეს შეისწავლის, ბიოლოგია კი მეორე მხარეს. ასე მაგალითად, განვიხილოთ ენერგიის მუდმივობის კანონი. ეს საკითხი ფიზიკის სწავლების პირველ საფეხურზე VI კლასში შეისწავლება, — ერთი სახის მექანიკური ენერგიის მეორე სახის მექანიკურ ენერგიად გარდაქმნა, — სადაც პოტენციალური ენერგიის კინეტიკურად გარდაქმნის ცდით დემონსტრირება ხდება. ამასთან ერთად, იხსნება ამოცანები ენერგიის რაოდენობის განსაზღვრაზე. ამავე კლასში ბოტანიკის კურსში შეისწავლება ჰელიოტროპიზმის მოვლენა. კერძოდ სახელმძღვანელოში ნათქვამია რომ — „სინათლეს მცენარე ფოთლებით შთანთქავს. ზოგიერთი მცენარის ფოთლის ყუნწი ელასტიურია და უნარი აქვს ფოთოლი შეატრიალოს სინათლის მიმართულებით, მაგალითად, ბამბა. ამ მოვლენას ჰელიოტროპიზმი ეწოდება“ [2, გვ. 69].

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს სინათლის ენერგიის მექანიკურ ენერგიად ბუნებრივ გარდაქმნასთან. მაგრამ აქ მხოლოდ მოვლენა აღინიშნება და ენერგიის მუდმივობის კანონის მტკიცება არ ხდება. მაგრამ ბუნების ეს მოვლენა საუკეთესო მაგალითია ფიზიკის სწავლების შემდეგ საფეხურზე (X კლასში) როდესაც სინათლის ენერგიის მექანიკურ ენერგიად გარდაქმნას ვასწავლით და მის დემონსტრირებას ვაკუუმში მოთავსებულ მსუბუქ ბზრიალზე (კრუქსის რადიომეტრზე) ვუჩვენებთ.

ზოგადი ბიოლოგიის კურსში (X კლასში) შეისწავლება ფოტოსინთეზი, რომლის შესახებ დასახელებულ სახელმძღვანელოში ნათქვამია „მცენარეული უჯრედები აღჭურვილია სპეციალური მექანიზმით, რომლის საშუალებით ისინი სინათლის ენერგიას გარდაქმნიან ქიმიური ბმის ენერგიად, ამ პროცესს ფოტოსინთეზი ეწოდება“. იგი გამოხატულია შემდეგი ჯამური ტოლობით: $6CO_2+6H_2O=C_6H_{12}+6O_2$ შემდეგ კი ბორის პოსტულატების (ფიზიკიდან) გამოყენებით ახსნილია ფოტოსინთეზის მოვლენა. კერძოდ ნათქვამია: „ფოტოსინთეზი იწყება მაშინ, როცა სინათლით განათდება ფოტოპლასტი, სინათლეს შთანთქავს ქლოროფილი და ერთ-ერთი მისი ელექტრონი გადადის „აგზნებულ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობაში, იგი ტოვებს ძირითად ორბიტას და გადადის უმაღლეს ორბიტაზე. „აგზნებული“ ელექტრონი იძენს პოტენციურ ენერგიას, მას შეუძლია დაუბრუნდეს თავის ადგილს ქლოროფილის მოლეკულაში, მაშინ მისი ჭარბი ენერგიის ნაწილი გადავა სითბოში, ნაწილი კი გამოსხივდება ფლუორესენციის სახით“ და ა. შ. [3, გვ. 213—215].

ეს თემა ფიზიკაში X კლასში ისწავლება, სადაც ვუხსნით თუ რატომ იწვევს ფოტოპლასტის სინათლით განათება ბირთვთან ახლოს მდებარე ელექტრონის უფრო შორს მდებარე ორბიტაზე გადასვლას. განხილულ შემთხვევაში სინათლის მოქმედებას ასეთი ტოლობით ვწერთ:

$$6CO_2+12H_2O+hy=C_6N_2+6H_2O+6O_2$$

ტოლობაში hY გამოსახავს სინათლის ფოტონის ენერგიას, რომელსაც გარედან იღებს მცენარე და მის ხარჯზე ხდება ელექტრონის „აგზნება“, რის გამოც იგი გადადის უფრო მაღალ ენერგეტიკულ დონეზე. ფოტოსინთეზის მოვლენა მცენარეში უხილავად მიმდინარეობს და მისი მეცნიერული სურათის ასახვისათვის ფიზიკა ერთდროულად იყენებს მოსწავლეთა ცოდნას ქიმიასა და ბიოლოგიაში.

განხილული მაგალითებიდან, მოსწავლეთა აზროვნების განვითარებაზე, რასაც ვამბობდით მათემატიკასა და ფიზიკის ურთიერთობაზე, აქ იმას ვერ ვიტყვით. კერძოდ, რომ ფიზიკის სწავლებას მათემატიკური აზროვნება განვითარების ახალ საფეხურზე აჰყავს. აქ შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკის სწავლება, უფრო მეტად ხელს უწყობს მოსწავლეთა აზროვნების განვითარების დონის შენარჩუნებას ქიმიასა და ბიოლოგიაში.

საშუალო სკოლის ასტრონომიის კურსში ისწავლება კეპლერისა და ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონი. მსოფლიო მიზიდულობის კანონი ისწავლება აგრეთვე VIII კლასის ფიზიკის კურსში. მაგრამ ორივე შემთხვევაში მსოფლიო მიზიდულობის კანონის გამომსახველი ფორმულა გამოუყვანლად ეძლევა. ცნობილია რომ ნიუტონმა კეპლერის კანონების საფუძველზე გამოიანგარიშება ძალა, რომელიც იწვევს პლანეტების მოძრაობას. ამგვარად მიიღო მსოფლიო მიზიდულობის კანონი. ვაჩვენოთ ეს: მიახლოებით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ პლანეტები წრიულ ორბიტაზე თანაბრად მოძრაობს, ასეთ შემთხვევაში მას მხოლოდ ცენტრისკენული აჩქარება ექნება $a=\frac{v^2}{r}$, სადაც r პლანეტის ორბიტის რადიუსია, v ორბიტაზე მოძრაობის სიჩქარე. ძალა რომლითაც მზე მოქმედებს ნებისმიერ პლანეტაზე ტოლი იქნება

$$F=ma=\frac{mv^2}{r} \qquad (1)$$

ეს ძალა მიმართულია მზისაკენ. თუ პლანეტის მზის ირგვლივ შემოვლის პერიოდს T-თი აღვნიშნავთ, მაშინ პლანეტის სიჩქარე $V=\frac{2\pi r}{T}$. სიჩქარის ეს მნიშვნელობა ჩავსვათ (1) ფორმულაში და მივიღებთ

$$F=\frac{4\pi^2 m r}{T^2} \qquad (2)$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეპლერის მესამე კანონის $\frac{r^3}{T^2} = C$ თანახმად $\frac{r}{T^2} = \frac{C}{r^2}$; $\frac{r}{T^2}$ -ის მნიშვნელობის შეტანით (2) ფორმულაში მივიღებთ:

$$F = \frac{4\pi^2 mc}{r^2} = C\frac{4\pi^2 m}{r^2} \qquad (3)$$

ეს ფორმულა გვიჩვენებს თუ რა ძალით მოქმედებს მზე პლანეტაზე. ანალოგიურად შეგვიძლია განვსაზღვროთ ძალა, რომლითაც პლანეტა მოქმედებს მზეზე.

$$f = c\frac{4\pi^2 M}{r^2} \qquad (4)$$

სადაც M მზის მასაა და C პროპორციულობის კოეფიციენტი ნიუტონის მესამე კანონის თანახმად

$$C\frac{4\pi^2 m}{r^2} = c\frac{4\pi^2 M}{r^2}$$

აქედან გამომდინარეობს, რომ $Cm = cM$ ამ ტოლობიდან ჩანს რომ (4) და (3) ტოლობებში შემავალი კოეფიციენტები არ არის ტოლი $C \neq c$ წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით, $m = M$, რაც იმას ნიშნავს, რომ პლანეტის მასა ტოლია მზის მასისა, ეს კი სინამდვილეს არ შეეფერება. ასე რომ $\frac{c}{m} = \frac{C}{M}$ ამ ტოლობის მარცხენა მხარეში წილადის მრიცხველი და მნიშვნელი მუდმივი სიდიდეა, მუდმივის შეფარდება მუდმივთან იძლევა მუდმივს, ამიტომ ყველა პლანეტისათვის $\frac{c}{m}$ იქნება მუდმივი. აღვნიშნოთ იგი K-თი და მივიღებთ რომ $C = kM$; C კოეფიციენტის მნიშვნელობის ჩასმა (3) ტოლობაში მოგვცემს

$$F = 4\pi^2 K\frac{Mm}{r^2}.$$

ახლა თუ $4\pi^2 K$ აღვნიშნავთ G-თი მაშინ მივიღებთ, რომ

$$F = G\frac{Mm}{r^2}$$

ფორმულის სამართლიანობა დამტკიცებულია ნებისმიერი ნივთიერი სხეულისათვის. მაშასადამე, შეიძლება დავწეროთ $m_1$ და $m_2$ მასის ორი სხეული ურთიერთ მიიზიდება F ძალით, რომლის აბსოლუტური მნიშვნელობა გამოისახება ფორმულით

$$|\vec{F}| = G\frac{m_1 m_2}{r_2}$$

ეს ფორმულა გამოსახავს ნიუტონის მიერ აღმოჩენილი მსოფლიო მიზიდულობის კანონს.

ყველა სხეული ურთიერთ მიიზიდება ძალით, რომელიც მათი მასების ნამრავლის პირდაპირ პროპორციულია და მათ შორის მანძილის კვადრატის უკუპროპორციულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე შესაძლებელია ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონიდან კეპლერის სამივე კანონის მიღება, რაც უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ნიუტონმა განაზოგადა კეპლერის კანონები.

მაშასადამე, ისე, როგორც მათემატიკაში, ბიოლოგიასა და ქიმიაში შესწავლილი მასალის გამოყენება ხდება ფიზიკის კანონების დასადგენად და ფიზიკურ მოვლენათა ასახსნელად, აქაც ასტრონომიაში მიღებულ ცოდნასაც ამ დანიშნულებით ვიყენებთ.

ე. ი. მსგავსად ქიმიისა და ბიოლოგიისა ასტრონომიაც ეხმარება ფიზიკას სამყაროს მეცნიერული სურათის ასახვაში. ამავე დროს მსოფლიო მიზიდულობის კანონის სწავლება ამაღლებს მოსწავლეთა ასტრონომიულ აზროვნებას. თავის მხრივ ფიზიკური აზროვნების სფეროც ფართოვდება, ეს აქვე შეგვიძლია დავინახოთ ისევ მსოფლიო მიზიდულობის კანონის მაგალითზე.

ვიდრე ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონს ისწავლიდნენ ნიუტონის მეორე კანონიდან მოსწავლეებმა იციან, რომ მასა არის სხეულის ინერციულობის ზომა, აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, რაც უფრო დიდია მასა, ერთი და იგივე ძალის გავლენით მით უფრო ნაკლებ აჩქარებას მიიღებს სხეული. მსოფლიო მიზიდულობის კანონში რაც უფრო მეტია $m_1$, და $m_2$ მასა მით უფრო დიდი ძალით იზიდავენ ერთმანეთს სხეულები. ე. ი. მსოფლიო მიზიდულობის კანონში მასა ახასიათებს სხეულის გრავიტაციას. მსოფლიო მიზიდულობის კანონის სწავლებით ორი ურთიერთისაგან განსხვავებული სახის მასა ხდება ცნობილი — ინერტიული და გრავიტაციული.

გარდა იმისა, რომ ფიზიკა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაა იგი ტექნიკური დისციპლინაცაა, ამიტომ ბუნებრივად დაისმის კითხვა ასე — რა წვლილი შეაქვს ფიზიკას მოსწავლეთა ტექნიკური აზროვნების განვითარებაში.

ამ საკითხის გადასაწყვეტად, უპირველეს ყოვლისა, მოვნახოთ ფიზიკისა და ტექნიკის შეხების წერტილები. ტექნიკური ცოდნა ეს არის ცოდნა ხელოვნური ობიექტებისა, ე. ი. ობიექტებისა, რომელიც ხალხმა შექმნა ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად. ამ ობიექტებიდან ფიზიკაში ისწავლება სხვადასხვა სახის გენერატორი და ტუმბო, ტრანსფორმატორი და ოსცილოგრაფი, გამზომი ხელსაწყოები და მრავალი სხვა. გარდა იმისა, რომ მოსწავლეები ეცნობიან ფიზიკის პროგრამით გათვალისწინებულ ტექნიკური ობიექტების მოქმედების ფიზიკურ პრინციპებს, ისინი იძენენ მათი გამოყენების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსაც, რაც უადვილებთ მათ შემდეგში პროფესიის დაუფლებას. ასე რომ, ფიზიკა საფუძველს უყრის მოსწავლეთა ტექნიკური აზროვნების განვითარებას, „ფიზიკა დღეს ეს არის ტექნიკა ხვალინდელი დღისათვის“ [8, გვ. 14].

როგორც აღვნიშნეთ, ტექნიკასა და ფიზიკას საერთო ობიექტები აქვთ. ტექნიკური აზროვნება არსებობს, მას აქვს სპეციალური შტრიხები და განვითარებისათვის თხოულობს სპეციალურ პირობებს [7, გვ. 3]. სწორედ ფიზიკის ფუნდამენტური კანონების სწავლებით იქმნება ტექნიკური აზროვნების განვითარების ერთ-ერთი სპეციალური პირობა. ამავე დროს ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკუმებისა და ფიზიკის სხვა სახის საკლასო ექსპერიმენტული სამუშაოების შესრულებით მოსწავლეებს უვითარდებათ ტექნიკური აზროვნება, რადგან აღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას ვიყენებთ არა მარტო მოსწავლეთა კონცენტრირებული აზროვნებისა და სიმბოლური აღნიშვნების ცოდნას, არამედ მათი თვალის გამჭრიახობას, სმენის სიმახვილეს, შეხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სინატიფეს, ხელის სიმარჯვეს — თითქმის გრძნობის ყველა ორგანოს და პრაქტიკული ინტუიციის უნარსაც. ერთი სიტყვით, ფიზიკური მოვლენების აღქმის ოპტიმალური პირობების შექმნით, აზროვნების განვითარებისათვის მტკიცე სიტუაციები იქმნება.

სასწავლო დისციპლინათა შორის ფიზიკა არის ერთადერთი მეცნიერება, რომელიც საშუალებას იძლევა მოსწავლეებს გავაცნოთ მატერიის ორი სახე— ნივთიერება და ველი. ნივთიერებას, როგორც მატერიის სახეს, სხვა საგნებიც სწავლობს, მაგრამ ფიზიკურ ველებს მხოლოდ ფიზიკა შეისწავლის. ფიზიკისა და მისი განვითარების მაგალითებით შეიძლება მოსწავლეთათვის ადვილად მისაწვდომი გავხადოთ შემეცნების თეორიის საკითხები, რითაც უზრუნველვყოფთ მათ დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

როცა მატერიის ამ ორ სახეს ურთიერთს ვადარებთ მათ ერთმანეთისაგან ვასხვავებთ შემდეგი ნიშნებით:

1. ნივთიერების ნაწილაკებს გააჩნიათ უძრაობის მასა.

ველის ნაწილაკებს — ფოტონებს, ნეიტრონებს, ჰიპოთეზურ გრავიტონს (გამონაკლისს წარმოადგენს პიონი) არ აქვს უძრაობის მასა.

2. ნივთიერების ნაწილაკს აქვს ელემენტარული ელექტრული მუხტი.

ველის ნაწილაკს (გამონაკლისს წარმოადგენს პი-მეზონი) არ აქვს ელექტრონული მუხტი.

3. ნივთიერების ნაწილაკებს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სიჩქარე, მაგრამ ყოველთვის ვაკუუმში სინათლის გავრცელების სიჩქარეზე ნაკლები.

ველის ნაწილაკები (გარდა პიონისა) მოძრაობენ სინათლის სიჩქარით.

4. ნივთიერ სხეულებს (მყარი, თხევადი და გაზობრივი) აქვთ გარკვეული ზომები და შეიძლება მივიღოთ ათვლის სისტემად.

ველს სივრცეში არ გააჩნია ლოკალიზაცია, რის გამოც არ შეიძლება მივიღოთ ათვლის სისტემად.

5. ერთსა და იმავე სივრცეში ერთდროულად არ შეიძლება იმყოფებოდეს რამდენიმე სხვადასხვა ნივთიერება.

მაგრამ ერთსა და იმავე სივრცეში ერთდროულად თავსდება სხვადასხვა სახის ველი. ამავე დროს მათი თითოეული მაკროსკოპიული მოქმედება დამოკიდებული არ არის მოცემულ ადგილზე და მეორე ველის არსებობაზე.

გარდა ზემოთ აღნიშნული განმასხვავებელი თვისებებისა, ნივთიერებისა და ველის ნაწილაკებს აქვთ საერთო თვისებები:

1. ენერგია, იმპულსი, სპინი და სხვა ფიზიკური სიდიდეები ნივთიერებისა და ველის ნაწილაკებისათვის არის მათი მატერიალურობის დამახასიათებელი;

2. როგორც ველის, ასევე ნივთიერების ნაწილაკებს აქვს სრული განსაზღვრული სტრუქტურა;

3. როგორც ნივთიერების, ასევე ველის ნაწილაკებს აქვს კორპუსკულური და ტალღური თვისებები. კორპუსკულურ-ტალღური თვისებების ერთიანობა ნაწილაკების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია.

4. როგორც ერთის, ისე მეორის ნაწილაკები შეიძლება იყოს სტაბილური და არამდგრადიც.

5. ნივთიერების ნაწილაკები შეიძლება გარდაიქმნან ველის ნაწილაკებად და პირიქით ველის ნაწილაკები გარდაიქმნან ნივთიერების ნაწილაკებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ნივთიერებისა და ველის ნაწილაკები ექვემდებარებიან მუხტის, მასის, ენერგიის და ა. შ. შენახვის კანონებს.

საშუალო სკოლაში არსებულ სასწავლო დისციპლინათა შორის მხოლოდ ფიზიკა სწავლობს მასის დეფექტის არსს — ბირთვების უძრაობის მასა M ყოველთვის ნაკლებია შემადგენელი პროტონებისა და ნეიტრონების უძრაობათა მასების ჯამზე.

$$M_{ბ} < Zm_{პრ} + Nm_{ნ}$$

ამავე დროს იძლევა მასის „გაქრობის“ ახსნას და $E=mc^2$ ფორმულის საფუძველზე განმარტავს, რომ მასა კი არ ქრება, არამედ მისი ნაწილი ენერგიად გარდაიქმნება.

ამით მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე აღიარებს მატერიის არსებობის მარადისობის კანონს.

ეს ფიზიკალური აზროვნების განვითარების კიდევ ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხია, რომელიც ფიზიკის კანონების სწავლებას მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ქვაკუთხედად წარმოგვიდგენს.

მიკრო სამყარო არსებითად განსხვავდება იმ საგნებისაგან, რომლებიც ჩვენს ირგვლივ არსებობენ და იმ მოვლენებისაგან, რომელთაც უშუალოდ ვადევნებთ თვალს. ამ სამყაროს გაცნობისას გვიხდება ისეთი ცნებების გამოყენება, რომელიც ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეწინააღმდეგება, ფიზიკური აზროვნების განვითარების კიდევ ერთი თავისებურება ამ წინააღმდეგობათა დაძლევაში მდგომარეობს. მოვლენათა ერთი ნაწილი, რომელსაც ფიზიკა სწავლობს, გრძნობათა ორგანოების ერთგვარი შეზღუდვის გამო უშუალოდ არ აღიქმება. ასე მაგალითად, ადამიანის ყური ვერ აღიქვამს ბგერას რომლის სიხშირე 17—20 000 ჰერც საზღვრებს სცილდება. ასევე ადამიანის თვალი ვერ აღიქვამს ელექტრომაგნიტურ ტალღას, რომლის სიგრძეც 400—700 მილიმიკრონს გარეთაა. აღნიშნულ საზღვრებს გარეთ არსებობს ულტრაბგერა და ინფრაბგერა, ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და რენტგენის სხივები. ყოველივე ეს, ფიზიკის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს. მას სხვა სასწავლო საგნები არ სწავლობს. ფიზიკის სწავლებამ უნდა განავითაროს აზროვნება ისე, რომ გამოამჟღავნოს აღნიშნულთა მატერიალური ბუნება და შეისწავლოს იგი. ე. ი. ფიზიკის სწავლება ავითარებს აზროვნებას გრძნობათა ორგანოების შეგრძნებათა ზღურბლს გარეთ. კიდევ არსებობს სხვა ობიექტები და მატერიის თვისებები, რომლებიც მიუღწეველია ადამიანის გრძნობათა ორგანოებისათვის, მაგალითად, ატომი და ელემენტარული ნაწილაკები. მათ ფიზიკა სწავლობს ქიმიასთან ერთად. ადამიანის ფიზიკალური აზროვნების განვითარების ნაყოფია ატომის პლანეტალური მოდელი და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები.

*

* *

ზოგიერთს გამოთქმა ფიზიკური აზროვნება არა სწორად მიაჩნია. მათ სიტყვა ფიზიკურის წაკითხვისას ან გაგონებისას ასოციაციით, ფიზიკურ ძალასთან დაკავშირებული ანდა ნივთიერად არსებული წარმოუდგებათ. ალბათ ეს იმიტომ, რომ სიტყვა ფიზიკური უფრო ხშირად ხმარებაშია მაშინ, როცა ის ძალასთან არის მიმართებაში ანდა ნივთიერად არსებულს გამოსახავს. ასეთ

შემთხვევაში იგი უკეთ აღიქმება. ამიტომ ხომ არ აჯობებდა ასე, ნაცვლად ფიზიკური აზროვნებისა გვეხმარა ფიზიკალური აზროვნება. სიტყვა ფიზიკა უცხოური (ბერძნული, Physike) წარმოშობისაა და ფუძე ფიზიკ-დან წარმოებული სიტყვაა, ფიზიკური სხვადასხვა ენაზე სხვადასხვანაირად ითარგმნება, მაგალითად, რუსულად — Физический, ინგლისურად — Physical [Fizikal] გერმანულად — Physikalisch. ვფიქრობთ ქართულად დასახელებული გამოთქმისათვის (ფიზიკური აზროვნება) ნასარგებლებია რუსულიდან. თუ ჩვენთვის საჭირო შემთხვევაში, ინგლისურიდან და გერმანულიდან ვისარგებლებთ, შეიძლება ვიხმაროთ გამოთქმა ფიზიკალური აზროვნება და ამით თავიდან ავიცილოთ გამოთქმის — ფიზიკური აზროვნება — არასწორი გაგება. მსგავს შემთხვევას, რომელიც ჩვენს მტკიცებას აძლიერებს, ადგილი აქვს ქართულში როცა ვხმარობთ სიტყვა მუსიკალურს, ვოკალურს, ლოკალურს, რადიკალურს და სხვ. გარდა ამისა, გამოთქმა ფიზიკალური გამოყენებული აქვს აკად. დ. უზნაძეს, როცა იგი ეხება სმენის აღქმის ფსიქოლოგიას აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ ტემბრის ტონი სრულიად მარტივ განცდას იძლევა. ე. ი. როგორც მარტივი, როგორც ერთი მთლიანი ტონი მოისმის, ამის მიუხედავად ჰემჰოლცმა მაინც სცადა მისი ანალიზი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყოველი ინსტრუმენტი, ისე როგორც ადამიანის ხმა, მხოლოდ რთულ ტონებს იძლევა (მხოლოდ კამერტონი გვაძლევს შედარებით მარტივ ტონს) ყოველ შემთხვევაში ფიზიკალურად ეს უეჭველად ასეა [5, გვ. 221]. გამოთქმა ფიზიკალური ასეთ შემთხვევაში უფრო აცნობიერებს მას რაც სინამდვილეშია და რის გადმოცემაც ავტორს სურს. თუ განხილულ შემთხვევაში ვიტყოდით ფიზიკურად ნაცვლად ფიზიკალურისა აზრი შეიცვლებოდა. ასეთ ტერმინს — ფიზიკალური ხმარობენ აგრეთვე ცნობილი ფსიქოლოგები პოლ-ფრესი და ჟან პიაჟე სხვა კონტექსტშიაც.

**О. Д. ВАХТАНГАДЗЕ**

## РОЛЬ ФИЗИКИ В РАЗВИТИИ МЫШЛЕНИЯ

Резюме

Физика как учебный предмет обладает специфическими возможностями для развития мышления учащихся. Подобно другим учебным дисциплинам, физика изучает вещественную материю и различные виды движения. В отличие от некоторых дисциплин, физика изучает невещественную материю (поле) и вообще такие явления, которые находятся за пределами восприятия органами чувств человека. Поскольку они не представлены наглядно, то и постичь их можно лишь разумом, т. е. средствами мышления. Все это дает возможность для более совершенного формирования материалистического мировоззрения.

Физика с материалистических позиций объясняет «исчезновение» материи или явление дефекта массы, чем подтверждает вечность существования материи.

Развитием физикального мышления закладывается научная основа технического мышления и на более высокий уровень поднима-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ется математическое мышление. Вообще в техническо-естественных и математических предметах расширяются и углубляются познавательные способности и возможности учащихся.

Развитие физикального мышления молодежи в период научно-технической революции — непременное условие проявления и формирования творческих способностей. Это же, в свою очередь, является наиболее фундаментальной проблемой современной дидактики, поскольку от ее решения в значительной степени зависит будущее цивилизации не только локально в какой-либо отдельной стране, но и в глобальном плане — во всем мире.

## ლიტერატურა

1. ზნამენსკი პ. და სხვები, საკითხებისა და ამოცანების კრებული ფიზიკაში, თბილისი, 1960.
2. კორჩაგინა ვ. ბოტანიკა, 5—6, თბილისი, 1977.
3. პოლიანსკი ი., ბრაუნი ა. და სხვები, ზოგადი ბიოლოგია, 9—10, თბილისი, 1981.
4. საშუალო სკოლის ქიმიის პროგრამა, თბილისი, 1981.
5. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940.
6. Евенчик Э. Е., Шамащ С. Я. и другие. Контрольные работы по физике в средней школе. М., 1969.
7. Кудрявцев Т. В. Якименская И. С. Развитие технического мышления учащихся. М., 1961.
8. Alfred Haendel, Grundgesetze der Physik, Leipzig, 1965.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Р. Г. ДЖВАРИШЕИШВИЛИ

# РОЛЬ УСТАНОВКИ В ПРОЦЕССЕ ФУНКЦИОНИРОВАНИЯ ПАМЯТИ ПЕРЕВОДЧИКА

Память является одной из важнейших функций, принимающих участие в осуществлении процесса перевода. При рассмотрении вопроса функционирования памяти переводчика внимание прежде всего следует уделить двум основным моментам: фактору, лежащему в основе механизма действия памяти, и вопросу ее продуктивности.

В качестве исходного момента следует указать, что наряду с общими закономерностями функционирования память переводчика характеризуется и некоторыми особенностями, проявляющимися в специфических моментах проявления фактора бессознательного.

Согласно общему положению, память в латентном состоянии есть, по существу, содержание, сохраняемое в бессознательном виде. Бессознательное в процессах памяти может проявиться в следующих ее аспектах: 1) в процессе отражения раздражителя, 2) в самой форме сохранения информации, 3) в динамической организации сохраненного материала, 4) в продуктивном применении его согласно актуальным потребностям и нуждам организма [4].

Языковой перевод следует рассматривать как сложную языковую деятельность, в которой прежде всего проявляется общая особенность языка как носителя гораздо большего содержания, чем это дано в момент его осознания, хотя, несмотря на это, и не осознаваемые в данный момент компоненты содержания могут в случае необходимости активно участвовать в языковой деятельности [5].

Теоретическим обоснованием этого положения является теория установки Д. Н. Узнадзе, существенным и специфическим признаком которой является то, что она не дана феноменологически. «Установка является модусом субъекта как целостной личности. Поэтому вполне допустимо, чтобы содержание сознания, формированное на основе установки, исчезло, а данная установка продолжала существовать, что значит, что прошлые переживания продолжают существовать не в виде следа или сознательных представлений, а в виде установки» [6], иначе говоря, в виде диспозиции или готовности к более легкой актуализации определенного содержания в соответствующих условиях.

Построенная на принципах теории установки, являясь ее творческим продолжением, концепция Д. И. Рамишвили о системном характере психического отражения доказывает наличие на каждой ступени развития психики системы ориентиров для вступления в действие отдельного стимула. Согласно концепции Д. И. Рамишвили, «на человеческом уровне в роли ведущих систем ориентиров выступает язык, языковая деятельность, в которой постоянно фиксируются общие моменты социального опыта, направляющие активность индивидуального сознания. На уровне вербальной психики данные в языке

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

эти общие отношения в виде систем и их взаимопроникновения создают возможность неограниченного прохождения все новых и новых объектов и их признаков в отражательную плоскость психики. Но не только новые впечатления способны взбудоражить старые системы. Находясь в нашей памяти, они не остаются неизменными. Там, в глубине нашей психики, за рамками сознания они, будучи частями нашей личности, продолжают «работать», влияют друг на друга, изменяются, перекрывают друг друга, соединяются, выявляя все новые и новые отношения и грани отраженных явлений» [5].

Память переводчика состоит из неограниченного числа таких постоянно варьирующих, обновляющихся и то и дело всплывающих на поверхность сознания, чередующихся от языка к языку систем. Динамика этого момента особенно наглядна в той основной фазе переводческого процесса, когда происходит перебор вариантов переводных эквивалентов, их прилаживание к уже построенному выражению по интуитивному критерию: подходит — не подходит [2].

Момент этот особую сложность приобретает в процессе художественного перевода, когда на передний план выходит т. н. «неточная точность», и который часто осуществляется за пределами сознания, причем конечный результат нередко носит характер внезапного всплывания в памяти того или иного эквивалента переводимого компонента оригинала. В. Левик, характеризуя процесс оценки переводного эквивалента, считает, что «... она (оценка) требует мгновенной внутренней реакции, которая возникает в сознании еще раньше, чем удается ее сформулировать. В большинстве случаев до формулировки дело даже не доходит. Наша интуиция обходится без формулировок и теоретических положений» [3].

Механизмом, лежащим в основе этого процесса, можно считать установку, так как именно она, актуализируясь, «мобилизует», выбирает из памяти переводчика как хранилища конкретного содержания, которое, говоря словами переводчика-германиста Л. Гинзбурга, часто включает в себя и «сор повседневности, сор жизни», — нужное для данного контекста слово или выражение.

Второй основной вопрос, а именно, вопрос продуктивности прошлого для решения актуальной задачи, когда связь прошлого с настоящим не видна, также связан с фактом действия установки.

Здесь важно еще раз указать на ведущую закономерность функционирования памяти, выдвинутую школой Узнадзе, согласно которой действуют не отдельные психические процессы, а личность в целом, и строгих ограничений ни одна из психических функций, в том числе и память, не имеет [4]. В связи с практикой перевода данное общее положение о функционировании памяти может быть подтверждено множеством примеров проявления этой закономерности, когда переводчиками отбрасываются официальные словари и в силу вступает «собственный словарь переводчика, накопленный за жизнь» [1].

В качестве же конкретной иллюстрации этого положения можно привести хотя бы случай из переводческой практики того же Гинзбурга, описанный им самим: «Мальчишкой, в дурацкой частушке я услышал слово с к и д а в а т ь. Прошли годы. Я переводил балладу. Содержание — солдаты зашли погреться в корчму. Солдат снимает с себя снаряжение, хозяйка наливает ему вина и подает жареную рыбу. Я долго вертел эти строчки и, вдруг, из глубины подсознания

вынырнуло забытое, но спасительное слово: «Солдат свой ранец скидает, вина хозяйка подает и запеченной рыбки» [1].

Данный пример выявляет указанную выше закономерность действия установки — бросается в глаза внезапность возникновения новой системы отношений, иначе говоря, нового содержания, его досознательная мобилизация. Пример этот демонстрирует также и другую общую закономерность — системный характер речевой активности, а именно то, что новое содержание возникает из сближения двух выражений, при сопоставлении которых выдвигаются нужные, но, может быть, для этих выражений совершенно иррелевантные моменты, которые, однако, обеспечивают прохождение новой информации, создают новую систему, в данном случае эквивалентный оригиналу контекст на другом языке.

Таким образом, на примере действия памяти переводчика еще раз подтверждается общее положение о том, что феномен памяти не исчерпывается только сознательным поиском прошлой информации. Установочная теория памяти предполагает сохранение установки целостной личности. В случае необходимости личность на основе актуальной установки мобилизует свои ресурсы и возможности для решения новых, насущных задач.

## ЛИТЕРАТУРА


1. Гинзбург Л. В поисках святого Грааля. «Иностранная литература», 1976, № 3.
2. Имедадзе Н. В. Экспериментально-психологические исследования овладения и владения вторым языком. Тбилиси, 1979.
3. Левик В. Актуальные проблемы художественного перевода, т. 2, 1966.
4. Парджанадзе Д. Ш. Память и бессознательное. Сб. «Бессознательное», т. 4. Тбилиси, 1985.
5. Рамишвили Д. И. Бессознательное в контексте речевой активности. Сб. «Бессознательное», т. 4, Тбилиси, 1985.
6. Узнадзе Д. Н. Экспериментальные основы теории установки. Сб. «Психологические исследования», М., 1966.


წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი თარგმანები

იმ. კანტი

## პრაქტიკული გონების კრიტიკა*

### პრაქტიკული გონების ანალიტიკის მესამე თავი

#### წმინდა პრაქტიკული გონების ანალიტიკის კრიტიკული გაშუქება

ამა თუ იმ მეცნიერების, ან მისი ერთ-ერთი დარგის (რომელიც თავისთავად სისტემაა) კრიტიკული გაშუქება მე ასე მესმის: ეს არის გამოძიება და დასაბუთება იმისა, თუ რატომ უნდა ჰქონდეს მას უცილობლად ასეთი და არა სხვაგვარი სისტემური ფორმა, თუ მასთან შესადარებელ სხვა სისტემას საფუძვლად უდევს იგივე შემეცნებითი უნარი? პრაქტიკული და სპეკულატური გონება ერთსა და იმავე შემეცნებით უნარს ეფუძნება, ვინაიდან ორივე *წმინდა გონებაა*. მაშასადამე, განსხვავება მათ სისტემურ ფორმებს შორის აუცილებლად უნდა განვსაზღვროთ ერთის შეჯერებით მეორესთან და ამ განსხვავების მიზეზიც მივუთითოთ.

წმინდა თეორიული გონების ანალიტიკას საქმე ჰქონდა ისეთ საგანთა შემეცნებასთან, რომლებიც შესაძლებელია, რომ განსჯას ეძლეოდეს; მაშასადამე, მას უნდა დაეწყო *ჭვრეტით*, ანუ (ვინაიდან ჭვრეტა მუდამ გრძნობადია) —მგრძნობელობით, მხოლოდ აქედან გადასულიყო (ამ ჭვრეტის საგანთა) ცნებებზე და მხოლოდ ამის შემდეგ თავისი საქმე დაებოლოებინა *პრინციპებით*. საპირისპიროდ ამისა, პრაქტიკულ გონებას საქმე აქვს არა საგნებთან, მათი *შემეცნების* მიზნით, არამედ — საკუთარ უნართან, *განახორციელოს* ეს საგნები (მათი შემეცნების შესაბამისად); ე. ი. პრაქტიკულ გონებას საქმე აქვს *ნებასთან*, რომელიც, რამდენადაც გონება შეიცავს მის განმსაზღვრელ საფუძველს, მიზეზობრიობის წარმოადგენს. მაშასადამე, პრაქტიკულმა გონებამ უნდა მიგვითითოს არა ჭვრეტის ობიექტი, არამედ (რადგან მიზეზობრიობის ცნება მუდამ შეიცავს მიმართებას იმ კანონთან, რომელიც განსაზღვრავს მრავლის არსებობას მათს ურთიერთმიმართებაში) — მან, როგორც პრაქტიკულმა გონებამ, უნდა მოგვცეს *მხოლოდ კანონი*. ამიტომ მისი ანალიტიკის კრიტიკამ, თუ ეს გონება პრაქტიკული უნდა იყოს (და ამოცანაც სწორედ ესაა), ჯერ უნდა გაარკვიოს *აპრიორულ-პრაქტი-* 90
*კულ პრინციპთა შესაძლებლობა*; მხოლოდ აქედან შეუძლია მას გადავიდეს პრაქტიკული გონების ობიექტთა *ცნებებზე*, სახელდობრ, უპირობოდ კეთილისა და უპირობოდ ბოროტის ცნებებზე, რათა ისინი ამ პრინციპთა შესაბამისად მოგვაწოდოს (რადგან ამ პრინციპებამდე მათ, ვითარცა კეთილსა და ბოროტს, ვერავითარი შემეცნების უნარი ვერ მოგვაწვდის),

* დასაწყისი იხ. „მაცნე", ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1985, № 3, 4; 1986, № 3, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის შემდეგაც — და მხოლოდ მის შემდეგ — ამ ნაწილს დააბოლოვებს თავი წმინდა პრაქტიკული გონების მიმართების შესახებ მგრძნობელობასთან და მასზე ამ გონების აუცილებელი ზეგავლენის შესახებ, რაც აპრიორულად შეიმეცნება; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას დაასრულებს თავი მ ო რ ა ლ უ რ ი გ რ ძ ნ ო ბ ი ს შესახებ. ამგვარად, წმინდა პრაქტიკული გონების ანალიტიკამ მისი გამოყენების ყველა პირობათა ერთობლიობა დაყო სავსებით თეორიულის ანალოგიურად, ოღონდ რიგშებრუნებით: წმინდა თეორიული გონების ანალიტიკა განიყო ტრანსცენდენტალურ ესთეტიკად და ტრანსცენდენტალურ ლოგიკად, პრაქტიკული გონებისა კი — წმინდა პრაქტიკული გონების ლოგიკად და ესთეტიკად (თუ უფლება მაქვს, ეს საერთოდ შეუფერებელი სახელები აქ მარტო ანალოგიის გულისათვის ვიხმარო); ლოგიკა, თავის მხრივ, იქ განიყო ცნებათა ანალიტიკად და პრინციპთა ანალიტიკად, აქ კი — პრინციპთა ანალიტიკად და ცნებათა ანალიტიკად. ესთეტიკა იქ შედგება ორი ნაწილისაგან გრძნობადი ჭვრეტის ორი სახეობის შესაბამისად; აქ კი, მგრძნობელობას საერთოდ არ ვრაცხთ ჭვრეტის უნარად, არამედ იგი მარტოოდენ გრძნობაა (რომელსაც ძალუძს იყოს ნდომის სუბიექტური საფუძველი). შემდგომი დაყოფის უფლებას წმინდა პრაქტიკული გონება აღარ იძლევა.

თუ აქ ნამდვილად რატომ არ განხორციელდა ეს დანაწევრება ორ ნაწილად თავ-თავიანთი ქვედაყოფებითურთ (რაც შეიძლებოდა ხელოვნურად მომხდარიყო, პირველი კრიტიკის მიბაძვით), ამის მიზეზი ნათელია. ვინაიდან წ მ ი ნ დ ა გ ო ნ ე ბ ა ა ის, რასაც აქ განვიხილავთ მის პრაქტიკულ გამოყენებაში, მაშასადამე, განვიხილავთ აპრიორული პრინციპებიდან და არა ემპირიული განმსაზღვრელი საფუძვლებიდან ამოსვლით, ამიტომ წმინდა პრაქტიკული გონების ანალიტიკის დანაწევრება უნდა მოხდეს სილოგიზმისდაგვარად, სახელდობრ, ვიწყებთ ზოგადით დ ი დ წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ შ ი (მორალური პრინციპით), გადავდივართ მ ც ი რ ე წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ზ ე, რომელიც ახდენს შესაძლებელ ქმედებათა (როგორც კეთილისა და ბოროტის) სუბსუმციას პირველში, აქედან კი — დ ა ს ა ს კ ვ ნ ზ ე, კერძოდ, ნების სუბიექტურ განსაზღვრაზე (პრაქტიკულად
91 შესაძლებელი კეთილისა და მასზე დამყარებული მაქსიმისადმი ინტერესზე). ამგვარი შეჯერებანი სიამოვნებას მოჰგვრის იმას, ვინც შეძლო ანალიტიკაში მოცემულ მსჯელობათა ჭეშმარიტებაში დარწმუნებულიყო, ვინაიდან ეს უკანასკნელნი სამართლიანად ჩაგვისახავენ იმედს, რომ, იქნებ, ოდესმე შევძლოთ და ჩავწვდეთ წმინდა გონების მთელი უნარის (როგორც თეორიულის, ისე პრაქტიკულის) ერთიანობას და ყოველივე გამოვიყვანოთ ერთი პრინციპიდან, რაც ადამიანის გონების გარდუვალ მოთხოვნილებას შეადგენს, — გონებისა, რომელსაც სრულ კმაყოფილებას მხოლოდ საკუთარი ცოდნის სრული სისტემური ერთიანობა ანიჭებს.

თუ ჩვენ ახლა განვიხილავთ ცოდნის შინაარსსაც, რომელიც შეიძლება გვქონდეს წმინდა პრაქტიკული გონების შესახებ და მისი მეშვეობით (როგორც მას ამ გონების ანალიტიკა გადმოგვცემს), მაშინ წმინდა პრაქტიკულ გონებასა და თეორიულს შორის საოცარი ანალოგიის გვერდით დავინახავდით მათ შორის არანაკლებ საკვირველ განსხვავებასაც. თეორიულთან მიმართებაში წ მ ი ნ დ ა ა პ რ ი ო რ უ ლ ი გ ო ნ ე ბ ი ს მიერი შემეცნების უნარი სულ ადვილად და ცხადად დასაბუთდება მეცნიერებათა მაგალითით (სადაც ისე საშიში არ არის შემეცნების ემპირიული საფუძვლების ფარული შერევა, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივს შემეცნებაში, ვინაიდან ეს მეცნიერებები ათასგვარი ხერხით ამოწმებენ თავიანთ პრინციპებს მეთოდური გამოყენების მეშვეობით). მაგრამ წმინდა გონება რომ ამა თუ იმ ემპირიული განმსაზღვრელი საფუძვლის შერევის გარეშე თავისთავად პრაქტიკულიცაა, ეს შეიძლებოდა დამტკიცებულიყო *გონების უჩვეულებრივესი პრაქტიკული* გამოყენების საფუძველზეც, იმ ფაქტის დამოწმებით, რომ უმაღლეს პრაქტიკულ პრინციპს, როგორც სავსებით აპრიორულსა და ყოველივე გრძნობადი მონაცემისაგან დამოუკიდებელს, ყოველი ბუნებრივი ადამიანური გონება აღიარებს მისი ნების უმაღლეს კანონად. მისი წარმოშობის სიწმინდე ჯერ აუცილებლად უნდა დადასტურებულიყო და დასაბუთებულიყო თვით ამ *ჩვეულებრივი გონების მსჯელობაში*, ვიდრე მას მეცნიერება დაეუფლებოდა მისი გამოყენების მიზნით,—როგორც ფაქტი, რომელიც წინ უძღვის ყოველგვარ ბრძნობას მისი შესაძლებლობის შესახებ და ყოველგვარ დასკვნებს, რომლებიც მისგან შეიძლება გამოვიტანოთ. მაგრამ ეს გარემოება ადვილად აიხსნება იმითაც, რაც ახლახან ზემოთ ითქვა: რომ წმინდა პრაქტიკულ გონებას მართებს დაიწყოს იმ ფუძედებულებებით, რომლებიც, პირველი მონაცემების სახით, საფუძვლად უნდა დაედოს ყოველსავე მეცნიერებას და რომლებიც თავდაპირველად მასში (მეცნიერებაში) ვერ აღმოცენდებიან. ისე კი, მორალურ პრინციპთა, როგორც წმინდა გონების ფუძედებულებათა, ამგვარი დასაბუთება შეიძლებოდა საკმაოდ კარგად და დამაჯერებლად ჩატარებულიყო ოდენ ჩვეულებრივი ადამიანური გონების მსჯელობის დამოწმებითაც, ვინაიდან ყოველსავე ემპირიულს, რაც კი შეიძლებოდა მაქსიმებში ნების განმსაზღვრელ საფუძვლად შემოგვპაროდა, მყისვე *გასცემდა* სიამოვნების ან მწუხარების გრძნობა, რომელიც 92
მას, ვითარცა ნდომის გამომწვევს, აუცილებლად თან ახლავს; წმინდა პრაქტიკული გონება კი სწორედ *წინააღმდეგია* იმისა, რომ ამგვარმა გრძნობამ მის პრინციპში შემოაღწიოს პირობის სახით. განმსაზღვრელ საფუძველთა (ემპირიულისა და რაციონალურის) ჰეტეროგენულობა თვალნათლივ და მკაფიოდ ვლინდება პრაქტიკულად კანონმდებელი გონების წინააღმდეგობაში მიდრეკილების ყოველგვარი შემოერთებისადმი, — იმ თავისებურ *გრძნობაში*, რომელიც წინ კი არ უსწრებს პრაქტიკული გონების კანონმდებლობას, არამედ, პირუკუ, ჩნდება მხოლოდ ამ კანონმდებლობის ძალით, როგორც იძულება, სახელდობრ, იგი ვლინდება პატივისცემის გრძნობაში, რომელსაც არც ერთი ადამიანი არ იჩენს მიდრეკილებებისადმი, რა სახისაც არ უნდა იყვნენ ისინი, არამედ ამჟღავნებს მარტოოდენ კანონისადმი; ყოველივე ეს ისე ცხადად და თვალნათლივ მოჩანს, რომ, თვით უმეცარიც კი, თუ მას მაგალითს წარვუდგენთ, მყისვე დარწმუნდება, რომ თუმცა შესაძლებელია, მისი ნებების (Wollen) ემპირიულმა საფუძვლებმა ცდუნებისაკენ უბიძგოს, მაგრამ მას არასოდეს მოეთხოვება, *დაემორჩილოს* სხვა რამ კანონს, თუ არ მხოლოდ წმინდა პრაქტიკული გონებისას.

განსხვავების დადგენა *ეთიკასა და ბედნიერების შესახებ მოძღვრებას* შორის, რომელთაგან მეორეში ემპირიული პრინციპები მთელს ფუნდამენტს ქმნის, პირველში კი მის უმცირეს ნაწილსაც არ შეადგენს— ესაა პირველი და უმნიშვნელოვანესი საქმე, რაც წმინდა პრაქტიკული გონების ანალიტიკას აკისრია და რაც მან გეომეტრის *სიზუსტითა* და, ასე განსაჯეთ, *პედანტურობითაც* კი, უნდა აღასრულოს. მაგრამ ფილოსოფოსს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც აქ უფრო დიდ სიძნელეებს აწყდება (როგორც მუდამ, როცა გონების-
მიერი შემეცნება ხორციელდება ოდენ ცნებების მეშვეობით, მათი კონსტრუ-
ირების გარეშე) იმის გამო, რომ მას არ ძალუძს (წმინდა ნოუმენს) საფუძვლად
დაუდოს რაიმე ჭვრეტა, ვურჩევდით, ქიმიკოსის მსგავსად, ყოველ ჟამს ჩაატაროს
ექსპერიმენტი ყოველი ადამიანის პრაქტიკულ გონებაზე, რათა მორალური
(წმინდა) განმსაზღვრელი საფუძველი განარჩიოს ემპირიულისაგან; სახელდობრ,
ემპირიულად აფიცირებულ ნებას (მაგალითად, იმ კაცისას, ვინც სიამოვნებით
იცრუებდა, ოღონდ კი ამ გზით რაღაცა მოეხვეჭა) დაუმატოს მორალური კანო-
ნი (როგორც განმსაზღვრელი საფუძველი). ეს იმას ჰგავს, ქიმიკოსი რომ მარილ-
მჟავაში კირხსნარს ტუტეს დაუმატებს, მარილმჟავა მყისვე კირს მოშორდება,
ტუტეს შეუერთდება და კირი ფსკერზე დაეშვება. სწორედ ასევე, თუ საერთოდ
პატიოსან კაცს (ან იმას, ვინც ამჯერად მხოლოდ თავის გონებაში აყენებს თავის-
თავს პატიოსანი კაცის ადგილას) თვალწინ დავუყენებთ მორალურ კანონს, რო-
93 მლითაც იგი შეიცნობს მატყუარას უღირსობას, მისი პრაქტიკული გონება (მსჯე-
ლობაში იმის შესახებ, თუ რა უნდა ჩაედინა მას) მყისვე მიატოვებს სარგებე-
ლს და შეუერთდება იმას, რაც მას უნარჩუნებს პატივისცემას საკუთარი პიროვ-
ნებისადმი (სიმართლისმოყვარეობას); სარგებელს კი ყოველი ჩვენგანი ადვილ-
ად ასწონ-დასწონის მას შემდეგ, რაც იგი გამოეყოფა და გასუფთავდება გონების
ყოველივე მინარევისაგან (გონებისა, რომელიც მთლიანად მოვალეობის მხარე-
ზეა); ასე რომ, ამ სარგებელს შეუძლია სხვა შემთხვევებში გონებას შეუერთდეს,
ოღონდ არა იქ, სადაც იგი (ეს სარგებელი) წინააღმდეგობას გაუწევს მორალურ
კანონს, რომელსაც გონება არასოდეს მიატოვებს, არამედ იქ, სადაც იგი მორა-
ლურ კანონს უშინაგანესად უკავშირდება.

მაგრამ ეს გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ბედნიერების პრინციპსა და ზნეობის პრინ-
ციპს შორის სულაც არ ნიშნავს მათს დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა ს; წმინდა პრა-
ქტიკულ გონებას არ ჰსურს, ხ ე ლ ი ა ვ ი ღ ო თ ბედნიერების პრეტენზიებ-
ზე, არამედ მისი სურვილია მხოლოდ ის, რომ ა რ ა ვ ი თ ა რ ი ა ნ გ ა რ ი შ ი
არ გავუწიოთ ასეთ პრეტენზიებს, როცა საკითხი მოვალეობას ეხება. გარკვეუ-
ლი თვალსაზრისით, პირად ბედნიერებაზე ზრუნვა, ალბათ, მოვალეობასაც
შეადგენს: ნაწილობრივ, იმიტომ, რომ იგი (აქ შემოდის: მოხერხებულობა, ჯან-
მრთელობა, სიმდიდრე) შეიცავს საშუალებებს ჩვენი მოვალეობის შესასრულე-
ბლად, ნაწილობრივ კი, იმიტომ, რომ მათი (ამ საშუალებათა) უქონლობა (მაგა-
ლითად, სიღარიბე) შეიცავს ცდუნებას, გადავუხვიოთ საკუთარ მოვალეობას.
ოღონდ ეს არის: პირადი ბედნიერებისათვის ხელის შეწყობა ვერასოდეს ვერ იქ-
ნება უშუალო მოვალეობა და, მითუმეტეს, ყოველივე მოვალეობის პრინციპი.
რაკი ნების განმსაზღვრელი ყველა საფუძველი, გარდა ერთადერთის—გონების
წმინდა პრაქტიკული კანონისა (მორალური კანონისა), ერთობლივად ემპირიუ-
ლია, მაშასადამე, როგორც ასეთნი, ბედნიერების პრინციპს განეკუთვნებიან, ამი-
ტომ ისინი ერთიანად უნდა გავმიჯნოთ უმაღლესი ზნეობრივი პრინციპისაგან და
მას არასოდეს შევუერთოთ პირობის სახით. ასეთი რამ ისევე მოსპობდა მთელ
ზნეობრივ ღირსებას, როგორც გეომეტრიულ პრინციპებს დართული ემპირიული
მინარევი—ყოველსავე მათემატიკურ უტყუარობას, ანუ საუკეთესოს, რაც კი რამ
(პლატონის შეხედულებით)[1] მათემატიკას გააჩნია, და რაც თვით მის ყოველგვარ
სარგებლიანობაზე უფრო მნიშვნელოვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცვლად წმინდა პრაქტიკული გონების უმაღლესი პრინციპის დედუქცი-
ისა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაცვლად იმისა, რომ ამგვარი აპრიორული
ცოდნის შესაძლებლობა ავხსნათ, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ შემდეგზე მივუთი-
თოთ: ამა თუ იმ მოქმედი მიზეზის თავისუფლების შესაძლებლობის დანახვა
ნიშნავს მორალური კანონის არა მარტო შესაძლებლობის, არამედ აუცილებ-
ლობის დანახვასაც, როგორც იმ გონიერ არსებათა უმაღლესი პრაქტიკული
კანონის აუცილებლობისა, რომლებსაც საკუთარი ნების მიზეზობრიობის თავი-
სუფლებას მივაწერთ; ვინაიდან ეს ორი ცნება ასე განუყრელად ერწყმის ერთ-
მანეთს, ამიტომ პრაქტიკული თავისუფლება შეგვეძლო განგვესაზღვრა, აგრე- 94
თვე, როგორც ნების დამოუკიდებლობა ყველა სხვა კანონისაგან, გარდა მორალ-
ურისა. მაგრამ ჩვენ სრულიად არ ძალგვიძს დავინახოთ მოქმედი მიზეზის თავი-
სუფლების შესაძლებლობა, განსაკუთრებით, გრძნობად სამყაროში; ისიც დი-
დი ამბავია, თუ შევძლებთ, საკმაოდ დარწმუნებული ვიყოთ, რომ არ არსებობს
მისი შეუძლებლობის არავითარი საბუთი; და მაშასადამე, მორალური კანონი,
რომელიც ამის პოსტულირებას ახდენს, გვაიძულებს (და ამით საამისოდ უფლე-
ბამოსილსაც გვხდის), იგი ვაღიაროთ. ბევრს ჯერ კიდევ ჰგონია, რომ ხსენებული
თავისუფლების, ისევე, როგორც ყოველი სხვა ბუნებრივი უნარის, ახსნას შე-
ძლებს ემპირიულ პრინციპთა საფუძველზე და რომ იგი *ფსიქოლოგიუ-
რი* თვისებაა, რომელსაც უეჭველად აგვიხსნის *სულის ბუნებისა* და
ნების მამოძრავებელ ზამბარათა უფრო ზუსტი გამოკვლევა. ესენი არ განიხი-
ლავენ მას ისეთი არსების მიზეზობრიობის *ტრანსცენდენტალურ*
პრედიკატად, რომელიც გრძნობად სამყაროს განეკუთვნება (საქმის მთელი არსი
კი სწორედ ესაა), რითაც წარხოცავენ იმ ბრწყინვალე აღმოჩენას, წმინდა პრაქ-
ტიკულმა გონებამ რომ გვარგუნა მორალური კანონის მეშვეობით, სახელდობრ,
წარხოცავენ გონებითსაწვდომი სამყაროს აღმოჩენას თავისუფლების საერთოდ
ტრანსცენდენტური ცნების რეალიზაციის მეოხებით; ამით ისინი აუქმებენ თავად
მორალურ კანონს, რომელიც არ ცნობს არავითარ ემპირიულ განმსაზღვრელ
საფუძველს. ამიტომ საჭიროა, აქ კიდევ რაღაც ითქვას ამგვარი სიბეცის წინაა-
ღმდეგ და *ემპირიზმის* ზერელე ბუნების გასაშიშვლებლად.

მიზეზობრიობის *თავისუფლებისეული* ცნებისაგან განსხვავე-
ბით, მიზეზობრიობის, როგორც *ბუნებრივი აუცილებლობის*,
ცნება ეხება მარტოოდენ საგანთარსებობას, რამდენადაც ეს არსებობა *დრო-
ში განსაზღვრადია*, მაშასადამე, ეხება მათს არსებობას, როგორც
მოვლენებისას, საპირისპიროდ მათი, ვითარცა თავისთავადი საგნების, მიზეზო-
ბრიობისა. ხოლო თუ დროში საგანთარსებობის განსაზღვრულობებს მივიჩ-
ნევთ თავისთავად საგანთა განსაზღვრულობებად (სწორედ ასეთია მორალური
წარმოდგენა), მაშინ მიზეზობრივს მიმართებაში აუცილებლობა ვერასგზით
ვერ დაუკავშირდება თავისუფლებას, რადგან ისინი კონტრადიქტორულად უპი-
რისპირდება ერთმანეთს. მართლაცდა, პირველი გვამცნობს, რომ ყოველი ხდო-
მილება და, შესაბამისად, ყოველი მოქმედება, რომელიც დროის ამა და ამ მო-
ნაკვეთში ხდება, აუცილებლად გამომდინარეობს წინამავალ დროში მომხდარი
შემთხვევიდან და, ვინაიდან ნამყო ჩემს განკარგულებაში აღარ იმყოფება, ყო-
ველი ჩემს მიერ ჩადენილი მოქმედება აუცილებლობით გამომდინარეობს იმ
განმსაზღვრელი საფუძვლებიდან, რომლებიც ჩემს *განკარგულებაში
არ შემოდიან*, რაც იმას ნიშნავს, რომ მე არასოდეს არა ვარ თავისუფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დროის იმ მონაკვეთში, რომელშიაც ვმოქმედებ. თუნდაც მთელი ჩემი არსე-
ბობა ამა თუ იმ უცხო მიზეზისაგან (ვთქვათ, ღმერთისაგან) დამოუკიდებლად
95 მიმაჩნდეს, ასე რომ, ჩემი მიზეზობრიობისა და თვით მთელი ჩემი არსებობის
განმსაზღვრელი საფუძვლები სრულიადაც არ იმყოფებოდეს ჩემს გარეთ,—ამით
ხსენებული ბუნებრივი აუცილებლობა ოდნავადაც ვერ გარდაიქმნება თავისუ-
ფლებად, რადგან დროის ყოველ მონაკვეთში მაინც მუდამ დავემორჩილები აუ-
ცილებლობას,—სამოქმედოდ იმის მიერ ვიქნე განსაზღვრული, რაც *ჩემს გა-
ნკარგულებაში არ იმყოფება*; ხოლო ხდომილებათა უსასრულო
წყება a parte priori, რომელსაც მუდამ მხოლოდ უკვე წინასწარგანსაზღვრული
თანმიმდევრობით განვაგრძობ და ჩემი ნებით ვერსად ვერ დავიწყებ, უწყვეტ
ბუნებრივ ჯაჭვად გაიბმება, რის გამოც ჩემი მიზეზობრიობა ვერასოდეს ვერ იქ-
ნება თავისუფლება.

თუ, მაშ, მოვინდომებთ თავისუფლება მივაწეროთ ისეთ არსებას, რომლის
არსებობაც დროშია განსაზღვრული, მას ვერ გამოვრიცხავთ ყველა ხდომილე-
ბის ბუნებრივი აუცილებლობის კანონიდან ვერც მისი არსებობისა და, მაშასა-
დამე, ვერც მისი ქმედებების მხრივ, რადგან ეს იქნებოდა მისი მინებება ბრმა
შემთხვევითობისადმი. მაგრამ ვინაიდან ეს კანონი გარდუვალად ეხება საგანთა
ყოველსავე მიზეზობრიობას, რამდენადაც მათი *არსებობა დროში* გა-
ნსაზღვრადია, ამიტომ, თუ ამავე წესით მოვინდომებდით *თავისთავად
საგანთა არსებობის* წარმოდგენასაც, მაშინ მოგვიხდებოდა თავი-
სუფლების ცნების გადაგდება, როგორც არაფრის მაქნისისა და შეუძლებელისა.
მაშასადამე, თუ თავისუფლების გადარჩენა მაინც კიდევ გვწადია, სხვა გზა არ
გვრჩება, გარდა იმისა, რომ საგნის არსებობა, რამდენადაც იგი დროში განსა-
ზღვრადია, და, შესაბამისად, *ბუნებრივი აუცილებლობის* კანო-
ნისმიერი მიზეზობრიობაც, მივაწეროთ *მარტოოდენ მოვლენას*,
*თავისუფლება* კი—*ამავე არსებას*, *როგორც თავის-
თავად საგანს*. ეს, რასაკვირველია, გარდუვალიცაა, თუ გვსურს, ეს
ორი საწინააღმდეგო ცნება ერთდროულად შევინარჩუნოთ; მაგრამ მათი გამო-
ყენებისას, როცა მათს ერთსა და იმავე ქმედებაში გაერთიანებასა და, მაშასადამე,
თვით ამ შენაერთის ახსნას ვლამობთ, წარმოიქმნება დიდი სიძნელეები, რომლე-
ბიც ამგვარ შეერთებას თითქოსდა შეუძლებელს ხდიან.

თუ მე ვიტყვი, ამა და ამ კაცის მიერ ჩადენილი ქურდობა, მიზეზობრიობის
ბუნებრივი კანონის შესაბამისად, აუცილებლობით გამომდინარეობს წინამავალ
დროში არსებული განმსაზღვრელი საფუძვლებიდან და მიტომ მისი ჩაუდენლ-
ობა შეუძლებელი იქნებოდა-მეთქი, მაშინ როგორღა შეძლებს მორალური კა-
ნონის მიხედვით საქციელის შეფასება აქ რაიმე შეცვალოს და დაუშვას, რომ
ქურდობა შეიძლებოდა არც მომხდარიყო, რადგან კანონი გვეუბნება, რომ იგი არ
უნდა მომხდარიყო? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორღაა, რომ ადამიანს
შეიძლება სრულიად თავისუფალი ეწოდოს დროის იმავე მონაკვეთში და
იმავე ქცევასთან მიმართებაში, რომელშიაც და რასთან მიმართებაშიც იგი გარ- 96
დუვალ ბუნებრივ აუცილებლობას ემორჩილება? ზოგიერთი იმედოვნებს, რომ
იმ პრინციპითა *სახეობას*, რომლებიც ქცევათა ბუნებისკანონისმიერ მი-
ზეზობრიობას განსაზღვრავენ, თავისუფლების *შეფარდებით* ცნებას
მოარგებს (რომლის მიხედვითაც, ზოგჯერ თავისუფალს ვეძახით ისეთ მოქმე-
დებას, როცა მისი ბუნებრივი განმსაზღვრელი საფუძველი მოქმედი არსების

ეროვნული ბიბლიოთეკა

*შიგნით* იმყოფება; მაგალითად, სიტყვა *თავისუფლებას* ვხმარობთ გატყორცნილი სხეულის თავისუფალი მოძრაობის აღსანიშნავად, ვინაიდან იგი, ვიდრე მიფრინავს, გარედან არავითარ ბიძგს არ განიცდის; ან კიდევ, თავისუფალს ვარქმევთ საათის მოძრაობას, ვინაიდან იგი თავის ისრებს თვითონვე ამოძრავებს და არ საჭიროებს გარედან ამოძრავებას; თავისუფალს ვუწოდებთ ხოლმე ადამიანთა ქმედებებსაც, თუნდაც ისინი აუცილებლად იყოს განსაზღვრული დროში წინამავალი მიზეზებით, რადგან აქ მიზეზებია ჩვენივე უნარებით გაჩენილი შინაგანი წარმოდგენები, ე. ი. საქმე გვაქვს რაღაც ვითარებით გამოწვეულ სურვილებთან და, მაშასადამე, ჩვენი ნებაყოფლობით ჩადენილ ქმედებებთან). მაგრამ ეს ხომ უსუსური ხრიკია, რომელსაც ზოგიერთი ჯერ კიდევ ეჭიდება, ჰგონია რა, რომ ასეთი წვრილმანი ასოკირკიტობით გადაწყდება ესოდენ რთული პრობლემა, რომლის გადაჭრაზეც ამაოდ იღწვოდნენ ათასწლეულთა მანძილზე და რომლის პასუხსაც ძნელად თუ ვიპოვით შიშველ ზედაპირზე. იმ თავისუფლების საკითხში, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ყველა მორალურ კანონს და მის შესაბამის შერაცხადობას, საქმე სრულიადაც არ ეხება იმას, თუ სად დევს ბუნებისკანონისმიერი მიზეზობრიობის განმსაზღვრელი პრინციპები: სუბიექტის *შიგნით*, თუ *გარეთ*, და არც იმას, პირველ შემთხვევაში თუ რა იწვევს ამ პრინციპთა აუცილებლობას: ის, რომ ისინი ინსტინქტურია, თუ ის, რომ ისინი გონების მიერაა მოაზრებული. თუ ასეთ განმსაზღვრელ წარმოდგენებს, თვით ხსენებულ პირთა აღიარებითაც, თავიანთი არსებობის საფუძველი მაინც დროში და, კერძოდ, *წინამავალ მდგომარეობაში* მოეპოვებათ, ამ უკანასკნელს კი—კვლავ წინამავალში აქვს და ა. შ., მაშინ თუნდაც ეს განსაზღვრანი მუდამ შინაგანნი იყვნენ, თუნდაც მათ ფსიქოლოგიური და არა მექანიკური მიზეზობრიობა ჰქონდეთ, ე. ი. თუნდაც მოქმედებას წარმოქმნიდნენ წარმოდგენებისა და არა სხეულის მოძრაობის მეშვეობით, ისინი მაინც მუდამ მოცემული არსების მიზეზობრიობის *განმსაზღვრელი საფუძვლებია* იმდენად, რამდენადაც ამ არსების არსებობა დროში განსაზღვრადია; მაშასადამე, ისინი მოქცეულია წარსული დროის პირობათა აუცილებლობის ქვეშ და *აღარ იმყოფებიან სუბიექტის განკარგულებაში* იმ დროს, როდესაც მან უნდა იმოქმედოს; ამგვარად, მათ, მართალია, ახლავთ ფსიქოლოგიური თავისუფლება (თუ ამ სიტყვას ვიხმართ მხოლოდ სულის წარმოდგენათა შინაგანი ჯაჭვის აღსანიშნავად), მაგრამ, ამასთანავე, ბუნებრივ აუცილებლობასაც შეიცავენ და, მაშასადამე, ხელთ აღარ გვრჩება არავითარი *ტრანსცენ-* 97
*დენტალური თავისუფლება*, რომელიც მოაზრებულ უნდა იქნეს როგორც დამოუკიდებლობა ყოველივე ემპირიულისაგან და, საზოგადოდ, ბუნებისაგან, განურჩევლად იმისა, თუ რად განვიხილავთ მას: შინაშეგრძნების საგნად—მარტოოდენ დროში, თუ—გარეგრძნობათა საგნად—დროში და სივრცეში; ამგვარი თავისუფლების გარეშე (ამ უკანასკნელის საკუთრივი მნიშვნელობით), რომელიც ერთადერთი აპრიორულად პრაქტიკულია, შეუძლებელია რაიმე მორალური კანონი და მისი შესაბამისი მორალური შერაცხადობა. სწორედ ამის გამო შეგვიძლია ბუნების *მექანიზმი* ვუწოდოთ დროში მიმდინარე ხდომილებათა ყოველსავე აუცილებლობას მიზეზობრიობის ბუნებრივი კანონის შესაბამისად, თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საგნები, რომლებიც მას ექვემდებარებიან, მართლა მატერიალური *მანქანები* იყოს. აქ იგულისხმება მხოლოდ დროის თანმიმდევრობაში ხდომილებათა კავშირის აუცილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლობა ისე, როგორც იგი (ხდომილებათა ეს დაკავშირება) ვითარდება ბუნების
კანონის შესაბამისად; ამ შემთხვევაში სუბიექტს, რომელშიაც ეს პროცესი მიმ-
დინარეობს, სულერთია, რას დავარქმევთ, automaton materiale-ს, როცა მე-
ქანიზმი მოძრაობაში მოჰყავს მატერიას, თუ ლაიბნიცისებურად—automaton
spirituale-ს[2], როცა მას წარმოდგენები ამოძრავებს; ჩვენი ნების თავისუფლება
რომ სხვა არაფერი ყოფილიყო, თუ არ ეს უკანასკნელი (ვთქვათ, ფსიქოლოგი-
ური და შეფარდებითი, მაგრამ არა ტრანსცენდენტალურიც, ე. ი. აბსოლუტუ-
რიც), მაშინ იგი არსებითად გაუტოლდებოდა მბრუნავი შამფურის თავისუფ-
ლებას, რომელიც, ერთხელ მომართული, შემდეგ უკვე თავისით განაგრძობს
მოქმედებას.

იმისათვის, რომ ხსენებულ შემთხვევაში მოვხსნათ მოჩვენებითი წინააღმ-
დეგობა ბუნების მექანიზმსა და თავისუფლებას შორის ერთსა და იმავე ქმედე-
ბაში, საჭიროა გავიხსენოთ ის, რაც წმინდა გონების კრიტიკაში ითქვა, ან რაც
იქიდან გამომდინარეობს: ბუნებისეული აუცილებლობა, რომელიც ვერ უთავს-
დება სუბიექტის თავისუფლებას, მხოლოდ იმ საგნის განსაზღვრულობებს
ეხება, რომელიც დროის პირობებშია მომწყვდეული, მაშასადამე, იგი ეხება მა-
რტოოდენ მოქმედი სუბიექტის, ვითარცა მოვლენის, განსაზღვრულობებს, რა-
მდენადაც მისი ყოველი ქმედების განმსაზღვრელი საფუძვლები წარსულის კუთ-
ვნილებაა და *მის განკარგულებაში აღარ შემოდიან*
(ამას უნდა მიეთვალოს მის მიერ წარსულში ჩადენილი საქმეებიცა და თვით სუ-
ბიექტის თვალში ამ უკანასკნელთა მიხედვით განსაზღვრადი ხასიათიც მისი, ვი-
თარცა ფენომენისა). მაგრამ იგივე სუბიექტი, მეორე მხრივ, საკუთარ თავს იც-
ნობიერებს, როგორც თავისთავად საგანს, მაშასადამე, თავის არსებობას განი-
ხილავს, *როგორც დროის პირობებში მოუქცეველს*, სა-
კუთარ თავს კი—როგორც განსაზღვრადს მარტოოდენ იმ კანონთა მიერ, რომლე-
ბსაც იგი თავის თავს უწესებს გონების მეშვეობით; სუბიექტის ამგვარ არსებო-
ბაში მისთვის არაფერია ისეთი, რაც წინ გაუსწრებდა მისი ნების განსაზღვრას,
არამედ ყოველი ქმედება და, საზოგადოდ, მისი არსებობის ყოველი სახეცვლი-
98 ლება, რომელიც ხდება შინაშეგრძნების შესაბამისად,—თვით მთელი თანმი-
მდევრობაც კი მისი, ვითარცა გრძნობადი სამყაროს წევრის, არსებობისა,—სუ-
ბიექტის ინტელიგიბელური არსებობის ცნობიერებაში სხვა არაფერია, თუ
არა მისი, ვითარცა *ნოუმენის*, მიზეზობრიობის შედეგი და არა ამ მიზეზო-
ბრიობის განმსაზღვრელი საფუძველი. ამ თვალსაზრისით, გონიერ არსებას, ყო-
ველი მის მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შესახებ, ძალუძს
სრული უფლებით განაცხადოს, რომ მას შეეძლო იგი არც ჩაედინა, თუნდაც
ასეთი ქმედება, ვითარცა მოვლენა, წარსულს საკმარისად განესაზღვრა და, ამ-
დენად, სრულ აუცილებლობას წარმოადგენდეს; მართლაცდა, ეს მოქმედება,
ყოველსავე წარსულთან ერთად, რომელიც მას განსაზღვრავს, განეკუთვნება ერ-
თადერთ ფენომენს მისი ხასიათისას, რომელსაც იგი თავადვე იქმნის თავისი თა-
ვისათვის და რომლის საფუძველზეც იგი თავადვე მიაწერს საკუთარ თავს, როგო-
რც მგრძნობელობისაგან დამოუკიდებელ მიზეზს, ამ მოვლენათა მიზეზობრი-
ობას.

ამას სავსებით ემთხვევა იმ საოცარი უნარის მსჯავრიც ჩვენში, რომელსაც
სინდისს ვუწოდებთ. ადამიანს შეუძლია ათასგვარ ხრიკს მიმართოს, რათა რო-
მელიმე თავისი კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც მას ახსოვს, უნებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიე დაუდევრობად ან წმინდა წყლის წინდაუხედაობად გაასაღოს, ანუ ისეთ რადმე, რასაც სავსებით ვერასოდეს ვერ ავიცდენთ თავიდან; მაშასადამე, თავი რომ უდანაშაულოდ ცნოს, მას ძალუძს თავისი საქციელი ისეთ რადმე მოგვაჩვენოს, რაშიაც იგი ბუნებრივი აუცილებლობის ნიაღვარმა ჩაითრია. მიუხედავად ამისა ის ხედავს, რომ ვექილი, რომელიც მის სასარგებლოდ ლაპარაკობს, ვერასგზით ვერ ახერხებს მასში ჩააჩუმოს ბრალმდებელი, თუ მან იცის, რომ დანაშაულის ჩადენის დროს საღ ჭკუაზე იყო, ე. ი. საკუთარ თავისუფლებას ფლობდა. და თუმცა თავის ცოდვას იგი *მიაწერს* გარკვეულ მავნე ჩვევას, რომელმაც საკუთარი თავისადმი სულ უფრო მეტი უყურადღებობის გამო იმ ზომამდის მიაღწია, რომ თავისი დანაშაული ამ ჩვევის ბუნებრივ შედეგად მიაჩნია,—ეს მაინც ვერ იფარავს მას თვითგანკიცხვისა და სინდისის ქენჯნისაგან. განა ამასვე არ ემყარებს სინანულიც დიდი ხნის წინათ ჩადენილი დანაშაულის ყოველი მოგონებისას? ეს მტანჯველი, მორალური შეგნებით გამოწვეული განცდა, რომელიც პრაქტიკულად უსარგებლოა, ვინაიდან უძლურია, ჩადენილი ჩაუდენლად აქციოს, უაზროც კი იქნებოდა (აკი მას ასეთადაც თვლის *პრისტლი*[3], ნაღდი და თანმიმდევრული *ფატალისტი*; უნდა ითქვას, რომ გულახდილობის გამო ის მეტ მოწონებას იმსახურებს, ვინემ ისინი, ვინც ცნობენ რა ნების მექანიზმს საქმით, ნების თავისუფლებას კი—მარტოოდენ სიტყვით, მაინც ჯერ კიდევ ცდილობენ დაგვანახონ, რომ იგი (სინანული) თავიანთ სინკრეტულ სისტემაში შეიტანეს, 99 თუმცა ამგვარი შერაცხადობის შესაძლებლობას არ განმარტავენ), რომ იგი, როგორც ტანჯვა, სავსებით კანონზომიერი არ იყოს, რადგან გონება, როცა საქმე ეხება ჩვენი გონებითსაწვდომი არსებობის კანონს (მორალურ კანონს), არავითარ დროითს განსხვავებას არ ცნობს და მხოლოდ ერთ რასმე მეკითხება; არის თუ არა ეს ხდომილება ჩემს მიერ ჩადენილი საქმე, შემდეგ კი, ამ საქმეს მუდამ მორალურად უკავშირებს ხსენებულ განცდას, განურჩევლად იმისა, ახლა მოხდა იგი (ეს ხდომილება), თუ დიდი ხნის წინათ. საქმე ის არის, რომ *გრძნობადი ცხოვრება* (Sinnenleben) თავისი არსებობის *ზეგრძნობადს* ცნობიერებასთან (ე. ი. თავისუფლებასთან) მიმართებაში სავსებით ერთიანი ფენომენია და, ვინაიდან გრძნობადი ცხოვრება მხოლოდ იმ სულისკვეთების გამოვლენებს შეიცავს, რომელიც მორალურ კანონს ეხება, ანუ ხასიათისას, ამიტომ იგი შეფასებულ უნდა იქნეს არა იმ ფიზიკური აუცილებლობის მიხედვით, რომელიც მას მოუდის, ვითარცა მოვლენას, არამედ — თავისუფლების აბსოლუტური თვითქმედების (Spontaneität) შესაბამისად; მაშასადამე, შეგვიძლია დავუშვათ, რომ თუ მოვახერხებდით, ისე ღრმად შეგვეღწია ადამიანის აზროვნების ბუნებაში (როგორადაც ეს უკანასკნელი ვლინდება ჩვენს შინაგანსა და გარეგან ქმედებებში), რომ ჩვენთვის ცნობილი გამხდარიყო ამ ქმედებათა ყოველი, თვით უმცირესი მამოძრავებელი ზამბარაც კი, ასევე — მათზე გავლენის მომხდენი ყველა გარეგანი იძულებანი, მაშინ შევძლებდით ადამიანის მოქმედება მომავალში იმავე უეჭველობით გამოგვეთვალა, როგორც მთვარის ან მზის დაბნელება და, თან, მიუხედავად ამისა, გვემტკიცებინა, რომ იგი (ადამიანი) თავისუფალია. მართლაცდა, ჩვენ რომ სხვაგვარი ხედვის (რასაც სრულიად მოკლებულნი ვართ და რის ნაცვლადაც მხოლოდ გონებისეული ცნება მოგვეპოვება), სახელდობრ, ამავე სუბიექტის ინტელექტუალური ჭვრეტის უნარიც გვქონოდა, მაშინ შევიცნობდით, რომ მოვლენათა მთელი ეს ჯაჭვი, იმასთან მიმართებაში, რაც მარტოოდენ მორალურ კანონს შეეხება, დამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდებულია თვით სუბიექტის, ვითარცა თავისთავადი საგნის, თვითქმედებაზე, რომლის განსაზღვრაც ფიზიკურ ახსნას არ ემორჩილება. ასეთი ჭვრეტის უქონლობის გამო მორალურ კანონს ეკისრება დაგვარწმუნოს ამ განსხვავებაში, რომელიც არსებობს იმ მიმართებებს შორის, რომელთაგან ერთია ჩვენს ქმედებათა, ვითარცა მოვლენათა, მიმართება ჩვენივე სუბიექტის გრძნობად ბუნებასთან, და მეორეა თვით ამ გრძნობადი ბუნების მიმართება ჩვენში მყოფ ზეგრძნობად სუბსტრატთან. ამ თვალსაზრისის ძალით, რომელიც ჩვენი გონებისათვის ბუნებრივია, თუმცაკი აუხსნადია, შეგვიძლია დასაბუთებულად ჩავთვალოთ ის შეფასებებიც, რომლებიც, თუმცა თავიანთი კეთილსინდისიერებით სავსებით გვაკმაყოფილებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით, ყოველგვარ სამართლიანობას ეწინააღმდეგება. ვინ არ იცის შემთხვევები, როცა ადამიანებს, თუნდაც ბავშვობაში ისეთივე აღზრდა მიეღოთ, რომელსაც სხვებზე კეთილი ზეგავლენა მოუხდენია, მაინც ბოროტება ადრევე გამოუვლენიათ და მოწიფულობამდე ისე გაუათკეცებიათ, რომ მათ დაბადებითვე ბოროტებად და, რაც მათს სულისკვეთებას შეეხება, მოურჯულებელ ბოროტმოქმედებად თვლიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი ცოდვა-ბრალის გამო,
100 მათაც სხვებსავით ასამართლებენ, მათს დანაშაულს მათაც სხვებსავით ბრალდებად უყენებენ, და უფრო მეტიც: თვით ისინი (ბავშვები) ასეთ ბრალდებას სავსებით სამართლიანად მიიჩნევენ, თითქოს მათი სულისათვის არ მიეწეროთ ბუნებისმიერი გამოუსწორებლობა და მათ ისეთივე პასუხი უნდა მართებდეთ, როგორც ყველა დანარჩენს. ეს შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენ რომ არ დაგვეშვა წანამძღვრად, რომ ყოველივე იმას, რაც მათივე თვითმნებლობიდან მომდინარეობს (ისევე, როგორც, უეჭველია, ყოველ განზრახ ჩადენილ საქციელს), საფუძვლად უდევს თავისუფალი მიზეზობრიობა, რომელიც თავის გამოვლინებებში (ქმედებებში) სიყრმიდანვე ამჟღავნებს ბავშვის ხასიათს, და ეს ქმედებანი, თავიანთი ერთგვაროვნობის წყალობით, საცნაურს ხდიან გარკვეულ ბუნებისეულ მთლიანობას, თუმცა ეს უკანასკნელი ნების ავბუნებოვნების აუცილებლობას კი არ იწვევს, არამედ, პირუკუ, იგი ნებაყოფლობით აღიარებული ბოროტი და უცვლელი პრინციპების შედეგია; ეს კი ამ ადამიანს უფრო მეტი გმობისა და დასჯის ღირსად ხდის.

მაგრამ არის კიდევ ერთი სიძნელე, რომლის წინაშეც თავისუფლებამ დაგვაყენა, რამდენადაც იგი უნდა შეუთავსდეს იმ არსების ბუნებრივ მექანიზმს, რომელიც გრძნობად სამყაროს განეკუთვნება; ეს ისეთი სიძნელეა, რომელიც თავისუფლებას სრული დაღუპვით ემუქრება, თუნდაც სავსებით დაგვეთანხმონ ყოველივე იმაში, რაც აქამდე ითქვა. მიუხედავად ამგვარი ხიფათისა, არის ერთი გარემოება, რომელიც გვაიმედებს ვიპოვოთ ბედნიერი გამოსავალი თავისუფლების დასამტკიცებლად, სახელდობრ, ის, რომ იგივე სიძნელე მთელი ძალით ელობება იმ სისტემას (და, როგორც მალე დავინახავთ, სინამდვილეში მხოლოდ იგი ელობება და სხვა არაფერი), სადაც დროსა და სივრცეში განსაზღვრადი არსებობა მიჩნეულია თავისთავად საგანთა არსებობად; მაშასადამე, ეს სიძნელე არ გვაიძულებს, ხელი ავიღოთ ჩვენს უმნიშვნელოვანეს დაშვებაზე დროის იდეალურობის შესახებ, — რომ იგი გრძნობადი ჭვრეტის წმინდა ფორმაა და, მაშასადამე, სწორედ წარმოდგენის ის წესია, რომელიც გრძნობადი სამყაროსადმი კუთვნილ სუბიექტს ახასიათებს. ეს სიძნელე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ ასეთი დაშვება შეერთებულ იქნეს თავისუფლების იდეასთან.

თუნდაც დაგვეთანხმონ, რომ გონებითსაწვდომ სუბიექტს მოცემულ ქმედებასთან მიმართებაში ძალუძს იყოს თავისუფალი, თუმცკი იგი, როგორც იმავდროულად გრძნობადი სამყაროს კუთვნილება, ამავე ქმედებასთან მიმართებაში მექანიკურად განპირობებულია, მაშინაც კი, — ასე ჩანს, — იმის აღიარება გვმართებს, რომ რაკიღა ღმერთი, როგორც საყოველთაო პირველმიზეზი, სუბსტანციის არსებობის მიზეზიცაა (დებულება, რომელსაც ვერასოდეს უარვყოფთ იმის გარეშე, რომ მასთან ერთად არ უარვყოთ ღმერთის, ვითარცა ყველა არსთა არსის, ცნება და, მასთან ერთად, მისი ყოვლადმკმარობაც, რომელსაც მთელი თეოლოგია ემყარება), ადამიანის ქმედებებს განმსაზღვრელი საფუძველი იმაში ჰქონია, რაც სავსებით მისი ძალაუფლების გარეთაა, სახელდობრ, მისგან 101
განსხვავებულ იმ უზენაეს-არსებისეულ კაუზალობაში, რომელზედაც აბსოლუტურად არის დამოკიდებული მისი არსებობაც და მთლიანად მისი მიზეზობრიობის განსაზღვრაც. მართლაცდა, თუ ადამიანის საქმეები, თუკი ისინი ეკუთვნიან მის განსაზღვრულობებს დროში, იქნებოდნენ მისი განსაზღვრულობანი, ვითარცა საგნისა თავისთავად და არა მხოლოდ და მხოლოდ ვითარცა მოვლენისა, მაშინ თავისუფლების გადარჩენა შეუძლებელი გახდებოდა; რადგან, ადამიანი წარმოგვიდგებოდა მარიონეტად ან ვოკანსონის[4] ავტომატად, რომელიც აწყობილია და მომართულია ყველა ხელობათა დიდოსტატის მიერ, და თუმცა თვითცნობიერების წყალობით იგი იქნებოდა მოაზროვნე ავტომატი, მაგრამ მისი სპონტანურობის ცნობიერება, თუ მას თავისუფლად ჩავთვლით, წმინდა წყლის ილუზიად მოგვევლინებოდა; თავისუფლებას მას მხოლოდ პირობითად თუ ვუწოდებდით, ვინაიდან ასეთი ავტომატის მოძრაობის განმსაზღვრელი უახლოესი მიზეზები და ამ მიზეზთა განმსაზღვრელი მიზეზების გრძელი მწკრივი თუმცა შინაგანია, მაგრამ საბოლოო და უმაღლეს მიზეზს მაინც მთლიანად უცხო ხელი დაპატრონებია. ამიტომ ვერ გამიგია, თუ როგორ ახერხებენ ამ შემთხვევაში თავი დააღწიონ ქმედებათა ფატალურობას ისინი, ვინც თავისას არ იშლის და დროსა და სივრცეს დაჟინებით აცხადებს თვით თავისთავად საგანთა არსებობის განმსაზღვრელებად; ან თუ (სხვაფრივ გამჭრიახი მენდელსონივით[5]) დროსა და სივრცეს მარტოოდენ ბოლოვად და ქმნილ არსებათა არსებობის პირობებად განიხილავენ, მაგრამ არა უსასრულო პირველარსის არსებობის პირობებად, მაშინ როგორღა ახერხებენ თავის მართლებას, სახელდობრ, რა უფლების ძალით დაუშვეს ასეთი განსხვავება? ან კიდევ, რა გზით აპირებენ გვერდი აუქციონ იმ წინააღმდეგობას, რომ დროში არსებობა ბოლოვადი და თავისთავადი საგნების აუცილებელ განსაზღვრულობად მიუჩნევიათ, მაშინ, როცა ღმერთი, რომელიც ამგვარი არსებობის მიზეზია, ვერ იქნება თავად დროის (ან სივრცის) მიზეზი (რამეთუ დრო, ამ ჰიპოთეზის თანახმად, უნდა დავუშვათ, როგორც აუცილებელი აპრიორული პირობა საგანთარსებობისათვის)? და, მაშასადამე, ღმერთის კაუზალობა ამ საგნების არსებობასთან მიმართებაში, აუცილებლად თვითვე უნდა იყოს განპირობებული დროის მხრივ, რასაც გარდუვალად მოჰყვება ყველა ის წინააღმდეგობა და შეჯახება, რაც ღმერთის უსასრულობისა და დამოუკიდებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნებებთან დაკავშირებით არსებობს. საპირისპიროდ ამისა, სულ ადვილია, ღვთიური არსებობა, როგორც დროის ყველა პირობისაგან დამოუკიდებელი, და გრძნობადი სამყაროს კუთვნილი წევრის არსებობა ერთიმეორისაგან განვასხვავოთ როგორც, ერთი მხრივ, თავისთავადი არსების არსებობა და, მეორე მხრივ, საგნის მოვლენაში არსებობა. ამიტომაც, თუ დროისა და სივრცის ამგვარ იდეალურობას არ ვაღიარებთ,
102 ხელთ შეგვრჩება მხოლოდ სპინოზიზმი, რომლის თანახმადაც, დრო და სივრცე თვით პირველარსების არსობრივი (wesentliche) განსაზღვრულობებია, ხოლო მასზე დამოკიდებული საგნები (მაშასადამე, თავად ჩვენც) სუბსტანციები კი არ არის, არამედ მხოლოდ ამ არსებისთვის ნიშანდობლივი აქციდენციებია. მართლაც, ეს საგნები რომ არსებობდნენ მარტოოდენ როგორც პირველარსების შედეგები დროში, რომელიც (დრო) პირობა იქნებოდა მათი (ამ საგანთა) არსებობისა თავისთავად, მაშინ ამ არსებათა ქმედებებიც უცილოდ მისი (ამ პირველარსების) ქმედებები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც მას სადღაც და ოდესღაც 'აუდენია. ამიტომ სპინოზიზმი, მიუხედავად მისი ძირითადი იდეის შეუსაბამობისა, გაცილებით უფრო თანმიმდევრულად ასკვნის, ვინემ სამყაროს შექმნის თეორია, თუ სუბსტანციებად მიჩნეულსა და დროში მყოფ თავისთავად არსებებს განვიხილავთ, როგორც უზენაესი მიზეზის შედეგებს, მაგრამ არა როგორც იმავდროულად ღვთისა და მისი მოქმედების კუთვნილს, არამედ მათ განვიხილავთ, როგორც თავისთავად სუბსტანციებს.

ზემოხსენებულ სიძნელეს ნათლად და სწრაფად მოვხსნით ასეთი მსჯელობით: თუ დროში არსებობა მხოლოდ გრძნობადი წარმოდგენის ის წესია, რომელიც ახასიათებს მოაზროვნე არსებებს ამ სამყაროში, მაშასადამე, იგი არ ეხება მათ, ვითარცა საგნებს თავისთავად. მაშინ ამ არსებათა შექმნა თვით თავისთავად საგანთა შექმნა ყოფილა, ვინაიდან შექმნის ცნება განეკუთვნება არა არსებობის გრძნობადი წარმოდგენის წესს, ან კაუზალობას, არამედ — მარტოოდენ ნოუმენებს. და თუ ასეა, როდესაც გრძნობადი სამყაროს არსებებზე ვამბობ, ისინი შექმნილნი არიან-მეთქი, ეს იმას ნიშნავს, რომ მე მათ განვიხილავ, ვითარცა ნოუმენებს. როგორც წინააღმდეგობრივი იქნებოდა იმის თქმა, რომ ღმერთი მოვლენათა შემოქმედია, ასევე წინააღმდეგობრივია მისი, ვითარცა შემოქმედის, მიჩნევა ქმედებათა (მაშასადამე, მოვლენათა) მიზეზად გრძნობად სამყაროში, თუმცაკი იგი მოქმედ არსებათა (ვითარცა ნოუმენთა) არსებობის მიზეზია. ამგვარად, თუ შესაძლებელია (თუ კი დროში არსებობას ვაღიარებთ ისეთ რამედ, რაც ძალის მქონეა მარტოოდენ მოვლენების, და არა თავისთავადი საგნების, მიმართ) ვამტკიცოთ თავისუფლება ისე, რომ არაფერი ვავნოთ ქმედებათა, ვითარცა მოვლენათა, ბუნებრივ მექანიზმს, მაშინ ეს იოტის ოდენაზეც არაფერი შეიცვლება იმის გამო, რომ მოქმედი არსებები შექმნილნი არიან, ვინაიდან შექმნა ეხება მათს ინტელიგიბელურსა და არა გრძნობად არსებობას და, მაშასადამე, მას ვერ ჩავთვლით მოვლენათა განმსაზღვრელ საფუძვლად; ყოველივე სხვანაირად აეწყობოდა, სამყაროს მკვიდრი არსებები რომ თავისთავადი საგნების სახით არსებობდნენ დროში, ვინაიდან მაშინ სუბსტანციის შემქმნელი იმავდროულად ამ სუბსტანციის მთელი მექანიზმის შემოქმედიც იქნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, რაოდენ მნიშვნელოვანია დროის (ასევე, სივრცის) გამიჯვნა თავისთა- 103
ვად საგანთა არსებობისაგან, რომელიც წმინდა სპეკულატური გონების კრი-
ტიკაშია გატარებული.

მოსალოდნელია გვითხრან, რომ სიძნელის ამგვარი მოხსნა ჯერ კიდევ
ბევრ სირთულეს შეიცავს და არც მისი ნათლად გადმოცემა ხერხდება. მაგრამ
განა ყოველი სხვა მოხსნა, რომელიც კი უცდიათ, ან რომელსაც ეცდებიან,
უფრო ადვილი და მისახვედრია? ისა სჯობდა, გვეთქვა, რომ მეტაფიზიკის
დოგმატიკოსმა მოძღვრებმა მეტი ეშმაკობა გამოიჩინეს, ვინემ გულწრფელობა,
როცა ეს სიძნელე თვალთაგან მოგვაშორეს და რაც შეიძლება შორს გადამალეს,
იმ იმედით, რომ თუ მის შესახებ სრულიად არაფერს იტყოდნენ, მასზე არც
სხვა ვინმე იფიქრებდა. ამა თუ იმ მეცნიერების შველა მაშინ შეიძლება, თუ
ყველა სიძნელეს *გამოვამზევებთ* და იმ სიძნელეებსაც *გამოვ-
ჩხრეკთ*, რომლებიც მას ჯერ კიდევ მალულად გზაზე ელობებიან; რადგან,
ყოველი ამ სიძნელეთაგანი გამოუხმობს დამხმარე საშუალებას, რომლის აღ-
მოჩენაც შეუძლებელია იმის გარეშე, რომ ამით მეცნიერებას არა შეემატოს რა
ან მოცულობის, ან კიდევ, გარკვეულობის მხრივ; მაშასადამე, ამის მეოხებით
თავად დაბრკოლებები იძენენ მეცნიერების საფუძვლიანობის ხელშემწყობ
საშუალებათა მნიშვნელობას. ხოლო თუ, პირუკუ, სიძნელეებს შეგნებულად
მივჩქმალავთ, ან მხოლოდ დროებითი საშუალებებით (პალიატივებით) მოვი-
შორებთ, ადრე თუ გვიან, ისინი გარდიქცევიან უკურნებელ სენად, რაც მეც-
ნიერებას სრულ სკეპტიციზმში გადაჩეხავს.

*

*   *

ვინაიდან წმინდა სპეკულატური გონების ყველა იდეათა შორის, საკუთ-
რივ რომ ვთქვათ, თავისუფლების ცნება ერთადერთია, რომელიც ეგზომ დი-
დად აფართოებს ჩვენს ცოდნას ზეგრძნობადის სფეროში, თუმცაკი, მხოლოდ
პრაქტიკული შემეცნების განხრით, ამიტომ ჩემს თავს ვეკითხები: *რატომ
მაინცდამაინც* მას *ერგო ესოდენ დიდი ნაყოფიერე-
ბა*, სხვები კი, მართალია, მიუთითებენ ცარიელ ადგილზე შესაძლებელ წმინ-
და გონებითსაწვდომ არსებათათვის, მაგრამ ასეთ არსებათა ცნებას ვერაფრით
განსაზღვრავენ? სწრაფი მოსაზრება მეუბნება, რომ, ვინაიდან ვერაფერს მო-
ვიაზრებ კატეგორიის გარეშე, იგი (კატეგორია), უწინარეს ყოვლისა, უნდა
ვეძიოთ თავისუფლების იმ გონებისეულ იდეაში, რომელსაც მე ახლა ვიხი-
ლავ; ეს კატეგორია აქ *მიზეზობრიობისა* იქნება, და რომ, თუმცა თა-
ვისუფლების *გონებისმიერ* ცნებას, ვითარცა ტრანსცენდენტურს
(überschwenglicher), ვერ მივუსადაგებთ ვერავითარ ჭვრეტას, მიუხედავად
ამისა, *განსჯისმიერ ცნებას*, — რომლის სინთეზისთვისაც *გონე-
ბისმიერი ცნება* განუპირობებელს რაღაცას მოითხოვს, — სახელ-
დობრ, მიზეზობრიობის ცნებას აუცილებლად წინდაწინ უნდა ეძლეოდეს
გრძნობადი ჭვრეტა, რომელიც პირველი დაადასტურებს მის ობიექტურ რეა-
ლურობას. მაგრამ ყველა კატეგორია ორ კლასად იყოფა: *მათემატიკუ- 104
რად*, რომლებსაც საქმე აქვთ მხოლოდ სინთეზის ერთიანობასთან ობიექტ-
თა შესახებ წარმოდგენაში, და *დინამიურად*, რომლებსაც საქმე აქვთ
სინთეზის ერთიანობასთან ობიექტთა არსებობის შესახებ წარმოდგენაში. პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველნი — სიდიდისა (Größe) და თვისებრიობის (Qualität) კატეგორიები
მუდამჟამს შეიცავენ ე რ თ გ ვ ა რ ო ვ ა ნ ი ს (des Gleichartigen) სინთეზს,
რომელშიც ვერასგზით ვერ ვიპოვით განუპირობებელს დროსა და სივრცეში
განპირობებულისათვის, გრძნობად ჭვრეტაში რომ გვეძლევა, ვინაიდან ეს გა-
ნუპირობებელიც თვითონვე უნდა ეკუთვნოდეს დროსა და სივრცეს და, მაშა-
სადამე, მუდამჟამს განპირობებული უნდა იყოს; ამიტომაც მცდარი იყო ორი-
ვე ურთიერთსაპირისპირო მეთოდი წმინდა თეორიული გონების დიალექტი-
კაში წარმართული ძიებისა — გვეპოვა განუპირობებელი და პირობათა ტო-
ლობა. მეორე კლასის კატეგორიები (მიზეზობრიობისა და საგნის აუცილებ-
ლობისა) სრულიადაც არ საჭიროებდნენ ასეთ ერთგვაროვნობას (განპირობე-
ბულისა და პირობისა სინთეზში), ვინაიდან აქ წარმოდგენილი უნდა იყოს
ჭვრეტა არა იმ მხრივ, თუ როგორ არის იგი შედგენილი მასში შემავალი მრა-
ვალსახეობისაგან, არამედ — მარტოოდენ იმ მხრივ, თუ მისი (ჭვრეტის) შე-
საბამისი განპირობებული საგნის არსებობა როგორ ერთვის პირობის არსე-
ბობას (განსჯაში, ვითარცა მასთან შეკავშირებულისას); და მაშინ, უკვე უფ-
ლება გვეძლეოდა, რომ იმისთვის, რაც პირწმინდად განპირობებულია გრძნო-
ბად სამყაროში (როგორც მიზეზობრივი კავშირის, ისე თვით საგანთა შემ-
თხვევითი არსებობის მხრივ) დაგვეშვა განუპირობებელი (თუმცაკი, კაცმა რომ
თქვას, განუსაზღვრავად), რომელსაც გონებითსაწვდომ სამყაროში მოვა-
თავსებდით, და მით სინთეზი ტრანსცენდენტური გაგვეხადა, რის გამოც წმინ-
და სპეკულატური გონების დიალექტიკაში აღმოჩნდა, რომ ეს ორი, ერთი
შეხედვით, ურთიერთსაპირისპირო მეთოდი განპირობებულისათვის განუპირო-
ბებლის მოძებნისა, — მაგალითად, იმის ცდა, რომ მიზეზობრიობის სინთეზში,
გრძნობადი სამყაროს მიზეზ-შედეგთა შორის, განპირობებულისათვის მოაზ-
რებულიყო ისეთი კაუზალობა, რომელიც, თავის მხრივ, აღარ იქნებოდა გრძნო-
ბადით განპირობებული, — სინამდვილეში სრულიადაც არ ეწინააღმდეგება
ერთიმეორეს; და მოქმედებას, რომელიც, როგორც გრძნობადი სამყაროსა-
თვის კუთვნილი, მუდამჟამს გრძნობადით განპირობებულია, სხვა სიტყვებით
რომ ვთქვათ, მექანიკურად აუცილებელია, ამავე დროს, შესაძლებელია სა-
ფუძვლად ედოს გრძნობადით განუპირობებელი კაუზალობა, ანუ იმ მოქმედ-
არსებისეული კაუზალობა, რომელიც გონებითსაწვდომი სამყაროს წევრია;
მაშასადამე, იგი (ეს მოქმედება) შეგვიძლია მოვიაზროთ როგორც თავისუ-
ფალი. ახლა საქმე იმასღა შეეხებოდა, რომ ეს „შ ე ი ძ ლ ე ბ ა“ „ა რ ი ს“-ად
ქცეულიყო, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნამდვილადაც, — ასე ვთქვათ, ფაქ-
ტის მეშვეობით, — დამტკიცებულიყო, რომ გარკვეული ქმედებანი გულის-
ხმობენ ამგვარ კაუზალობას (ინტელექტუალურს, გრძნობადით განუპირობე-
ბელს), განურჩევლად იმისა, თუ როგორი იქნებოდნენ ისინი, — ნამდვილი, თუ
მარტოოდენ ნაცნები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრაქტიკული თვალსაზ-
რისით, ობიექტურად აუცილებელი. ჩვენ ვერ ვიქონიებდით იმის იმედს, რომ
105 ამგვარ კავშირს მივაგნებდით ცდაში ნამდვილად მოცემულ ქმედებებში, ვი-
თარცა გრძნობადი სამყაროს ხდომილებებში, ვინაიდან თავისუფლებისმიერი
მიზეზობრიობა მუდამ და აუცილებლად გრძნობადი სამყაროს მიღმა, გონე-
ბითსაწვდომ სამყაროშია საძიებელი, მაგრამ სხვა საგნები, გარდა გრძნო-
ბადისა, ჩვენს აღქმასა და დაკვირვებას არ ეძლევა. ამიტომ ისღა დაგვრჩენო-
და, რომ გვეპოვა მიზეზობრიობის რაღაც ეჭვშეუვალი და, თანაც, ობიექტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრინციპი, რომელიც მისი (მიზეზობრიობის) განსაზღვრიდან გამორიცხავდა ყოველსავე გრძნობად პირობას, ანუ გვეძია ისეთი თაურდებულება, რომელშიაც გონება, კაუზალობის მხრივ, სხვა რასმე კი აღარ მოუხმობს განმსაზღვრელ საფუძვლად, არამედ ამგვარ საფუძველს თვითონვე შეიცავს ხსენებული პრინციპის მეშვეობით და რომელშიაც იგი, ვითარცა წმინდა გონება, თვითონვე პრაქტიკულია. ეს პრინციპი არ საჭიროებს ძიებასა და აღმოჩენას; იგი დიდი ხანია ბინადრობს ყველა ადამიანის გონებაში და შესისხლხორცებია მათს არსებას; იგი ზნეობის პრინციპია. ამგვარად, ეს განუპირობებელი კაუზალობა და მისი უნარი, ანუ თავისუფლება, — მასთან ერთად კი ის არსება (მე თვითონ), რომელიც გრძნობად სამყაროს ეკუთვნის, მაგრამ, იმავდროულად, გონებითსაწვდომი სამყაროს წევრიცაა, — აღარ მოიაზრება მარტოოდენ განუსაზღვრელად და პრობლემატურად (რაც სპეკულატურმა გონებამ უკვე დაამტკიცა, როგორც შესაძლებელი), არამედ, უფრო მეტი, განისაზღვრება და ასერტორულად შეიმეცნება თავისი კაუზალობის კანონთან მიმართებაში; აი, ასე გვეძლევა ინტელიგიბელური სამყაროს ნამდვილობა, სახელდობრ, გვეძლევა პრაქტიკული თვალსაზრისით განსაზღვრულად და ეს განსაზღვრა, რომელიც, თეორიული გაგებით, ტრანსცენდენტური იქნებოდა, პრაქტიკული თვალსაზრისით იმანენტურია. მაგრამ ასეთი ნაბიჯი ჩვენ ვერ გადავდგით მეორე დინამიური იდეის, სახელდობრ, აუცილებელი არსების იდეის მიმართ. ჩვენ ვერ შევძელით გრძნობადი სამყაროდან მივწვდომოდით მას პირველი დინამიური იდეის შუამავლობის გარეშე. რადგან, ეს რომ გვეცადა, მაშინ უნდა გაგვებედა ნახტომი: მიგვეტოვებინა ყოველივე ის, რაც მოცემული გვაქვს და გადავშვებულიყავით იქ, საიდანაც არაფერი გვეძლევა ისეთი, რომლის მეშვეობითაც შევძლებდით ამგვარი გონებითსაწვდომი არსება დაგვეკავშირებინა გრძნობად სამყაროსთან (რამეთუ აუცილებელი არსება შეცნობილი უნდა ყოფილიყო, ვითარცა ჩვენს მიღმა მყოფი); მეორე მხრივ, ეს სავსებით შესაძლებელია ჩვენი საკუთარი სუბიექტის მიმართ, რამდენადაც იგი, მორალური კანონის მეშვეობით, ერთი მხრივ, თავის თავს ინტელიგიბელურ არსებად განსაზღვრავს (თავისუფლების მეოხებით), ხოლო, მეორე მხრივ, თავის თავს შეიცნობს გრძნობად სამყაროში მოქმედ არსებად ზემოხსენებული განსაზღვრის საფუძველზე, როგორც ამას ამჟერად თვალსაჩინობა ადასტურებს. მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლების ცნება გვაძლევს იმის საშუალებას, რომ განპირობებულისათვის და გრძნობადისათვის განუპირობებელისა და ინტელიგიბელურის ძებნაში საკუთარ თავს არ გავცდეთ. რადგან, თავად ჩვენი გონება არის ის, რომელიც იმეცნებს საკუთარ თავს 106
უზენაესი და უპირობო პრაქტიკული კანონის მეშვეობით, და იმეცნებს იმ არსებას, ვისაც ამ კანონის ცნობიერება აქვს (ჩვენს საკუთარ პიროვნებას), ვითარცა წმინდა გონებითსაწვდომი სამყაროსადმი კუთვნილს: უფრო მეტიც, განსაზღვრავს იმ წესს, რომლითაც ამ არსებას, როგორც ასეთს, ძალუძს მოქმედი იყოს. ასე და ამგვარად, გასაგები ხდება, თუ რატომ არის, რომ გონების მთელ უნარში მარტოოდენ პრაქტიკულს ძალუძს გაგვიყვანოს გრძნობადი სამყაროს მიღმა და მოგვაპოვებინოს ცოდნა ზეგრძნობადი წესრიგისა და კავშირის შესახებ; და სწორედ ამის გამო, ხსენებული ცოდნა მხოლოდ იმ ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით შეიძლება გაიზარდოს, რა ზომითაც ეს წმინდა პრაქტიკულ მიზანს სჭირდება.

ნება მიბოძეთ, ამ შემთხვევით ვისარგებლო და თქვენი ყურადღება მივაპყრო კიდევ ერთ გარემოებას, სახელდობრ, იმას, რომ ყოველი ნაბიჯი, რომელიც შეეხება წმინდა გონებას, თვით პრაქტიკულ სფეროშიაც კი, სადაც სათუთ სპეკულაციას არავითარი ანგარიში არ ეწევა, მიუხედავად ამისა, ისე ზუსტად და, თანაც, თავისთავად უკავშირდება თეორიული გონების კრიტიკის ყველა მომენტს, თითქოს ყოველი ამათგანი წინასწარ იყოს ჩაფიქრებული მხოლოდ ამ უკანასკნელის დასადასტურებლად. პრაქტიკული გონების უმნიშვნელოვანეს დებულებათა ასეთი ზუსტი თანხმობა სპეკულატური გონების კრიტიკის შენიშვნებთან, რომლებიც ხშირად ზედმეტად სათუთი და თითქოსდა უსარგებლოა, — თანხმობა, რომელიც არამც და არამც არ გვიძებნია, არამედ (რაშიაც თავისთავად დავრწმუნდებით, თუ მორალურ ძიებას მის პრინციპებამდე განვაგრძობთ) თავისთავად იჩენს თავს, ჩვენს გაკვირვებას და გაოცებას იწვევს; იგი განამტკიცებს სხვათა მიერაც უკვე აღიარებულსა და მოწონებულ მაქსიმას: ყოველგვარ მეცნიერულ კვლევა-ძიებაში ჩვენს გზას გავყვეთ დინჯად, რაც შეიძლება მეტი სიზუსტითა და პირდაპირობით და ყურადღება არ მივაქციოთ იმას, თუ რას შესცოდავდა იგი თავისი სფეროს გარეთ, არამედ ეს კვლევა-ძიება, რამდენადაც კი შესაძლებელია, სწორად წარვმართოთ და ამომწურავად დავასრულოთ. არაერთგზისმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ, თუ ასეთი საქმე ბოლომდეა მიყვანილი, ის, რაც, შუა კვლევაში, სხვა მოძღვრებებთან მიმართებაში ზოგჯერ მეტად საეჭვოდ მომჩვენებია, ბოლოს, თუკი ამ უთანხმოებაზე თვალს დავხუჭავდი და ჩემს საქმეს ბოლომდე ჩავუღრმავდებოდი, მოულოდნელად სავსებით ეთანხმებოდა იმას, რაც ამ მოძღვრებათა გათვალისწინებისა, მათდამი რაიმე მიკერძოებისა ან სიმპათიის გარეშეც თავისთავად აღმოჩნდებოდა ხოლმე კვლევის დასასრულს. ავტორები, ალბათ, არაერთ შეცდომას დააღწევდნენ თავს და ბევრჯერ დაზოგავდნენ დახარჯულ შრომას (ილუზიებზე აგებულს), თუ გადაწყვეტდნენ, მეტი პირდაპირობით შესდგომოდნენ საქმეს.

## მთარგმნელის შენიშვნები

1. თხზულებაში „სახელმწიფო“.
2. automaton materiale—„მატერიალური ავტომატი“, automaton spirituale—„სულიერი ავტომატი“, თხზულებაში „თეოდიცეა“.
3. თხზულებაში „The Doctrine of Philosophical Necessity“, London 1977.
4. Vaucanson, Jean de — ფრანგი მექანიკოსი, ავტომატების გამომგონებელი, რომელმაც 1738 წელს, პარიზში, გამოფინა თავისი ნაკეთობანი: ფლეიტასა და კლარნეტზე დამკვრელთა ფიგურები, საკენკის მყლაპავი იხვი და სხვა.
5. აქ კანტს მხედველობაში აქვს მენდელსონის თხზულება: „Morgenstunden“ (1785), თავი XI.

გერმანულიდან თარგმნა ლამარა რამიშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჟურნალ „მაცნეს“ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერიის 1986 წლის შინაარსი, № 1—4


### სკკპ XXVII ყრილობა

ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ამოცანები სკკპ XXVII ყრილობის შუქზე, № 2.

### საბჭოთა საქართველო — 65

**მახარაძე მ,** ქართული ფილოსოფიური აზრი საბჭოთა ხელისუფლების წლებში, № 1.

**ნადირაშვილი შ., იმედაძე ი.,** ფსიქოლოგიის განვითარება საბჭოთა საქართველოში, № 1.

### 150 წელი ნ. ა. დობროლიუბოვის დაბადებიდან

**დობროლიუბოვი ნ. ა.,** „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ არქიმანდრიტ გაბრიელის (ქიქოძის) თხზულება, № 2.

### დ. უზნაძის დაბადების 100 წლისთავი

**ნადირაშვილი შ.,** დიმიტრი უზნაძე (სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა), № 3.

### ფილოსოფია

**ბერძენიშვილი ა,** ფილოსოფია როგორც მეცნიერული მსოფლმხედველობა, № 3.

**გოგსაძე კ.,** ადამიანი დროის სისტემაში, № 1.

**ზაქარიაძე ა.,** მხატვრული სიმბოლოს ბუნებისათვის, № 4.

**თვარაძე რ.,** სიყვარულის არეოპაგიტული მოძღვრება, № 2.

**თომაშვილი ნ.,** ენის შემეცნებითი ფუნქციის პრობლემის გენეზისი, № 4.

**კვარაცხელია ნ.,** ფილოსოფიის არსების თავდაპირველ-ბერძნული გაგება და მისი ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაციის კრიტიკა, № 3.

**მდივანი ლ.,** ტექნიკურისა და ესთეტიკურის კავშირისათვის დიზაინში, № 2.

**ნადიბაიძე ფ.,** ალეთოლოგიური ესთეტიკის პრინციპები, № 2.

**შენგელია რ.,** რელიგიური და მხატვრული, № 1.

**შონია მ.,** ადამიანის ყოველმხრივობის გაგებისათვის, № 2.

**შუშანაშვილი გ.,** სკკპ XXVII ყრილობა და მარქსისტულ-ლენინური ეთიკის ამოცანები, № 4.

**ცერცვაძე ლ.,** გენიის პრობლემა კანტის მოძღვრებაში, № 4.

**ჯაფარიძე გ.,** აუცილებლობა როგორც დამტკიცებადობა, № 3.

### ფსიქოლოგია

**ბეკოევა დ.** (ცხინვალი), ფსიქოლოგიის როლი და ამოცანა ბავშვთა კლინიკაში, № 1.

**ბერულავა ნ.,** დიდი მეცნიერი, № 3.

**გოგოლაძე ქ.,** მუსიკის წარმოსახვის გრაფიკული ჩაწერა, № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გელდიაშვილი მ.**, დატვირთვის პროცესში ხელის მტევნების ფილოგენეზურად სხვადასხვა მოქმედებაში განსხვავებულობის დინამიურობა ასაკობრივ ასპექტში, № 1.

**ველიევი მ.** (სტეფანაკერტი), მასწავლებლის პროფესიის არჩევის მოტივები და სტუდენტთა ღირებულებითი ორიენტაციები, № 2.

**იმედაძე ი.**, აქტივობის პოლიგანწყობისეული რეგულაციის შესაძლებლობის შესახებ, № 2, № 3.

**ლომოვი ბ.** (მოსკოვი), ხატის პრობლემა ფსიქოლოგიაში, № 4.

**მირცხულავა რ.**, განწყობის ფიქსირების პროცესზე ყურადღების ზემოქმედების საკითხისათვის, № 2.

**მოშიაშვილი ს.**, ჯგუფური სწავლების ორგანიზაციის გამოცდილება, № 3.

**ნადირაშვილი დ.**, სუბიექტის განწყობისაგან სხვადასხვა მანძილით დაშორებული პოზიციების ურთიერთზეგავლენის ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი, № 2.

**ნორაკიძე გ.**, პიროვნების ქარაქტეროლოგიურ თავისებურებათა როლი სოციალური შრომითი ჯგუფის ფორმაციასა და ფუნქციონირებაში, № 4.

**ნადირაძე ე.**, საპროექტო ინსტიტუტების ბრიგადირთა პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა, № 4.

**სამსონიძე ლ.**, რიტმის როლის განსაზღვრისათვის ვერლიბრის მხატვრული აღქმის პროცესში, № 1.

**ჭავჭავაძე ნ.**, სოციალური განმტკიცება თეორიული ქცევის, შემეცნების განწყობის რეალიზაციისას, № 1.

**ხოსროშვილი გ.**, სივრცითი შეფასებების განწყობისეული ეფექტები პერცეპტული დიფერენციაციის პირობებში, № 4.

**ჯაბანაშვილი ნ.**, სტილის ფსიქოლოგიური პრობლემა, № 3.

### დისკუსია

**ვოლგასტი ზ.** (დრეზდენი), არსებობს თუ არა ქართული რენესანსი? შენიშვნები სადავო პრობლემაზე, № 1.

**ხიდაშელი შ.**, რამდენიმე განმარტება ჩემს წიგნზე Вопросы грузинского Ренесанса, Тб., 1984 გამოთქმული შენიშვნების გამო, № 1.

### ახალი თარგმანები

**კანტი იმ.**, პრაქტიკული გონების კრიტიკა, № 3, № 4.

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**შუშანაშვილი გ.**, ეთიკის ისტორიის პრობლემები, № 3.

**ჯიოევი ო.**, ვ. ფონ ჰუმბოლდტი, რჩეული საენათმეცნიერო ნაშრომები, № 2.

ოთარ ტაბიძე (ნეკროლოგი), № 3.

ანზორ კაციტაძე (ნეკროლოგი), № 4.

ოთარ ბაკურაძე (ნეკროლოგი), № 4.

ვალერიან კილაძე (ნეკროლოგი), № 4.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს უნდა ახლდეს რუსული რეზიუმე არა უმეტეს მანქანაზე დაბეჭდილი ერთი გვერდისა. წერილის მოცულობა, რეზიუმეს ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ერთ საავტორო თაბახს (40 ათასი ასო ნიშანი); დაბეჭდილი უნდა იყოს სტანდარტის დაცვით.

წერილში გამოყენებული ნაშრომების სია დაერთოს ბოლოს, ტექსტში კი მიეთითოს რიგითი ნომერი კუთხოვან ფრჩხილებში. ავტორისეული შენიშვნები მიეთითება გვერდების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომებს მიიღებს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებების ან ამ დარგის აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წარდგინებით.

ჩვენი მისამართია: 380008, თბილისი 8, რუსთაველის 29,
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ფილოსოფიის ინსტიტუტი
(ჟურნალ „მაცნესათვის")

**სარედაქციო კოლეგია**

ფასი 85 კაპ. ინდექსი 76195

ეროვნული ბიბლიოთეკა
18c/42